ლელო

№303 (12 373) 27 დეკემბერი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკანოსიძეს ბელხატოვი იწვევს

მსურველები სხვა ამერელზსაც გამოუჩნდნენ 4

გოცირიძე რუსეთში ითამაშებს?

რუსები ქართველ თავდამსხმელს უკვე ნალჩიკის სპარტაკის ფეხბურთელად იხსენიებენ 3

ჯერ არჩევნები, მერე კონტრაქტი

ტოპმიოლერს გარანტიები სჭირდება: საქართველოში სტაბილურობა უნდა იყოს და ხელისუფლებაში ის ძალა უნდა მოვიდეს, რომელიც ფედერაციას მილიონობით სუბსიდიას გამოუყოფს 2

ისევ გოგუასა და ჩერვიჩენკოზე

შეთანხმების მიხედვით, სატურნს მის სანაცვლოდ 700.000 დოლარი უნდა გადაეხადა ჩერვიჩენკოსთვის. იყო კიდევ ერთი პირობა: კონტრაქტი სრულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდებოდა, თუკი „სატურნი“ თანხას პირველი წრის შემდეგ გადაიხდიდა, სხვაგვარად - ესეც შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტია - გოგუას რუსი ბიზნესმენ-მენეჯერი დაიბრუნებდა.

პირველი წრე დასრულდა, სატურნმა ფეხბურთელის დატოვება გადაწყვიტა, მაგრამ ფული როგორც მანამდე არ ჰქონდა გადახდილი, ასევე არც მომავალში აპირებდა. ჩერვიჩენკომ დახმარებისთვის რუსეთის საფეხბურთო კავშირის მაღალჩინოსნებს მიმართა.

2

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

რა დროს კონტრაქტია?!

5 იანვარს წილი ფედერაცია-ტოპისაც ეყრება

კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტი წლეულსვე გაფორმდება - რამდენიმე გამოცემაში, რამდენჯერმე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე დიდმოხელემ ასე განაცხადა, მაგრამ ასე არ მოხდა - ტოპმიოლერი თბილისში ერთი კვირის წინათ ჩამოვიდა და ფედერაციას ხელი ჩაურტყა - ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე თანახმა ვარო.

მაგრამ კონტრაქტი ჯერ არ არის ხელმოწერილი. ცხადია, საამისოდ ფედერაციას და ტოპმიოლერს გარანტიები სჭირდებათ - საქართველოში სტაბილურობა უნდა იყოს და ხელისუფლებაში ის ძალა უნდა მოვიდეს, რომელიც ფედერაციას მილიონობით სუფსიდიას გამოუყოფს.

ასეთი პოლიტიკური ძალა **მიხეილ სააკაშვილის** ხელისუფლება იყო ფედერაცია-ტოპმიოლერისთვის, მაგრამ რა მოხდება 5 იანვრის არჩევნებზე და შემდეგ, ღმერთმა უწყის.

ვფიქრობთ, ფედერაცია-ტოპმიოლერმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, კონტრაქტის გაფორმება გაისისთვის რომ გადადო. ფედერაციაში გვითხრეს, ტოპმიოლერი თბილისში შობამდე არ ჩამოვაო.

დავით თავართქილაძე

გოგიტა გოგუა (ბურთით) სატურნსა და ჩერვიჩენკოს შორის ურთიერთობის გარკვევას ელის

კლაუს ტოპმიოლერი

ლეგიონერი

მოტყუებული ჩერვიჩენკო სატურნს გოგუას ედავება

გოგიტა გოგუას ბურუსით მოცულ ვითარებაზე შედარებით მეტი შევიტყვეთ, ვიდრე ეს ინტერნეტითა და რუსული გაზეთებიდან არის შესაძლებელი. საქართველოს ნაკრებისა და რამენსკოეს „სატურნის" ნახევარმცველის ტრანსფერებში კარგად ჩახედულმა პიროვნებამ საინტერესო სიახლეები გავიმხილა.

მართალია, რუსული მედია ამტკიცებს, თითქოს „სატურნიდან" ფეხბურთელი გაუშვეს, მაგრამ ასე მარტივად არაა საქმე. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რეალურად რა წინააღმდეგობა წარმოიქმნა ქართველის სატრანსფერო დოკუმენტის ძველ და ახალ მფლობელებს შორის.

რა დასამალია და დღემდე ბევრი კითხვა გვიჩნდებოდა, რა და როგორ მოხდა. ყველას კარგად ემახსოვრება, რომ თებერვალში გოგუამ „სატურნთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, 77-ე ნომრიანი მაისური მიიღო და ეს ყოველივე თავადაც გვითხრა. დღეისათვის კი რუსული მედია ამტკიცებს, თითქოს, ქართველი ნახევარმცველი რამენსკოელებს მხოლოდ და მხოლოდ იჯარით ჰყავდათ და უკან, „ხიმკიში" აბრუნებენო.

ისტორია თებერვალში დაიწყო, როდესაც „ხიმკის" ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ **ანდრეი ჩერვიჩენკოს** რამენსკოეს „სატურნის" ხელმძღვანელობა ქართველი ნახევარმცველის გამოსყიდვაზე დაელაპარაკა. როგორც საქმეში ჩახედული ადამიანი ამბობს, ჩერვიჩენკო არც ისეთი ბუაა, საქართველოში რომ ხატავთო. რუსმა ბიზნესმენმა მაშინ გოგიტას ინტერესი გაითვალისწინა და კლუბში უპრობლემოდ, დიდი წვალების გარეშე და რაც მთავარია, საკმაოდ იაფად გაუშვა მოლაპარაკება რომ არ ჩაშლილიყო.

გახსოვთ, ალბათ, იანვრის დასაწყისში დაწყებული მოლაპარაკება „ჰარისსა" და გოგუას სატრანსფერო ფურცლის მფლობელ ჩერვიჩენკოს შორის ბრიტანეთის შრომის სამინისტროს უარმა ჩაშალა. შემდეგ გოგიტა „ტომში" გადავიდა, მაგრამ გასინჯვა წარუმატებლად დასრულდა და კონტრაქტი ვერ გააფორმა.

აი, ასეთი განერვიულებული და ხასიათნამხდარი გახლდათ გოგუა თებერვალში, როდესაც „სატურნი" გამოჩნდა. ამას გარდა, სეზონიც მალე იწყებოდა და რუსმა ბიზნესმენმა გაჯიქება არ დაიწყო.

შეთანხმების მიხედვით, გოგიტა სამწლიან კონტრაქტს გააფორმებდა და რამენსკოელები მის სანაცვლოდ 700.000 დოლარს გადაიხდიდნენ, მაგრამ იყო კიდევ ერთი პირობა. კონტრაქტი სრულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდებოდა, თუკი „სატურნი" თანხას პირველი წრის შემდეგ გადაიხდიდა და ფეხბურთელის შესახებ ჩერვიჩენკოს საბოლოოდ შეუთანხმდებოდა. სხვაგვარად - ესეც შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტია - გოგუას რუსი ბიზნესმენ-მენეჯერი დაიბრუნებდა.

პირველი წრე დასრულდა, „სატურნმა" ფეხბურთელის დატოვება გადაწყვიტა, მაგრამ ფული როგორც მანამდე არ გადაეხადა, ასევე არ აპირებდა მომავალშიც. ჩერვიჩენკო კი „გადაგდებას" არაა შეჩვეული, ნონიანი ადამიანია, ტყუილს ვერ შეეპუა და რუსეთის საფეხბურთო კავშირის მაღალჩინოსნებს დახმარებისთვის მიმართა.

შესაძლოა, ჩერვიჩენკოს ჩვენში რუხი კარდინალის სახელით იცნობენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ის მართალი გახლდათ. რუსეთის საფეხბურთო კავშირის ტრანსფერებისა და სადავო საკითხების კომიტეტმა დავა განიხილა და რამენსკოელებს თანხის გადახდა დააავალა, ან ფეხბურთელი ისევ ჩერვიჩენკოს უნდა დაბრუნებოდა.

სეზონი დასრულდა და „სატურნი" კაპიკის გაღებას არ აპირებდა და აქედან გამომდინარე, მხარეებს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. რატომ ყოყმანობდა „სატურნი"? რამენსკოელები ამტკიცებენ, რომ ჩერვიჩენკოს ხელმოწერილი დოკუმენტი იურიდიულად გამართული არაა და ფულს ამიტომ არ გადავიხდითო. ჩერვიჩენკო კუთვნილის მიღებას ითხოვდა და ამაში ვერავინ გაამტყუნებს, ფეხბურთელი თქვენი, ფული ჩემი, ოღონდ, სიტყვა შეასრულეთო.

ამასობაში, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველით რუსეთის ჩემპიონი, პეტერბურგის „ზენიტი" დაინტერესდა. მართალია, გოგიტა გოგუასთვის წინა სეზონი წარმატებული ნამდვილად არ იყო, ტრავმის გამო ბევრი გაუცდა, შემდეგ გუნდის ძირითადშიც იშვიათად ხვდებოდა, მაგრამ მთავარი მაინც ტრავმა გახლდათ. მისი პოტენციალი კი ყველასათვის ცნობილია.

მოლაპარაკება მის მენეჯერებთან მიმდინარეობდა და საკმაოდ დიდ თანხასაც სთვაზობდნენ. თუმცა, როგორც გვითხრეს, შეთანხმება ჯერაც ვერ მოხერხდა, რადგან გოგუა პეტერბურგელებს დამატებით პირობებს უყენებს. ამასთანავე, მას ანდრეი ჩერვიჩენკოსთან ურთიერთობა აღარ სურს.

როგორც ჩანს, „სატურნში" მიხვდნენ, რომ სპორტული აფერისტობისთვის თავზე ხელს არავინ გადაუსვამდა და ფულის გადახდას დაყაბულდნენ. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, გოგიტა კვლავ რამენსკოეში დარჩება, მაგრამ მოლაპარაკების პროცესში ჯერ კიდევ მრავალი კითხვის ნიშანია. ამიტომაც, ჩვენ ჯერ ვერ ვამბობთ, რომ გოგიტა 2008 წელსაც აუცილებლად „სატურნის" მაისურას მოირგებს. თუმცა ალბათობა ამისა უფრო დიდია, ვიდრე იმისა, რომ გოგიტამ „ზენიტში" ითამაშოს. მოკლედ, მალე ბევრი რამ გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი.

აქვე კიდევ ერთ საინტერესო ამბავს ვიტყვით: გოგუას პეტერბურგელები რუსეთის მოქალაქეობას სთავაზობდნენ, მაგრამ ამ წინადადებაზე თავი შორს დაიჭირა.

გოგუა პირველი ქართველი ლეგიონერი არაა, რომელსაც რუსებმა ნატურალიზაცია შესთავაზეს. ანალოგიური შეთავაზება ყაზანის „რუბინის" მეკარე **ნუკრი რევიშვილმაც** მიიღო და აქაც იგივე პასუხი მიიღეს, რადგან მას საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარის თქმა არც უფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის სანაცვლოდ, შემადგენლობაში მოხვედრის მეტი შანსი და პრივილეგიები გაუჩნდებოდა.

ორივე მათგანმა უარი **მამუკა ჯუღელის** აზრის გათვალისწინებითაც განაცხადა, რომელიც პასპორტის შეცვლის იდეას კატეგორიულად ენინააღმდეგება. არადა, ფეხბურთელებისთვის მარტივი პროცედურაა, დაინტერესებული პირი შეიტანს განაცხადს და პასპორტს ოპერატიულად უმზადებენ.

მერაბ მამულაშვილი

მეორე წრისთვის მზადებას "მესხეთი" ნაახალწლევს შეუდგება. ჯერ ჯერობით, უცნობია, სად გაივლიან ახალციხელები შეკრებას. მზადების პირველ ეტაპს ისინი ადგილზე შეუდგებიან, შემდეგ კი შესაძლოა, ბაკურიანში გადაინაცვლონ. "მესხეთი" თბილისშიც ჩამოვა საკონტროლო მატჩების ჩასატარებლად.

სეზონის მეორე ნახევრისთვის გუნდი დიდად არ გადახალისდება, ხელმძღვანელობა და სამწვრთნელო შტაბი შედეგებით კმაყოფილია და წარმატებული შემადგენლობის წევრებთან გამოთხოვებას არ აპირებს. გასარკვევია სომეხი ლეგიონერის, **ჰაიკ აკოფიანის** საკითხი.

ახალციხელებს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის დამატებაც სურთ. პროგრამა-მინიმუმი – უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ფაქტობრივად, შესრულებულია, მაგრამ "მესხეთის" მესვეურებს ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავება უნდათ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა სამძიმარს უცხადებენ ცნობილ ვეტერან ფეხბურთელს ვაჟა ვვანიას მამის გარდაცვალების გამო.

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექა გოცირიძე

სავარაუდო ტრანსფერი

გოცირიძე რუსულ პრემიერლიგაში?

ზესტაფონს ნალჩიკი შეეხმიანა

რუსულმა ინტერნეტ-გაზეთმა „გაზეტამ" პრემიერლიგის კლუბების შესაძლო ტრანსფერების სია გამოაქვეყნა. ნალჩიკის „სპარტაკის" სასურველ მოთამაშეთა სიაში „ზესტაფონის" 20 წლის თავდამსხმელის, **ბექა გოცირიძის** გვარიც ამოვიკითხეთ. ამასთან ერთად, „სპორტ-ექსპრესმა" ნალჩიკელთა მთავარ მწვრთნელს, **იური კრასნოჟანს** ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც მან ქართველი თავდამსხმელისადმი ინტერესი დაადასტურა, მალე ეს ბიჭი ჩვენთან იქნებაო.

გოცირიძეს „სპარტაკში" გასასინჯად არ იწვევენ. მას პირდაპირ კონტრაქტს სთავაზობენ. შესაძლოა, რუსეთის პრემიერლიგის გუნდის ასეთი ინტერესი და ნდობა საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელის მიმართ გაგიკვირდეთ, მაგრამ შემთხვევით არაფერი ხდება და ამ შემთხვევაშიც, წინაპირობები არსებობდა. საქმე ისაა, რომ ბექა ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ნალჩიკელებთან ერთად ვარჯიშობდა, ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა, ორი გოლით თავი გამოიჩინა და ჯერ კიდევ მაშინ შესთავაზეს კონტრაქტი.

კრასნოჟანს (რომელის იშვიათ სასელექციო ნიჭსაც რუსები აღიარებენ) სწრაფი, ტექნიკური და შრომისმოყვარე ქართველი ტალანტის გასასინჯთა უფერული მასიდან გამორჩევა არ გასჭირვებია და ორიოდე დღის შემდეგ დარჩენა ამიტომ შესთავაზა. სამწუხაროდ, მოხდა ყველაზე ცუდი და გაუთვალისწინებელი რამ - ბექას კოჭი გადაუტრიალდა, ტრავმირებულს კი კონტრაქტს არავინ უფორმებს და საქართველოში ასე გულდაწყვეტილი დაბრუნდა.

თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ნალჩიკელთა დამრიგებელი გოცირიძის ამბებით კვლავინდებურად ინტერესდებოდა. ბექა კლუბშიც არც კლუბში იყო ჩამორჩენილებში და არც ნაკრებში. ქვეყნის ახალგაზრდული გუნდში თავი გამოიჩინა, განსაკუთრებით რუსებთან, გადამწვეტი, ულამაზესი ბურთი გაიტანა და კრასნოჟანმა მიხვდა, დასაფიქრებელი ალარაფერი იყო და შეეხმიანა.

ერთი საინტერესო დეტალი: ადრე ბექაზე როდესაც წერდნენ, ხშირად ახსენებდნენ მის სიმაღლეს, რომ ის ტანდაბალი თავდამსხმელია. მართლაც, ორი წლის წინათ მისი სიმაღლე სულ რალაც 1,70 მეტრი იყო. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ის ბექა აღარაა, სიმაღლეში საკმაოდ გაიზარდა და 1,77 მეტრამდე გაიზრდა.

თუმცა ჯერ „სპარტაკის" ინტერესი ინტერესადვე რჩება. მართალია, დაიწერა, თითქოს, ბექა უკვე ნალჩიკელებთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ ეს მცდარი ინფორმაცია აღმოჩნდა. გოცირიძე ისევ თბილისშია და ინფორმაციის დაზუსტებაში დაგვეხმარა.

„ამ ინფორმაციებს მეც გავეცანი, თურმე, კრასნოჟანი ამბობს, რომ მიმატებენ, რომ უკვე კლუბში ვვარჯიშობ და ა.შ. ტრანსფერის საკითხი ჯერ გადაწყვეტილი ნაღდად არაა და დღემდე არც რუსეთში ნავსულვარ. „ზესტაფონმა" მომზადება დაიწყო და მეც კლუბთან ერთად ვვარჯიშობ. თუმცა ინტერესი რომ გააჩნიათ, ამის დადასტურება შემიძლია. ახლა კლუბებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება და როგორც „ზესტაფონის" პრეზიდენტი გადაწყვეტს, მეც ისე მოვიქცევი. ისე, ბუნებრივია, მოლაპარაკებების დასრულებას იმედიანად ველოდები" - გვითხრა ბექა გოცირიძემ.

მერაბ მამულაშვილი

25 წელი ციხეში

კახა კალაძის ძმის, **ლევანის** მკვლელებს თბილისის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა. **ლევან ცინცაძე** საპყრობილეში 25 წელიწადს გაატარებს. ეს გადაწყვეტილება საბოლოო არაა, მისი გასაჩივრება ერთი თვის ვადაშია შესაძლებელი. ლევან კალაძის სასტიკი მკვლელობისთვის კიდევ სამი პირი გასამართლდა ამ წლის მარტში. **დავით ასათიანს** 25-წლიანი წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მის თანამონაწილე **მერაბ ამისულაშვილს** კი – 5-წლიანი. მძიმე სასჯელი ელოდება ამჟამად საფრანგეთში მყოფ **თეიმურაზ გაგნიძესაც**.

შეგახსენებთ, ლევან კალაძე ფულის გამოზალვის მიზნით 2001 წელს გაიტაცეს და იმის მიუხედავად, რომ კალაძეების ოჯახისგან 600 ათასი აშშ დოლარი მიიღეს, ლევანი მაინც მოკლეს.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN ტ-ბ კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ლეგიონერი

არველაძე მნიშვნელოვანია

„ლევანტეს" მთავარმა მწვრთნელმა **ლუიჯი დი ბიაზიმ** განაცხადა, რომ მიუხედავად ფინანსური კრიზისა, კლუბი თავს დააღწევს პრიმერადივიზიონის ბოლო ადგილს, თუმცა საამისოდ ბევრი რამაა გასაკეთებელი: *„ამისთვის საჭიროა ახალი, უფრო კვალიფიციური კადრები. ამ შემადგენლობით გადარჩენაზე საუბარი ზედმეტია. მეორე წრეში თუ ჩვენ 38, 39 ქულას დავაგროვებთ, გვეშველება"*. დი ბიაზი ცალკე შეეხო **შოთა არველაძის** თემას: „შოთა არველაძე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელია. თუ ის სრულად გამოჯანმრთელდება და ფორმაში შევა, „ლევანტესთვის" ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. დღეისათვის ძნელია ვისაუბროთ, რომ ის გადაგვარჩენს. ახლა შეუიარაღებელი თვალითაც ცხადია, რომ არველაძეს ფეხებში სათანადო ძალა არ აქვს".

რაც შეეხება თავად არველაძეს, თავს კარგად გრძნობს და დამდეგი წლის იმედადაა. *„სასურველ კონდიციამდე მისაღწევად ჯერ ბევრი მიკლია. ალბათ, ესეც მოგვარდება, მხოლოდ დროა საჭირო"*, - აცხადებს ის ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში. დრო კი „ლევანტეს" ძალიან ცოტა აქვს. თუ კლუბმა მეორე წრის დასაწყისშივე არ დაიწყო ქულების დაგროვება, გავარდნა არ ასცდება.

შოთა არველაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაბა მუჯირი კლუბების მსოფლიო ჩემპიონატზე

ამერი

ბელხატოვი დეკანოსიძეს ეპატიჟება, ჩეხეთი ტატანაშვილს

გიორგი ჩიხრაძე: შეცდომები ყველამ დავუშვით

თბილისის „ამერის" საპირველნრეო ჩვენებური შეფასება რამდენიმე დღის წინათ შემოგთავაზეთ, ახლა კი ამერელთა მთავარ მწვრთნელ **გიორგი ჩიხრაძესაც** გამოვკითხეთ რალაც-რალაცეები.

„ამერმა" პირველი წრე მეექვსე ადგილით რომ ჩაამთავრა, ყველასთვის მოულოდნელი იყო. მეორე წრეში „ამერს" მისხალი შანსი თუ შერჩა ჩემპიონობისთვის და ალბათ, იმ ფრონტზე გადაისვრის ძალებს, სადაც ბრძოლა კარგად გამოსდის - ბოლო ორი წელიწადია, „ამერი" საქართველოს თასს არავის უთმობს.

სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას „ამერი" 3 იანვარს დაიწყებს. პირველი შეკრება კი „ამერს" გრიგოლეთში ექნება. გურიაში ამერელები აქცენტს ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთებენ და ორმხრივ თამაშებს გამართავენ. რაც შეეხება მეორე შეკრებას, „ამერი" მას ან ანთალიაში გამართავს, ან ისევ გრიგოლეთში.

„თუ მეორე შეკრებაც გრიგოლეთში გვექნება, სპარინგ-მეტოქეების გამოძებნა საკონტროლო მატჩებისთვის მაინც არ გაგვიჭირდება. გრიგოლეთის ახლომახლო რამდენიმე ქართული გუნდი აპირებს შეკრების გამართვას და მათ გავეჯიბრებით", - გვითხრა ჩიხრაძემ.

შეკრება ერთია, მაგრამ ყველაზე აქტუალური ამერისთვის ალბათ ის არის, თუ რა კონტინგენტი ეყოლება მეორე წრისთვის. კლუბის პრეზიდენტმა **ზურაბ ფოცხვერიამ** კი გვითხრა, ამ ეტაპზე გუნდში სერიოზული ცვლილებები არ იქნებაო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ამერში" იანვარ-თებერვალში წამსვლელ-მომსვლელები არ იქნებიან.

„ამერი" უკვე დატოვა 32 წლის ფლანგელმა **გიზო ჯელაძემ** - ის ყაზახურ „ვოსტოკში" ითამაშებს და ის ალბათ, არ იქნება ბოლო, ვინც მეორე წრემდე წავა „ამერიდან".

„არის კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი, რომელთაც წასვლა სურთ. როცა ყველაფერი გაირკვევა, იქიდან გამომდინარე ვიმოქმედებთ სელექციაზე. ამერელებით დაინტერესებული არიან როგორც უცხოური, ასევე ქართული კლუბები. გიორგი დეკანოსიძის აყვანა პოლონურ „ბელხატოვს" უნდა, თუმცა ტრანსფერი ჯერ არ არის გადაწყვეტილი. დიმიტრი ტატანაშვილით დაინტერესებულნი არიან ჩეხეთში და უკრაინაში. შესაძლოა, ჯელაძის გარდა კიდევ წავიდეს ვინმე „ამერიდან" ყაზახეთში", - მოგვახსენა ჩიხრაძემ.

დეკანოსიძე ერთ სანაკრებო შეკრებაზე **კლაუს ტოპმიოლერმაც** გამოიძახა. მას მალე 27 წელი შეუსრულდება. თავის დროზე მეორე ბუნდესლიგის „ფიურტში" იყო, უთამაში ყველა ასაკობრივ ნაკრებში. კარგად გაისარჯა წლეულს უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბელხატოვთან" და ცხადია, პოლონელებსაც მაშინ მოუვიდათ ის თვალში.

„ბელხატოვამდე" ამერს წინასასეზონო შეკრება ჩეხეთში ჰქონდათ და ალბათ იქ შეამჩნიეს ჩეხური კლუბების მესვეურებმა ტექნიკური და კარზე დაგეშილი შემტევი ტატანაშვილი. ტოპმ ისიც გამოსცადა ნაკრებში - ტატანაშვილის გამთანაბრებელმა გოლმა აზერბაიჯანში მარცხისგან იხსნა ჩვენი ნაკრები (1:1). ამ ეროვნულ ჩემპიონატში 24 წლის ტატანაშვილმა ხუთი გოლი გაიტანა.

„ამერს" პირველ წრეში ხელი მოეცარა და ალბათ კლუბსაც უნდა, რამდენიმე ფეხბურთელი დაითხოვოს. ჩიხრაძემ გვითხრა, ასეთი მოთამაშეების დასახელებისგან ჯერ თავს შევიკავებო.

და თვითონ ჩიხრაძემ სად დაუშვა შეცდომა?

„ამერმა" პირველი წრე ცუდი შედეგით რომ ჩაამთავრა, შეცდომები ყველას ჰქონდა. ვფიქრობ, რალაც-რალაცეები გამოგვეპარა გუნდის დაკომპლექტებაში - გაძლიერება ნამდვილად არ გვაწყენდა. სეზონის წინ გვეგონა, რომ მეტს მივაღწევდით. სამუშაო პროცესში სხვა შეცდომებიც გვქონდა, მაგრამ ამაზე პრესაში საუბარს არ ვაპირებ", - განგვიმარტა ჩიხრაძემ.

„ამერი" თხუთმეტი ქულით ჩამორჩება ლიდერ „დინამოს" და ამერელთა დამრიგებელმა გვითხრა, მთავარ აქცენტს თასზე კი გადავიტანთ, მაგრამ


გიორგი ჩიხრაძე

არც ჩემპიონატი იქნება მივიწყებული, მესამე ადგილისთვის ვიბრძოლებთო.

პირველ წრეში ჩიხრაძეს ყველაზე უფრო „დინამო" მოეწონა, ფეხბურთელებიდან კი დინამოელი **გიორგი მერებაშვილი** - მან აშკარად მოუმატა თამაშსო.

ჩიხრაძისთვის სიურპრიზი იყო ვიტჯორჯიელი **ირაკლი კლიმიაშვილის** კარგი თამაში. რამდენიმე ფეხბურთელმა გამოიჩინა თავი, მაგრამ მათგან ეს მოსალოდნელი იყო, კლიმიაშვილი კი ბოლო დროს მართლაც დაწინაურდაო, გვითხრა ჩიხრაძემ, ვინაც პირველ წრეში ბორჯომელი **შოთა გრიგალაშვილის** თამაშიც გამოარჩია.

ხოლო, თუ ჯელაძის გარდა კიდევ ვინ დატოვებს „ამერს", ეს დაახლოებით 10 იანვრამდე გაირკვევა.

დავით თავართქილაძე

დიმიტრი ტატანაშვილი

გიორგი დეკანოსიძე

ლეგიონერი

სპარსელებმა მუჯირი საქართველოში გამოუშვეს

2007 წელი წარმატებული გამოდგა **ჯაბა მუჯირისთვის**. ისპაჰანის „სეპაჰანში" ის აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის საგზურიც მოინაგრა, სადაც მეოთხედფინალამდე მივიდა.

ირანის ჩემპიონატში „სეპაჰანი" ახლა მეორე ადგილზეა, მუჯირს კი არ გაუმართლა - სპარსული ლიგის ბოლო მატჩში „ზობაჰანთან" ტრავმა მიიღო - მატჩის მიწურულს უხერხულად დაეცა და მხარი დაიზიანა.

ჯაბა ისე დაშავდა, გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობს და „სეპაჰანმაც" ნება დართო, რამდენიმე დღით სამშობლოში ჩამოსულიყო. მუჯირი ახლა თბილისშია და ფიზიოთერაპიის კურსს იტარებს.

„სეპაჰანი" ირანის ლიგაში პირველადგილოსან „პერსპოლისს" ოთხი ქულით ჩამორჩება და ერთი მატჩით ნაკლები აქვს ნათამაშევი. 31 დეკემბერს ისპაჰანელები სწორედ „პერსპოლისს" მასპინძლობენ და მუჯირისთვის, რა თქმა უნდა, დასანანია, რომ ვერაფრით დაეხმარება „სეპაჰანს".

დავით თავართქილაძე

თარხნიშვილი საუკეთესო შერიფელია


ვაჟა თარხნიშვილი

ტირასპოლის "შერიფის" კაპიტანი **ვაჟა თარხნიშვილი** კლუბის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. "შერიფის" ოფიციალური ვებგვერდის მიერ გამოკითხული ათასამდე გულშემატკივრიდან ჩვენს თანამემამულეს ხმა 26-მა პროცენტმა მისცა. ცნობისათვის, მეორე ადგილი **ალექსანდრ სუვოროვმა** დაიკავა 24 პროცენტით, მესამეზე კი 11 პროცენტით **ანდრეი კორნეენკოვი** გავიდა.

ამას წინათ ვაჟას კიდევ უფრო დიდი აღიარება ხვდა წილად. იგი "შერიფის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

ნიკა გვათუა

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენდელას თასი

დღეს ნახევარფინალია

რამდენიმე დღეა, აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის, **ზაზა ბენდელიანის** ხსოვნის ტრადიციული ტურნირი მიმდინარეობს. ისტორიაში პირველად, გათამაშება ღია ცის ქვეშ, "საბურთალოს" საფეხბურთო სკოლის მოედანზე ტარდება. წლეულს ტურნირის გამართვა სპორტის სასახლეში ვერ მოხერხდა.

"ბენდელას თასზე" ამჯერადაც მონაწილეობენ ცნობილი ფეხბურთელები. ასე მაგალითად, "ნაძალადევის" შემადგენლობაში **გიორგი ნემსაძე** და **გოჩა ჯამარაული** თამაშობენ, "საბურთალოს" ღირსებას **ლევან ყენია** იცავს, სეუ-ს (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი) რიგებში კი **დავით ოდიკაძე, გიორგი ნავალოვსკი, ლაშა ნოზაძე** და **გურამ კაშია** გამოდიან. ტურნირში ერთი უმაღლესლიგელიც ასპარეზობს ცხინვალის "სპარტაკის" სახით.

A ჯგუფი

სპარტაკი-სამედიცინო უნ.	3:1
ნაძალადევი-გაგრა	7:2
გაგრა-სამედიცინო	3:2
ნაძალადევი-სპარტაკი	4:1
ნაძალადევი-სამედიცინო	3:0
სპარტაკი-გაგრა	3:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ნაძალადევი	3	3	0	0	14-3	9
2. სპარტაკი	3	2	0	1	7-6	6
3. გაგრა	3	1	0	2	6-12	3
4. სამედიცინო	3	0	0	3	3-9	0

B ჯგუფი

გალარეული-ულევი	3:1
დინამო 2-ტმნ	2:0
გალარეული-დინამო 2	8:3
ულევი-ტმნ	2:2
გალარეული-ტმნ	5:2
ულევი-დინამო 2	4:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გალარეული	3	3	0	0	16-6	9
2. ულევი	3	1	1	1	7-5	4
3. დინამო 2	3	1	0	2	5-12	3
4. ტმნ	3	0	1	2	4-9	1

C ჯგუფი

ლუკ ოილი-ლიგერტა	3:1
სეუ-საბურთალო	3:2
სეუ-ლიგერტა	4:0
ლუკ ოილი-საბურთალო	4:3
ლიგერტა-საბურთალო	2:1
სეუ-ლუკ ოილი	6:0

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. სეუ	3	3	0	0	13-2	9
2. ლუკ ოილი	3	2	0	1	7-10	6
3. ლიგერტა	3	1	0	2	3-8	3
4. საბურთალო	3	0	0	3	6-9	0

მეოთხედფინალი

სპარტაკი-ულევი	2:1
ნაძალადევი-ლიგერტა	5:1
სეუ-გაგრა	7:2
გალარეული-ლუკ ოილი	1:1 პენ. 4:3

დღეს ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:

ნაძალადევი-გალარეული

სეუ-სპარტაკი



დავით კვირკველია

ლეგიონერი

კვირკველიას უკრაინული მონაგარი

წრის სიმბოლური ნაკრები, საუკეთესო ასისტენტი, ფეხბურთელი და ხალხის სიმპათია

ზაპოროჟეს „მეტალურგი" უკრაინაში წლის აღმოჩენად აღიარეს. კლუბი არც ფინანსურად გამოირჩევა და ბუნებრივია, ვერც მსოფლიო დონის ფეხბურთელების ტრანსფერებით მოინონებს თავს. მიუხედავად ამისა, პირველი წრე გუნდმა საკმაოდ ნარმატებით ჩაატარა.

ახლა პირველი წრის შედეგების დაჯამების, კლუბების გამოსვლისა და თითოეული მოთამაშის ღვაწლის შეფასების დრო დადგა და „მეტალურგის" ქართველი ვიცე-კაპიტანი **დავით კვირკველია** გამორჩეულთა შორის აღმოჩნდა.

ინტერნეტ-გაზეთი „უაფუტბოლი" წერს: „სტაბილურობით გუნდის დაცვა გამოირჩეოდა, სადაც პრაქტიკულად, შეუცვლელად თამაშობდა დათო კვირკველია.

მიუხედავად იმისა, რომ დათოს საქართველოს ნაკრებში თამაშის გამო, კლუბის მიტოვება ხშირად უნევდა, ყოველთვის სტაბილური გახლდათ.

გასაოცარია კვირკველიას უნივერსალიზმიც. მასზე სიტყვა მცველის ხმარება უხერხულიცაა, რადგან უკანა ხაზის გარდა, ქართველ ლეგიონერს „მეტალურგში" ნახევარდაცვასა და თქვენ წარმოიდგინეთ, თავდასხმაშიც იყენებდნენ და ყველგან თავის გამოიჩინა. ასეთ შემთხვევას ძნელად თუ გაიხსენებთ."

თემას უკრაინული „სპორტ-ექსპრესის" შემაჯამებელი სტატიით გავაგრძელებთ. გაზეთმა დათო ტურის სიმბოლურ ნაკრებში ოთხჯერ შეიყვანა და საბოლოოდ, წრის სიმბოლურშიც მიაკუთვნა ადგილი.

ამას გარდა, „სპორტ-ექსპრესმა" საუკეთესო მეპასეებიც გამოარჩია და აქაც დათო ლიდერებშია. საუკეთესო ნახევარმცველებით გადაძეძგილ ჩემპიონატში ქართველი უნივესალი ექვსი გადაცემით, დონეცკის „შახტარის" ხორვატ თავდამსხმელ **სრნასთან** ერთად, მესამე-მეოთხე ადგილს იყოფს.

პირველ ადგილზე ხარკოვის „მეტალისტის" ნახევარმცველი **ალექსანდრ რიკუნი** და კიევის „არსენალის" თავდამსხმელი **ჟოზემარი** არიან. მათ ქართველს მხოლოდ ერთი საგოლე გადაცემით გაასწრეს.

ამას გარდა, გაზეთის მონაცემებით, კვირკველია მეთოთხმეტე ადგილზეა ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელთა შორის. მას რვა ქულა დაუგროვდა - ორი გოლი პლუს ექვსი გადაცემა. უკრანის ნაკრების და „შახტარის" თავდამსხმელი **ალექსანდრ გლადკიი** თოთხმეტი ქულით ლიდერობს (12+2).

გამოკითხვა „მეტალურგის" ოფიციალური ვებ-გვერდის დირექციამაც ჩაატარა და გულშემატკივართა რჩეულებში დათო ზაპოროჟიელი ფინების თხუთმეტი პროცენტის მხარდაჭერით, მეორე ადგილზე გავიდა და მხოლოდ **ალექსანდრ გოდინს** ჩამორჩა (20 %).

'ჩვენთვის ცნობლი გახდა სიახლეც: ინგლისის პრემიერლიგის „სანდერლენდმა" უკვე მესამედ წამოიწყო კვირკველიას გადაბირების სატრანსფერო ოპერაცია, მაგრამ უკრაინელებთან ქართველს კონტრაქტი კიდევ წელიწადნახევარი აკავშირებს და სლავებს მისი გაშვება არ სურთ. თავადაც ჯერ თავს იკავებს, რადგან საუბარია გასინჯვაზე.

მერაბ მამულაშვილი

ფუტზალი

იბერია 2003 ზამთრის ჩემპიონია

გასაკვირი ამაში არც არაფერია, კარგა ხანია უკვე გუნდი არავის უთმობს პირველობას შინაურ ასპარეზზე.

ამ დღეებში საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა. ჩემპიონატი მომავალ წელს 20 იანვარს გაახლდება, მანამდე კი საქართველოს ნაკრებს ბაქოში ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე მოუწევს გამოსვლა.

პირველი წრე „იბერია 2003"-მა მეორე ადგილზე მყოფ „ყაზბეგთან" რვაქულიანი უპირატესობით ჩაამთავრა. პრინციპში მათ დავაში ვერავინ ჩაერევა, რაკილა საბირთალო-ტაო ბანკი და თსუ მათ საკმაოდ ჩამორჩებიან ქულებითაც და თამაშის ხარისხითაც. ბოლო ტურში „იბერია 2003"-მა სწორედ საბურთალო-ტაო ბანკი დაამარცხა ჯერ 8:4, მერე კი 9:4, ხოლო „ყაზბეგმა" თსუ-ს სძლია 3:1 და 7:4.

პირველი წრის შემდეგ ბომბარდირთა დავას 7-7 გატანილი ბურთით სამი ფეხბურთელი ლიდერობს - ბრაზილიელი ლეგიონერი ჟესე (იბერია 2003), არჩილ ბოკერია (ყაზბეგი) და ბექა ნეფარიძე (თსუ).

თეორია

ამბერკი ტაბიძე. დაიბადა 27.12.1952, სამტრედია. ხელბურთი. თამაშობდა თბილისის "ბურევესტნიკსა" (1971-90) და სსრკ ნაკრებში (1977-84). სსრკ თასის მფლობელი (1978), სსრკ ჩემპიონატების სამგზის მესამე პრიზიორი (1977, 80, 81), სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის მესამე პრიზიორი (1975) და VIII სპარტაკიადის საუკეთესო ბომბარდირი (1983). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

ლევ კაპიტონოვი. 27.12.1910, თბილისი — 13.12.1993, იქვე. ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა, მწვრთნელი. მისი აღზრდილები არიან მირიან ცალქალამანიძე და ომარ ბლიაძე. სსრკ დასახურებული მწვრთნელი.

გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას ანარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. ბათუმი

იმედი ბოლოს კვდება

4 ქულა, ბოლო ადგილი და ექვსქულიანი ჩამორჩენა სამშვიდობოსთან - ასეთია „ბათუმის" საპირველწრეო მონაგარი. მეტისმეტად ცუდი შედეგია იმისთვის, რომ გუნდს სეზონის მეორე ნახევარში უმაღლესში დარჩენის შანსი ჰქონდეს. თუმცა ჯერ ყველაფერი არაა დაკარგული და თუ ზამთრის შესვენება ბათუმელებმა ნაყოფიერად გამოიყენეს, შესაძლოა, პოზიციები ნელ-ნელა გაიუმჯობესონ.

შეგახსენებთ, გუნდმა სეზონი ამირან გოგიტიძის ხელმძღვანელობით დაიწყო, შემდეგ „ბათუმს" კანტიძე-ნასუაშვილის დუეტი წვრთნიდა, ბოლო ოთხ ტურში კე აჭარლებს ავთანდილ კუნჭულიამ უხელმძღვანელა. მეორე წრისთვის გუნდი მისივე თავკაცობით მოემზადება.

ავთანდილ კუნჭულია
მთავარი მწვრთნელი

„არ შეიძლება, ბოლოადგილოსანი გუნდის მწვრთნელი შედეგით კმაყოფილი იყოს, თუმცა ამპარტავნობის გარეშე ვიტყვი, რომ ჩემი მოსვლის შემდეგ, „ბათუმს" პროგრესი შეეტყო. როგორც იქნა, გუნდმა ჩემპიონატში პირველი თამაში მოიგო, არც სხვა შეხვედრებში გამოვიყურებოდით ურიგოდ. პირველი წრის მინურულს გუნდი ფიზიკურად უკეთესად იყო მომზადებული".

საუკეთესო მატჩი
„ჩემი ხელმძღვანელობით „ბათუმმა" ყველა მატჩი ნორმალურად ჩაატარა, თუმცა ცხადია, „ლოკომოტივის" ძლევა ყველაზე დასამახსოვრებელი იყო".

ყველაზე ცუდი მატჩი
„მესხეთთან" შედარებით ცუდად ვითამაშეთ, თუმცა რომ არა მეკარისა და მცველების უხეში შეცდომები, ახალციხელებთან არ დავმარცხდებოდით".

პლუსი
„კარგია, რომ გუნდის ღირსებას მთლიანად ადგილობრივი ფეხბურთელები იცავენ. წარმატებისთვის ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ".

მინუსი
„ხარვეზები ჯერაც მრავლად გვაქვს, დასაბალანსებელია შემადგენლობა, გასაუმჯობესებელია ფეხბურთელთა კონდიციები, რაც ყველაზე მთავარია, სატურნირო მდგომარეობაა გამოსასწორებელი".

პროგრამა მინიმუმი პროგრამა მაქსიმუმი
„შევეცდებით, უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად კონკურენტებს რეალური ბრძოლა გავუმართოთ. მთავარი ბრძოლები წინაა".

მზადება
„გუნდი 8 იანვარს შეიკრიბება, ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და ვარჯიშს 10 რიცხვში შევუდგებით. შემდეგ კი ბაკურიანში ვგეგმავთ წასვლას, საამისო სახსრების მოპოვებას პირადი კონტაქტებით შევეცდები".

საკადრო პოლიტიკა
„შემადგენლობა მნიშვნელოვნად უნდა გავაძლიეროთ. ფაქტობრივად, დავასრულეთ მოლაპარაკება 5-6 არაბათუმელ ფეხბურთელთან, რომლებიც დიდ სარგებლობას მოგვიტანენ. მათ გვარებს ჯერჯერობით, ვერ დავასახელებ".

ფინანსური მდგომარეობა
„გვაქვს იმედი, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მძლავრი სპონსორი გამოგვიჩნდება".

რჩეული შეგირდები
„გამოვარჩევდი თოთლაძეს, ცანავას, დარჩიძეს და ჩემს შვილს, ვასილ კუნჭულიას".

პირველი წრის რჩეულნი
1. გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი)
2. გიორგი მერებაშვილი (დინამო)
3. მიხეილ მახვილაძე (ოლიმპი)

ბათუმი და ქომაგი
„პირველი წრის ბოლო ტურებში ბათუმელებმა გუნდს მეტი მონდომება შეატყუვს და სტადიონზე ხალხის რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. ქომაგთა მხარდაჭერის იმედი მეორე წრეშიც გვექნება".

მსაჯობა
„მსაჯობის დონე ამაღლდა, იშვიათად, რომ არბიტრთა შეცდომამ მატჩის შედეგზე გავლენა მოახდინოს".

ორი ჩემპიონატის შედარება
„ეს ჩემპიონატი წინაზე უკეთესია, რადგანაც ჩემი აზრით, მიმდინარე სეზონში უმაღლეს ლიგაში შედარებით ძლიერი გუნდები თამაშობენ".

სკანდალები
„თუ ვინმე მსაჯს ან მეტოქეს შეურაცხყოფას მიაყენებს, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. პირადად მეც გამოვედი წყობილებიდან „მესხეთთან" მატჩისას, მაგრამ მივხვდი საკუთარ შეცდომას და მსაჯს ბოდიში მოვუხადე".

პროგნოზები
„ჩემპიონობას „დინამოს" ვუწინასწარმეტყველებ, თასს კი ალბათ, „ზესტაფონი" მოიპოვებს".

ლევან ჯანეზაშვილი



	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	13	12	0	1	35:4	36
2. ზესტაფონი	13	11	1	1	26:6	34
3. ვიტ ჯორჯია	13	10	1	2	25:8	31
4. ბორჯომი	13	7	4	2	17:9	25
5. ოლიმპი	13	7	3	3	13:8	24
6. ამერი	13	7	0	6	21:16	21
7. მესხეთი	13	6	2	5	15:17	20
8. მგლები	13	5	0	8	14:19	15
9. სიონი	13	4	3	6	16:17	15
10. სპარტაკი	13	3	3	7	5:14	12
11. მერანი	13	3	1	9	7:23	10
12. ლოკომოტივი	13	3	0	10	8:21	9
13. დილა	13	1	3	9	7:24	6
14. ბათუმი	13	1	1	11	5:28	4

ბათუმი

	მატჩი	ძირითადში	გოლი	ყვითელი	წითელი
თედორაძე	13	13	-	1	-
დარჩიძე	13	12	1	3	-
ბეჟანიძე	13	12	-	-	-
ოქრუაშვილი	13	6	-	2	-
დემურაძე	12	8	-	1	-
გალოგრე	11	11	1	1	-
კუნჭულია	11	11	-	-	-
მაკარიანი	10	9	-	1	-
ცანავა	10	7	-	3	1
ქ. მახარაძე	9	9	1	2	1
ზ. ჭელიძე	8	8	-	2	-
გ. მოდებაძე	8	8	1	-	-
თოთლაძე (მეკ.)	8	7	-19	3	-
კაკალაძე	7	7	-	1	-
ლ. მახარაძე	7	5	-	-	-
მამინაშვილი (მეკ.)	6	5	-9	-	-
ბაციკაძე	6	3	1	1	-
ტუღუში	6	-	-	-	-
ა. ბაჯელიძე	2	-	-	-	-
ნაჭყებია	1	1	-	-	-
ბ. მახარაძე	1	-	-	-	-
ფარტენაძე	1	-	-	-	-

I ტური			
11.08	ს	დილა	0:1
II ტური			
18.08	შ	ოლიმპი	0:1
III ტური			
24.08	ს	სიონი	0:1
IV ტური			
1.09	შ	ბორჯომი	1:1
	გოლი: გ. მოდებაძე		
V ტური			
15.09	ს	მერანი	1:2
	გოლი: გალოგრე		
VI ტური			
22.09	შ	სპარტაკი	0:1
VII ტური			
29.09	ს	დინამო	0:7
VIII ტური			
6.10	ს	მგლები	0:1
IX ტური			
19.10	შ	ამერი	0:3
X ტური			
28.10	ს	ვიტ ჯორჯია	1:4
	გოლი: დარჩიძე		
XII ტური			
24.11	ს	ზესტაფონი	0:4
XIII ტური			
1.12	შ	ლოკომოტივი	1:0
	გოლი: ბაციკაძე		
XI ტური			
5.12	შ	მესხეთი	1:2
	გოლი: ქ. მახარაძე		

ბათუმელებმა ერთადერთი გამარჯვება ლოკომოტივთან მოიპოვეს

ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტური

მანჩესტერი არსენალს თავზე აცოცდა

თრილერი: რვა გოლი და სამი გაძევება სტემფორდ ბრიჯზე

პორტსმუთი-არსენალი. სესკ ფაბრეგასი და მეთოფეები მეტოქესთან ვერაფერს გახდნენ და პირველი ადგილი ეშმაკებს დარჩათ

სერ ალექს ფერგიუსონმა ყოფილ შეგირდ **როი კინს** გაკვეთილი ჩაუტარა. "მანჩესტერ იუნაიტედმა" "სანდერლენდს" ცალი ფეხით მოუგო. კლასში სხვაობა თვალსაჩინო გახლდათ. "ეშმაკებმა" პირველსავე ტაიმში სამი გოლი გაიტანეს. თამაშის ბედი შესვენებამდე გადაწყდა. ამიტომ მეორე ნახევარი უსახური სანახავი იყო. ტრიბუნები მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდნენ, როცა თამაშის მინურულს **ლუის საამ** პენალტი გაიტანა. გუშინ ფრანგმა თავდამსხმელმა დუბლი შეასრულა. იმის გამო, რომ "არსენალმა" "პორტსმუთთან" ვერაფერი გააწყო, "იუნაიტედმა" პირველ ადგილზე გადაინაცვლა. მან "მეთოფეებს" ერთი ქულით გაუსწრო.

როი კინი წაგებას გაგებით უნდა მოეკიდოს. მას ყველაზე კარგად მოეხსენება თავისი გუნდის პოტენციალი. "სანდერლენდი" იმ დონის კლუბი არ არის, რომელიც პრემიერლიგის დიდ ოთხეულს ქულებს აართმევდა, მაგრამ ერთია ფავორიტებთან გამარჯვება და მეორე - მათთან ღირსეულად თამაში. მიმდინარე სეზონში "სანდერლენდმა" "ოლდ ტრეფორდსა" და "ემირატს სთედიუმზე" მინიმალური ანგარიშებით. მან ორივეგან ღირსეულად ითამაშა. გუშინ ღირსეული მეტოქეობა არ გამოვიდა. "ეშმაკებმა" ოთხი უპასუხო გოლი გაიტანეს. "სანდერლენდი" გასავარდნ ზონაში, ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება. მას უსაფრთხო ზონისაგან ორი ქულა ჰყოფს.

სერ ალექსმა "სთედიუმ ოფ ლაითზე" ძალები დაზოგა. ეს ყველაფერში იგრძნობოდა - გუნდის დაკომპლექტებით დაწყებული და ფეხბურთელების შენელებული მოძრაობებით დამთავრებული. ფერგიმ სანდერლენდში საერთოდ არ ნაიყვანა **რაიან გიგზი** და **ანდერსონი, კარლოს ტევესი** და **პატრის ვერა** სკამზე დასვა, ხოლო **კრისტიანო რონალდო** 57-ე წუთზე შეცვალა. იმ მომენტისათვის საქმე უკვე გაკეთებული იყო. **რონალდოს** ერთი გოლი ჰქონდა გატანილი და დასვენებას იმსახურებდა.

მასპინძელთა შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა 17 წლის თავდამსხმელ **მარტინ ვოგჰორნს**. მან ბევრით ვერაფრით გამოიჩინა თავი, მაგრამ პრემიერლიგის პირველ მატჩში "მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშით უკვე დიდი გამოცდილება მიიღო. პირველ ნახევარში ვოგჰორნსა და მის პარტნიორებს **ტომას კუშჩაკი** საერთოდ არ შეუწუხებიათ. პოლონელ მეკარეს ძალიან მშვიდი საღამო ჰქონდა, განსხვავებით კრეიგ გორდონისაგან. შოტლანდიელ კარის დარაჯს რონალდოს ორი საჯარიმო რომ არ აეღო და **ვესლი ბრაუნის** თავურიც არ მოეგერიებინა, 45 წუთის შემდეგ ანგარიში კატასტროფული იქნებოდა.

პირველი გოლი **უეინ რუნიმ** მე-20 წუთზე შეაგდო. იერიში **ვესლი ბრაუნმა** ნამოიწყო, მან კრისტიანო რონალდოს გაუგორა ბურთი. რონალდომ კი თავდამსხმელი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. ათ წუთში რუნიმ ასისტენტობა ითავა. მეტოქის საჯარიმოს მარცხენა კუთხესთან მიიღო ბურთი, მცველი მსუბუქი მოძრაობით ჩამოიცილა და მეკარის საჯარიმოში ლუის საას გაუკეთა პასი. სანდერლენდის მცველებმა პოზიციური შეცდომა დაუშვეს. საამ ბურთს ფეხი დაჰკრა და ანგარიში ორამდე გაზარდა. ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე მასპინძელთა კარში ჯარიმა დაინიშნა. რონალდომ საჯარიმო ისეთ დონეზე შეასრულა, რომ გორდონი პირღია დარჩა. მეორე ნახევარში ყველაზე საგულისხმო ეპიზოდი ის იყო, როცა "სანდერლენდის" კარში პენალტი დაინიშნა. **კოლინსმა ნანი** საკუთარ საჯარიმოში წააქცია. არბიტრმა **ურაია რენიმ** დაუფიქრებლად 11-მეტრიანის ნიშნულისაკენ მიუთითა. საამ გორდონი კვლავ სიამოვნებით დაამწუხრა...

"სტემფორდ ბრიჯზე" ნამდვილი თრილერი გათამაშდა. მაყურებელმა რვა გოლი იხილა. "ჩელსიმ" და "ასტონ ვილამ" დაცვაზე ხელი საერთოდ აიღეს. შეხვედრა ისეთი თანაბარი გამოდგა, რომ ბოლო წუთამდე გაურკვეველი იყო, ვის დარჩებოდა სამი ქულა. აკი, **გარეთ ბერიმ** გადამწყვეტი 11-მეტრიანი მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე შეაგდო. საბოლოოდ, ქულები თანაბრად გაიყო. "არისტოკრატები" თავს იმით თუ დაიმშვიდებენ, რომ საკუთარ მოედანზე მათ ნაუგებელ სერიას ბოლო არ უჩანს და ის უკვე 73 მატჩს მოიცავს (იგულისხმება მხოლოდ პრემიერლიგაში ჩატარებული მატჩები).

გოლების სიუხვის გარდა, ლონდონური პაექრობა წითელი ბარათების სიმრავლითაც გამოირჩა. არბიტრმა **ფილ დაუდმა** სამი ფეხბურთელი გააძევა. რვა გოლი და სამი წითელი ბარათი - ასეთი რამ სანახაობით განთქმულ პრემიერლიგაშიც იშვიათად ხდება. თამაშის ბედი 92-ე წუთზე დანიშნულმა პენალტმა გადაწყვიტა. დაუდმა ჩათვალა, რომ **ეშლი კოულმა გაბრიელ აგბონლაორის** თავური კარის ხაზიდან ხელით გამოიტანა. "ჩელსის" მცველი ცდილობდა, დაერწმუნებინა არბიტრი, რომ ბურთი ხელზე საერთოდ არ შეხებია. გამეორებისას თითქოს ისე ჩანდა, რომ კოულმა ნესების დაცვით ითამაშა. მაგრამ დაუდი მარტო საკუთარ თვალებს არ ენდო და ასისტენტის რჩევით ისარგებლა. ასისტენტმა მას არა მხოლოდ პენალტის დადება ურჩია, არამედ კოულის გაგდებაც, იმ მოტივით, რომ მცველმა განგებ ითამაშა ხელი, რითაც მეკარის კომპეტენციაში შეიჭრა.

ასე იყო თუ ისე, ბოლო წუთზე "ჩელსის" მცველების უყურადღებობას გოლი მოჰყვა. პირველი ნახევარში ბრიყვულად შეცდა პეტრ ჩეხი. მისი წყალობით **მარტინ ლაურსენმა** მეორე გოლი შეაგდო. დანიელი მცველის დარტყმული ძნელი მოსაგერიებელი არ უნდა ყოფილიყო. ის არათუ მოსაგერიებლად, დასაჭერადაც კი იოლი იყო, მაგრამ ჩეხს ის ცხვირწინ აუხტა და კარში მოკალათდა. ამ შეცდომის შემდეგ სტუმრები ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ. აღვნიშნოთ **ანდრეი შევჩენკოს** იშვიათი დუბლი, **მიხაელ ბალაკის** საუცხოო გოლი, რომელიც მან საჯარიმო დარტყმით გაიტანა, აგრეთვე, გერმანელის მიერ მოპოვებული პენალტიც. არ დაგავიწყდეს **რიკარდო კარვალიოს** გაძევებაც. პორტუგალიელი მცველი მეტოქეს ორი გაშლილი ფეხით ჩაუხტა. ამას მხოლოდ დაუდევრობა და უგუნურობა შეიძლება ეწოდოს. დებიუტანტმა ფეხბურთელმაც კი იცის, რომ ასე თამაში არ შეიძლება. კარვალიოს სამმატჩიან დისკვალიფიკაციას მიუსჯიან. გავიხსენოთ, რომ "ჩელსის" ერთი ცენტრალური მცველი, **ჯონ ტერი**, უკვე აკლია. **ავრამ გრანტს** დაცვაში ექსპერიმენტების ჩატარება მოუწევს.

"ლივერპულმა" მაჩანჩალა დერბის წინააღმდეგობა მხოლოდ 90-ე წუთზე გატეხა. გადამწყვეტი გოლი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, **სტივ ჯერარდმა** შეაგდო. მერსისაიდელებმა თამაში შესანიშნავად დაიწყეს. მე-12 წუთზე **ფერნანდო ტორესმა** მე-18 მატჩში მე-15 გოლი გაიტანა. პირველი ნახევარი "ლივერპულისა" იყო. სტუმრები მასპინძლებს თამაშის წესებს კარნახობდნენ. მაგრამ მეორე ნახევარში დერბელთა თავდადებამ ვითარება რადიკალურად შეცვალა. გავიხსენოთ, რომ გასულ უქმეებზე "დერბიმ" ასეთივე გმირული მატჩი ჩაატარა ნიუკასლში და ერთი ქულა წამოიღო (ჯორდებმა თამაშის მიწურულს გაათანაბრეს). ერთი ქულა მას გუშინაც ლამის განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ჯერარდმა სხვაგვარად გადაწყვიტა. გოლის გასატანად მან ლამის მთელი მინდორი ჩაირბინა და მეკარე **ლიუის პრაისს** შანსი არ დაუტოვა. "დერბიმ" თამაში ფაქტობრივად 10 კაცით ჩაამთავრა. **რობერტ ერნშო** დაშავებული იყო. მის გუნდს შეცვლების ლიმიტი ამოწურული ჰქონდა (თავად ერნშოც შეცვლაზე შევიდა). რობერტო მინდორზე დარჩა, მაგრამ ძლივს დააბიჯებდა. გოლამდე რამდენიმე ზუთით ადრე ჯერარდმა ხარიხა შეაზანზარა. გოლის შემდეგ კი ფერნანდო ტორესმა დუბლის შესრულების კარგი შანსი ვერ გამოიყენა. მისი იერიში მეკარემ მოიგერია.

"ევერტონი" "ბოლტონს" იოლად გაუსწორდა. **ტიმ კაჰილმა** მე-13 შეხვედრაში მეშვიდე გოლი შეაგდო. კიდევ ერთი გოლი **ფილ ნევილმა** მიითვალა. შეგახსენებთ, გასულ უქმეებზე ლივერპულელებმა "მანჩესტერ იუნაიტედთან" წააგეს. ბოლო 14 მატჩში ეს "ევერტონის" პირველი წაგება იყო. "ტოტენჰემმა" თანაქალაქელი "ფულჰემი" მიწასთან გაასწორა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მამლებს კაპიტანი და ცენტრალური მცველი **ლედლი კინგი** დაუბრუნდათ. წააგო "ნიუკასლმა". ჯორდებმა თუ ასე გააგრძელეს, **სემ ელერდაისს** დათხოვნა არ ასცდება. ის ისედაც დათხოვნის კანდიდატი იყო დეკემბრის დასაწყისში, როცა მისდა ბედად, "არსენალთან" ფრედ ითამაშა, შემდეგ კი "ბირმინგემსა" და "ფულჰემს" პრინციპული მატჩები მოუგო. "ბირმინგემმა" "მიდლსბრო" დაჩაგრა, ხოლო "ვესტ ჰემი" "რედინგთან" ვერაფერს გახდა.

მოგვიანო ტური

შაბათი, 29 დეკემბერი. ბირმინგემი-ფულჰემი, ჩელსი-ნიუკასლი, დერბი-ბლეკბერნი, ევერტონი-არსენალი, მანჩესტერ სიტი-ლივერპული, პორტსმუთი-მიდლსბრო, სანდერლენდი-ბოლტონი, ტოტენჰემი-რედინგი, ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ., ვიგანი-ასტონ ვილა.

ჩელსი-ასტონ ვილა 4:4

ჩელსი: ჩეხი, ალექსი, რიკარდო კარვალიო, ეშლი კოული, ჰაულო ფერეირა, ჯო კოული, ლემპარდი (26. ბალაკი), კალუ, პისარო (85. ობი), შევჩენკო (82. რაიტ-ფილიპსი).

ვილა: კარსონი, ბუმა (90. ჰერვუდი), ნაიტი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, მელონი (46. კ.დევისი), რეო კოკერი, აგბონდაორი, ქერიუ (78. მური), იანგი.

გოლები: 0:1 მელონი (14), 0,2 მელონი (44), 1:2 შევჩენკო (45-პენ), 2:2 შევჩენკო (50), 3:2 ალექსი (66), 3:3 ლაურსენი (72), 4:3 ბალაკი (88), 4:4 ბერი (90-პენ).

გაძევება: რიკარდო კარვალიო (80. ჩელსი), ზატ ნაიტი (45. ასტონ ვილა), ეშლი კოული (90. ჩელსი).

გაფრთხილება: 3-2; **დარტყმა:** 16(8)-9(4); **ჯარიმა:** 7-11; **კუთხური:** 3-7; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

მაყურებელი: 41 686

ტოტენჰემი-ფულჰემი 5:1

ტოტენჰემი: რობინსონი, შიმბონდა, კაბული, კინგი (83. ტაარაბტი), ლი, ჰადლსტონი, ლენონი, მალბრანკი, ოჰარა, ბერბატოვი (63. ბოატენგი), რობი კინი (68. დეფო).

ფულჰემი: ნიემი, ბეირდი (46. ვოლცი), ბოკანგრა, ჰიუზი (64. ჰილი), კონჩესკი, საიმონ დევისი, დემპსი, კი ჰიეონი (46. ბუაზა), დენი მერფი, სმერტინი, დიომანსი კამარა.

გოლები: 1:0 რობი კინი (27), 2:0 ჰადლსტონი (45), 2:1 დემპსი (60), 3:1 რობი კინი (62), 4:1 ჰადლსტონი (71), 5:1 დეფო (90).

გაძევება: ვოლცი (87. ფულჰემი)

გაფრთხილება: 1-4; **დარტყმა:** 13(8)-9(4); **ჯარიმა:** 10-17; **კუთხური:** 3-17; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

მაყურებელი: 36 077

ვესტ ჰემი-რედინგი 1:1

ვესტ ჰემი: გრინი, მაკარტნი, ნილი, სპექტორი, აპსონი, ლიუნგბერგი, მულინსი, პარკერი, სოლანო (77. ნობლი), ეშტონი, ჯარლტონ კოული (72. ანრი კამარა).

რედინგი: ჰანდმანი, ინგიმარსონი, მერტი, შორი, სონკო, კონვეი (66. სისე), გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი, დოილი (90. ბიკეი), კიტსონი (85. ლონგი).

გოლები: 1:0 სოლანო (42), 1:1 კიტსონი (60).

გაძევება: გუნარსონი (29. რედინგი).

გაფრთხილება: 2-2; **დარტყმა:** 19(11)-13(10); **ჯარიმა:** 8-6; **კუთხური:** 10-6; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

მაყურებელი: 34 277

ბირმინგემი-მიდლსბრო 3:0

ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, ჯაიდი, კელი, კუოდრო, რიჯველი, დემიენ ჯონსონი, ლარსონი (82. ნაფტი), მაკშეფრი, მუამბა, ფორსელი (77. ოკონორი), ჯერომი.

მიდლსბრო: შვარცერი, პოგატეცი, ვიტერი (46. ჰუთი), ვუდგეიტი, იანგი, არკა (70. ადამ ჯონსონი), ბოატენგი, დაუნინგი, როშემბაკი, ალიადიერი (46. ლი), თუნჯაი.

გოლები: 1:0 დაუნინგი (22-საკ.კარში), 2:0 ფორსელი (45), 3:0 მაკშეფრი (90-პენ).

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა:** 13(5)-18(12); **ჯარიმა:** 13-6; **კუთხური:** 12-9; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

მაყურებელი: 24 094

დერბი-ლივერპული 1:2

დერბი: პრაისი, ლიკოკი, მაკევილი, მიერსი, მური (46. ფაილჰაბერი), ბარნესი, ლიუისი, პირსონი (26. ჯონსონი), ტილი (56. ერნშო), სტივ ჰოვარდი, მილერი.

ლივერპული: რეინა, აურელიო, კარაგერი, ფინენი, ჰიპია (54. ბენაიუნი), ჩაბი ალონსო, ჯერარდი, რიისე, ბაბელი (72. კუიტი), ტორესი, ვორონინი, კუიტი (90. ლუკასი).

გოლები: 0:1 ტორესი (12), 1:1 მაკევილი (67), 1:2 ჯერარდი (90).

გაფრთხილება: 1-0; **დარტყმა:** 9(4)-22(10); **ჯარიმა:** 9-9; **კუთხური:** 2-7; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

მაყურებელი: 33 029

ევერტონი-ბოლტონ 2:6

ევერტონი: ტიმ ჰოვარდი, �sდონ, ფილ ნევილი (87. ჰიბერტი), იობი, ჰარტლეი, კაჰილი, კარსლი, გრავესენი (80. ენდი ჯონსონი), უაგიელკა, პიენაარი, იაკუბუ (90. ვოგანი).

ბოლტონი: იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ობრაიენი, კამპო (58. სამუელი), გარდნერი, გუტრი (58. მაკენი), ნოლანი (75. ობრაიენი), ანელკა, კევინ დევისი, დიუფი.

გოლები: 1:0 ფილ ნევილი (51), 2:0 კაჰილი (70).

გაფრთხილება: 0-3; **დარტყმა:** 20(10)-9(7); **ჯარიმა:** 8-18; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 38 918

სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ. 0:4

სანდერლენდი: გორდონი, კოლინსი, პიგინობთემი, მაკშეინი, ეტუჰუ, ვოგორნი, უოლესი (46. ლიდბიტერი), უაითჰედი, იორკი (61. რიჩარდსონი), ჩოპრა (86. ოდონოვანი), ჯოუსი.

იუნაიტედი: კუშჩაკი, ვესლი ბრაუნი, რიო ფერდინანდი, ოში, ვიდიჩი (73. პიკე), ქერიკი, ფლეტჩერი, ნანი, რონალდო (57. პარკი), რუნი, საა.

გოლები: 0:1 რუნი (20), 0:2 საა (30), 0:3 რონალდო (45), 0:4 საა (86-პენ.)

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა:** 10(3)-20(11); **ჯარიმა:** 14-12; **კუთხური:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

მაყურებელი: 47 360

ვიგანი-ნიუკასლი 1:0

ვიგანი: კერკლანდი, ბრემბლი, მეხიოტი, შარნერი, რაიან ტეილორი (74. ოლემბე), მაიკლ ბრაუნი, კილბეინი, ლანდზაატი, სიბირსკი (70. აგაჰოვა), ვალენსია, მარკუს ბენტი.

ნიუკასლი: გიენი, ბეიე, სტივ ტეილორი, დაფი (78. ხოსე ენრიკე), ემრე, ფაიე, ჯერემი (66. მარტინსი), მილნერი, ნზოგბია, სმიტი, ვიდუკა.

გოლი: 1:0 რაიან ტეილორი (65).

გაფრთხილება: 1-4; **დარტყმა:** 10(6)-8(6); **ჯარიმა:** 13-22; **კუთხური:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

მაყურებელი: 20 304

პორტსმუთი-არსენალი 0:0

პორტსმუთი: ჯეიმსი, კემპბელი, დესტეინი, პრეიდარსონი, ლორენი, დიოპი, ჰიუზი, კრანჩარი (76. ტეილორი), მუნტარი, ანუ, მეარუვარი (81. უტაკა).

არსენალი: ალმუნია, კლიში, ებუე (65. დიაბი), გალასი, სანია, კოლო ტურე, ფაბრეგასი, ფლამინი, გლეი (82. ბენდტნერი), როსიცკი, ადებაიორი.

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა:** 9(6)-14(6); **ჯარიმა:** 15-9; **კუთხური:** 4-7; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

მაყურებელი: 20 556

მანჩესტერ სიტი-ბლეკბერნი დღეს

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩ. იუნ.	19	14	3	2	36-9	45
2. არსენალი	19	13	5	1	36-15	44
3. ჩელსი	19	11	5	3	29-14	38
4. ლივერპული	18	10	6	2	33-12	36
5. მანჩ. სიტი	18	10	4	4	25-20	34
6. პორტსმუთი	19	8	7	4	29-19	31
7. ევერტონი	19	10	3	6	34-18	33
8. ასტონ ვილა	19	8	6	5	33-25	30
9. ვესტ ჰემი	18	7	5	6	23-16	26
10. ბლეიბერნი	18	7	5	6	23-25	26
11. ნიუკასლი	19	7	5	7	26-29	26
12. რედინგი	19	6	4	9	25-36	22
13. ტოტენჰემი	19	5	6	8	35-32	21
14. ბირმინგემი	19	5	3	11	21-30	18
15. ბოლტონი	19	4	5	10	21-29	17
16. მიდლსბრო	19	4	5	10	17-33	17
17. ვიგანი	19	4	4	11	19-34	16
18. ფულჰემი	19	2	8	9	20-34	14
19. სანდერლ.	19	3	5	11	17-38	14
20. დერბი	19	1	4	14	9-43	7

ჩელსი-ასტონ ვილა. მიხაელ ბალაკის ნაქცევას ბირმინგემელთა კარში პენალტი მოპყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

ფერგი ბანკეტების წინააღმდეგ

ეშმაკების ბანაკში ძეიფი და დროსტარეგა დამთავრდა

სერ ალექს ფერგიუსონმა საკლუბო წვეულებები აკრძალა. "მანჩესტერ იუნაიტედი" იმ შემთხვევაშიც კი არ გამართავს ბანკეტს, თუ რომელიმე მნიშვნელოვან ტიტულს დაეუფლება. ფერგი შეუვალია. საშობაო წვეულებისას მომხდარმა ინციდენტმა მისი მოთმინების ფიალა აავსო. თვითმხილველები ამბობენ, ინციდენტის მეორე დღეს სერ ალექსი ცოფებს ყრიდა და ფეხბურთელებს ზედ არ უყურებდაო. მას უპრეცედენტო მასშტაბის სადამსჯელო ოპერაცია ჰქონდა ჩაფიქრებული. მწვრთნელს უნდოდა, წვეულებაზე მყოფი თითოეული ფეხბურთელისათვის ერთი კვირის ხელფასი ჩამოეკლო. საჯარიმო თანხა მილიონ გირვანქას ასცდებოდა. მწვრთნელს ურჩიეს, გამოძიების დასრულებას დალოდებოდა. მართალია, გამოძიება გრძელდება, მაგრამ უკვე გამოიკვეთა მთელი რიგი დეტალები, რომელიც ბრალდებული **ჯონი ევანსის** მდგომარეობას ამსუბუქებს. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ ჩრდილო-ირლანდიელი ნახევარმცველი არაფერ შუაშია. დაზარალებული "ქალბატონის" ხელახალმა დაკითხვამ აჩვენა, რომ ის საუბრობს მამაკაცზე, რომელიც ევანსს ოდნავადაც არ ჰგავს. საბრალო ჯონი ჯერ ისევ ეჭვმიტანილია და საპყრობილეში მხოლოდ იმიტომ არ იმყოფება, რომ გირაო აქვს გადახდილი. თუ ევანსი გამართლდება, შესაძლოა, ფერგის ბანკეტებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა მოუხდეს.

ინტერვიუ დიეგო ფორლანთან

როხიბლანკოს ფეხბურთელობა ბედნიერებაა

რეალი და ბარსა უპირობო ფავორიტები არიან, მაგრამ...

მადრიდის "ატლეტიკოს" ურუგვაელი ფორვარდი დიეგო ფორლანი ახალ კლუბში ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს. პრიმერა დივიზიონის მე-17 ტურში "ესპანიოლთან" განცდილი მარცხის გამო "როხიბლანკო" ჩემპიონთა ლიგის ზონის მიღმა აღმოჩნდა. მიუხედავად ყველაფრისა, ფორლანს სჯერა, რომ მისი გუნდი სამივე ფრონტზე ღირსეულად იბრძოლებს და სეზონის ბოლოს გულშემატკივრებს რომელიმე ტიტულით გაახარეს.

- შობას გილოცავთ დიეგო. სად ხართ ახლა?

- დიდი მადლობა, თქვენც გილოცავთ. მონტე ვიდეოში გახლავართ. საშობაო არდადეგებით ვისარგებლე და სამშობლოში ჩამოვედი.

- შობას ვისთან ერთად შეხვდით?

- ოჯახის წევრებთან ერთად. მოგვიანებით მეგობრები მესტუმრნენ და ძალიან სასიამოვნო საღამო გავატარეთ.

- თითქმის ნახევარი წელია, რაც "ატლეტიკოს" წევრი ხართ. შეგიძლიათ მცირე რეზიუმე შემოგვთავაზოთ? როგორ შეაფასებთ "ვისენტე კალდერონზე" გატარებულ ნახევარ წელს?

- გამომდინარე იქიდან, რომ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე სიმპათიურ კლუბში ვთამაშობ, რა თქმა უნდა, განვლილ ექვს თვეს ძალიან დადებითად ვაფასებ. მსურს მოგახსენოთ, რომ მადრიდული კარიერით ერთობ კმაყოფილი ვარ. გამიმართლა, რადგან შესანიშნავი თანაგუნდელები და მწვრთნელი მყავს. ყველას ერთად კი გენიალური ინჩადა გვქომაგობს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა. გარდა ამისა, იმის თქმაც არ უნდა დამავიწყდეს, რომ მადრიდი ულამაზესი ქალაქია. აქ მართლაც უაღრესად კომფორტულად ვგრძნობ თავს.

- მახსოვს, როცა კონტრაქტი გააფორმეთ, განაცხადეთ, რომ "ატლეტიკოში" ფეხბურთის თამაშით სიამოვნების მისაღებად გადახვედით. მიაღწიეთ მიზანს?

- რა თქმა უნდა. სიამოვნებას ნაგებულ შეხვედრებშიც კი ვიღებდი. კარგად გამიგეთ, ცხადია, წაგება არავის ახარებს. უბრალოდ, პროფესიონალების მხარდამხარ თამაში მართლაც უზომო სიამოვნებას მანიჭებს. ბუნებრივია, გამარჯვებისას კმაყოფილება და სიამოვნება ათმაგდებოდა. ამავდროულად უნდა განვაცხადო, რომ "ატლეტიკოს" წევრობა მხოლოდ სიამოვნებასთან როდია დაკავშირებული. ამ გუნდის ღირსების დაცვა გრანდიოზულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. ეს უდიდესი ტვირთია, რომელიც მოსვენებას არ გაძლევს. არ დავმალავ, ხშირად ფსიქოლოგიურ ნნეხმიც მოვქცეულვარ, მაგრამ პირადი და ჩემი მეგობრების ძალისხმევით წნეხი იოლად დამიძლევია. რთული დღეების შემდეგ ხელახლა ვაცნობიერებ, რომ "როხიბლანკოს" ფეხბურთელობა ბედნიერებაა. ცხოვრებამ უნიკალური შანსი მომცა და ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენო. საერთო საქმეში თითოეული ჩვენგანი საკუთარი ცხოვრების გარკვეულ ნაწილს ვდებთ. ეს თავდადება აღმაფრთოვანებს და ოპტიმიზმს მიმტკიცებს. მთელი ძალისხმევა იქითკენ არის მიმართული, რომ "ატლეტიკოს" საქმეები ყოველდღიურად უკეთესად წარიმართოს.

- ამ სეზონში "ატლეტიკომ" ფაქტობრივად ყველაფერი ნახა. ისეთი თამაშები იმართებოდა, ხალხი ინფარქტის ზღვარზე იმყოფებოდა. ზედიზედ ორი შეხვედრა გამაოგნებელი სცენარით წარიმართა და 4:3 მოიგეთ. ერთხელ კი 3:4 წააგეთ. გვახსოვს, ურთულესი და მეტისმეტად დრამატული საგარეო ორთაბრძოლები.

- მართალს ბრძანებთ, ძალიან ბევრი გოლიც გავიტანეთ და გავუშვით. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი მატჩი აბსოლუტურად განსხვავებული სცენარით მიმდინარეობს. შეუძლებელია, ერთი თამაში მეორეს ჰგავდეს. მაგალითად, უეფას თასზე "პანათინაიკოსთან" გამარჯვება საკმაოდ გაგვიჭირდა. არადა, სხვა შეხვედრებში ბევრად უფრო ცუდად ვთამაშობდით, მაგრამ იოლად ვიგებდით. მთავარია, რომ გუნდი სწორი გზით მიდის. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ წინ და თამაშით სიამოვნებას ვიღებთ.

- ბოლო დროს "ატლეტიკოზე" ყველა დადებითად საუბრობს. მათ შორის თქვენც. საინტერესოა, ყველაზე მეტად რამ მოგხიბლათ?

- გულშემატკივრებმა. ასეთი ინჩასები ჩვენს გარდა, ალბათ არავის ჰყავს. ძალიან სასიხარულოა, რომ "ატლეტიკოს" ქომაგები არა მხოლოდ მადრიდში, არამედ ესპანეთის ნებისმიერ კუთხეში უხვად ჰყავს. სხვათა შორის, უცხოეთშიც არსებობს ფან კლუბები. გამოვყოფდი კლუბში არსებულ განუმეორებელ ადამიანურ ურთიერთობებს. პრეზიდენტიდან დაწყებული გასახდელების დამლაგებლებით დასრულებული ყველას გულითადი და თბილი ურთიერთობა აქვს. სხვაგან მსგავსი რამ არ მინახავს. უშუალოდ საფეხბურთო საკითხებს რაც შეეხება, ვგონებ ამაზე უკვე ვისაუბრე. "ატლეტიკო" ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს.

- წინა ტურში "ესპანიოლთან" წააგეთ და ჩემპიონთა ლიგის ზონას დაშორდით...

- წაგება ცუდია, მაგრამ ეს არ არის ტრაგედია. დანაკარგს აუცილებლად ავანაზღაურებთ და ლიდერთა ოთხეულს დავუბრუნდებით.

- ლიდერთა ოთხეული ეს თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმია? გულშემატკივრები ფიქრობენ, რომ "ატლეტიკოს" ჩემპიონობის მოპოვების უნარიც შესწევს. იზიარებთ ამ მოსაზრებას?

- არ მიყვარს წინასწარ რაიმეს მტკიცება. "ატლეტიკო" კარგ ფორმაშია, მაგრამ ჩემი აზრით დაუშვებელია, დღეს გრანდიოზული ტიტულების მოპოვებაზე საუბარი. ვიმეორებ, ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ წინ. თუ ამ გზას გადავუხვევთ, საჩემპიონო მარათონს გამოვეთიშებით. პოტენციალის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვწევს ჩემპიონობისთვის ბრძოლის უნარი, მაგრამ უკვე მოგახსენეთ, რომ წინასწარ საუბარი საშინლად არ მიყვარს. მით უმეტეს, ამ საქმეში ჩვენი მოწინააღმდეგეები ისეთი გრანდები იქნებიან, როგორებიც მადრიდის "რეალი" და "ბარსელონა" არიან. თავადაც კარგად ხვდებით რომ ურთულესი საქმეა.

- იქნებ, ბოლომდე გულწრფელად გვიპასუხოთ?

- (იცინის) სათქმელი უკვე ვთქვი. "რეალი" და "ბარსელონა" უპირობო ფავორიტები არიან. ამ გარემოების გათვალისწინებით მით უმეტეს არ უნდა ავჩქარდეთ და წინასწარ არ ვისაუბროთ. თუმცა იმას კი ვგრძნობ, რომ სეზონის ბოლოს გულშემატკივრებს რომელიმე ტიტულით გავახარებთ.

სამეფო კლუბი. ტრანსფერები

შუსტერი, მომავალი ფერგიუსონი

კალდერონი ფულს ჩამოდის: შემადგენლობისათვის და პრემიების გადასახდელად...

დირექტორები ბერნდ შუსტერს ემადლიერებიან

თუ "რეალი" ამ სეზონში სამ ტიტულს მოიპოვებს, ფეხბურთელებს დამატებით პრემიებს გადაუხდიან. მადრიდელთა პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** ეს განცხადება "ბარსელონასთან" ნამატჩევს (1:0) გააკეთა. "რეალი" პრიმერა დივიზიონის ერთპიროვნული ლიდერია. გუნდს ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევენ. მიმომხილველთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მადრიდელებს ჩემპიონთა ლიგის მოგებაც შეუძლიათ. "რეალი" ესპანეთის სამეფო თასისთვისაც იბრძვის. თითოეული ჯილდოსათვის სოლიდური გასამრჯელოა დაწესებული, მაგრამ თუ კლუბი ჰეთ თრიკს შეასრულებს, ფეხბურთელებს დამატებითი შემოსავალი გაუწნდებათ. *"ყველაფერი კარგად მიდის. ჩვენ საუცხოო მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის დასასრული. ვგრძნობ, რომ ამ გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია. ფეხბურთელებს პირდაპირ განვუცხადე, რომ მათგან სამ ტიტულს ველოდები. სასურველი შედეგის შემთხვევაში, მოთამაშეებს ვალში არ დავრჩებით,"* - ეს გახლდათ პრეზიდენტ რამონ კალდერონის კომენტარი, რომელიც მან გაზეთ "მარკას" მისცა. პრეზიდენტი **ბერნდ შუსტერით** კმაყოფილებას ვერ მალავს. კალდერონის აზრით, გერმანელი მადრიდელთა **"ალექს ფერგიუსონი"** გახდება: *"მიხარია, რომ ვიპოვეთ მწვრთნელი, რომელიც "რეალში" დიდხანს დარჩება. ის ძალიან კარგად მუშაობს. ბერნდს უკვე ვუთხარი, რომ ის ჩვენი ფერგიუსონი უნდა გახდეს."*

სამეფო კლუბზე საუბარს სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. ბარსელონელი **ჯოვანი დოს სანტოსის** აგენტი "რეალს" დაუკავშირდა. ამ ინფორმაციას გაზეთი "ასი" ავრცელებს. **პინი ზაჰავიმ** მადრიდელებს ახალგაზრდა მექსიკელის შეძენა შესთავაზა. სახელგანთქმულ აგენტს ესპანურ გრანდთან ჩინებული ურთიერთობა აქვს. შარშან ზაფხულს არგენტინელი ნახევარმცველი გონსალო იგუაინი "რივერ პლეიტიდან" "რეალში" მან გადაიყვანა. 18 წლის დოს სანტოსი "ბარსელონის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. ის კატალონიაში 2001 წლიდან ცხოვრობს. ჯოვანის დიდ მომავალს უნინასწარმეტყველებენ, მაგრამ ჯერჯერობით, ბარსელონელთა ძირითადში ვერ ხვდება. ფეხბურთელის წარმომადგენლებმა ახალ კლუბზე დაიწყეს ფიქრი. ისინი პირველად მოსისხლე "რეალს" შეეხმიანნენ. ამ ეტაპზე მადრიდელებმა გარიგებისაგან თავი შეიკავეს.

მადრიდიდან აბარგებას გეგმავს **როისტონ დრენტე**. ჰოლანდიელი ნახევარმცველი სამეფო კლუბში გასულ ზაფხულს ჩაირიცხა. ის "ფეიენოორდიდან" შეიძინეს. დრენტე "რეალს" დიდ იმედებს უკავშირებდა, მაგრამ სხვა ახალწვეულებისაგან განსხვავებით, მას საქმე არ აეწყო. დრენტეს სამეფო კლუბთან ხანგრძლივი კონტრაქტი აკავშირებს. იანვრის ტრანსფერებისას მისი იჯარით გაშვების საკითხი განიხილება. როისტონის მომავალი კლუბის სახელი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

რაც შეეხება პოტენციურ ახალწვეულებს. პრეზიდენტ კალდერონს **ფრანსესკ ფაბრეგასის** შეძენა უნდა. ის "არსენალთან" მოლაპარაკებების დაწყებას დაუყოვნებლივ აპირებს, თუმცა გარიგებას სეზონის ბოლოს გეგმავს. ფაბრეგასით "რეალის" დაინტერესება ახალი ამბავი არ არის. ტრანსფერზე გასულ ზაფხულსაც ინტენსიურად საუბრობდნენ. ლონდონიდან **ტიერი ანრის** აბარგება ბევრმა "არსენალის" დასუსტების დასაწყისად მიიჩნია. ამ ფონზე ყველაზე ნამყვანი ფეხბურთელის აბარგება ინინასწარმეტყველეს. მიმომხილველთა ერთმა ნაწილმა ფაბრეგასი, ფაქტობრივად, "რეალის" ფეხბურთელად გამოაცხადა. მაგრამ ნახევარმცველის "არსენალში" რჩება და მისი საჯარო განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, არსად წასვლას არ აპირებს. მადრიდელთა კიდევ ერთი სამიზნეა ევერტონელი ნახევარმცველი **მიკელ არტეტა**. "ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, არტეტას წარმომადგენლებთან კონტაქტი შედგა. ეს ტრანსფერიც არა იანვრის, არამედ აგვისტოს ფანჯრისათვის იგეგმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ჟულიო ბაპტიშტასთან

ბარსას კარიერის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გავუტანე

რეალმა სუპერკლასიკო უნდა დაივიწყოს და ყველაფერი თავიდან დაიწყოს

მცირე დროში ჟულიო ბაპტიშტას ინტერვიუს გამოქვეყნება მეორედ გვიწევს. პირველად ბრაზილიელი ფორვარდის მოსაზრებები შაბათს გაგაცანით. მაშინ მთელი ესპანეთი მოახლოვებული სუპერკლასიკოს აჟიოტაჟით ცხოვრობდა. ბაპტიშტამ ძირითად შემადგენლობაში დიდი შრომისა და ოპტიმიზმის წყალობით დაიმკვიდრა ადგილი. რამდენიმე დღით ადრე გადაწყდა, რომ ის "ბარსელონის" წინააღმდეგ იასპარეზებდა. საზოგადოებას უდიდესი ინტერესი გაუჩნდა, ყველას აწუხებდა კითხვა, რას გააკეთებდა ბაპტიშტა. სამხრეთამერიკელი სუპერკლასიკოს გმირი გახდა, მან გამარჯვების გოლი შეაგდო. სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ, თქვენს სამსჯავროზე ახალი ინტერვიუ გამოვიტანოთ. ჟულიო ახლა საშობაო არდადეგებზე სან პაულუში იმყოფება. "დიარიო ასის" კორესპონდენტი რესპოდენტს ტელეფონით დაუკავშირდა და რამდენიმე კითხვა დაუსვა.

- პირველ რიგში შობას გილოცავთ და ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ...

- დიდი მადლობა. თქვენც გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. ვისარგებლებ შემთხვევით და ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს მთელ ესპანეთს მივულოცავ. განსაკუთრებით კი, რა თქმა უნდა, მადრიდის "რეალის" გულშემატკივრებს. იმედია, ამის გამო არავინ მიწყენს (იცინის).

- ხმაზე გეტყობათ, რომ ძალიან ბედნიერი, გახარებული და დასვენებული ხართ...

- აბსოლუტურად სწორად შენიშნეთ. ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. ახლა უკვე ბოლომდე გავაცნობიერე, რომ მადრიდის "რეალის" სრულფასოვანი წევრი ვარ და კარიერაში დადებითი ცვლილებები მაქვს. არანაირი მიზეზი აღარ გამაჩნია იმისთვის, რომ ვინერვიულო და მომავალზე დარდიანი განწყობით ვიფიქრო. გამოგიტყდებით, იმ დროს, როცა სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, ყოველი დღე ჯოჯოხეთურ მღელვარებასთან იყო დაკავშირებული. ძალიან ბევრს ვმუშაობდი. მაშინაც კი, როცა თავისუფალი დრო მქონდა, საკუთარ თავს მოდუნების საშუალებას არ ვაძლევდი. ყოველთვის "რეალზე" და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებაზე ვფიქრობდი. ახლა რა თქმა უნდა, წარმოუდგენლად ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიე.

- სახლში ჩასულს ახლობლებმა და ოჯახის წევრებმა რა გითხრეს?

- დედაჩემი, ჩემი საცოლე, ოჯახის უკლებლივ ყველა წევრი ძალიან ბედნიერია. მათ ყველაზე მეტად მაინც ის უხარიათ, რომ ახლა სახლში ვარ. ნათესავები გვერდიდან არ მშორდებიან, მეხუტებიან და მკოცნიან (იცინის). მეც ვცდილობ შესაძლებლობით ვისარგებლო და მშობლიურ სან პაულუში ყოფნით დავტკბე. მოგეხსენებათ, გადატვირთული გრაფიკის გამო ოჯახში თითქმის არასოდეს ვართ. მადრიდიდან სან პაულუში ერთი დღით რა თქმა უნდა, ვერ ჩამოფრინდები. წელიწადში ალბათ, სულ რაღაც 10-14 დღე გვაქვს იმისთვის, რომ მშობლები, მეგობრები და ნათესავები ვნახოთ. ეს საშობაო არდადეგებიც ძალიან მალე დასრულდება. 31 დეკემბერს უკვე მადრიდში უნდა ვიყო. ასე რომ 4 დღეღა დამრჩა იმისთვის, რომ ყველაფერს გამოვეთიშო და თბილი ბრაზილიით დავტკბე (იცინის).

- ბრაზილიაში წინა ვიზიტი სკანდალით დასრულდა. ესპანეთში დაბრუნება დააგვიანეთ და სამეფო კლუბის ხელმძღვანელების განრისხება დაიმსახურეთ. საამისო საფრთხე ახლაც ხომ არ არსებობს?

- რა თქმა უნდა, არა. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ მაშინ ჩვენი თვითმფრინავი გარკვეული მიზეზების გამო გრაფიკიდან ამოვარდა და რამდენიმე საათის დაგვიანებით გაფრინდა. მადრიდში ლისაბონის გავლით მივდიოდით. როცა პორტუგალიაში ჩავედით, მეორე თვითმფრინავი გაფრენილი დაგვხვდა. ახალი ბილეთის აღებასა და ესპანეთამდე ჩაღნევას კიდევ ბევრი დრო დასჭირდა. დამეთანხმებით, ამ ყველაფერში მე არ ვიყავი დამნაშავე. ერთადერთი, რაც დავაშავე ის არის, რომ კლუბში არ დავრეკე და ხელმძღვანელობა დაგვიანების შესახებ საქმის კურსში არ ჩავაყენე. იმედია, ამჯერად თვითფრინავი დროულად გაფრინდება და პრობლემა აღარ შემექმნება, თუმცა უკვე მწარე გამოცდილება მაქვს და ასეც რომ მოხდეს, ტელეფონს ჩავრთავ და პირადად ბერნდ შუსტერს დავურეკავ (იცინის). მაშინ რომ დამერეკა, არავითარი სკანდალი არ აგორდებოდა. სამწუხაროდ, მე და რობინინიო დაუსრულებელი მგზავრობით იმდენად დავიღალეთ, რომ ტელეფონის არსებობაც კი გადაგვავიწყდა.

- იცით, რომ "კამპ ნოუზე" გატანილი თქვენი გოლის წყალობით "რეალმა" ესპანეთის ზამთრის ჩემპიონის წოდება მოიპოვა?

- წოდება და არა ტიტული. ამით იმის თქმა მსურს, რომ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია, თუმცა ძალიან სასიამოვნოა, რომ 2007 წელი ერთპიროვნული ლიდერის სტატუსით დავასრულეთ. სუპერკლასიკოში მთავარი მოვლენა არა ჩემი გოლი, არამედ ის სულისკვეთება გახლდათ, რომელიც "რეალმა" გამოავლინა. ჩვენ ფანტასტიკური ერთსულოვნება გამოვამჟღავნეთ. გუნდმა შესანიშნავად იმუშავა და გენიალურ შედეგსაც მიაღწია. საშობა არდადეგების შემდეგ შრომა უნდა განვაახლოთ. სუპერკლასიკოს მოგებით ტკბობა რამდენად სასიამოვნოც არ უნდა იყოს, მაინც ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. "რეალმა" ნაბიჯ-ნაბიჯ სიარულით უნდა მიაღწიოს სიბელესამდე. ნუ დაგვავიწყდება, რომ ერთბაშად სამ ტურნირზე ვიბრძვით. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ზამთრის ჩემპიონობა არანაირი ტიტული არ არის, მას მხოლოდ სიმბოლურ წოდებად მივიჩნევ. მუშაობა ჩვეულ რიტმში უნდა გავაგრძელოთ. სეზონის დასრულებამდე ძალიან დიდი დროა დარჩენილი, ამიტომ სუპერკლასიკოში გამარჯვება რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავივიწყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, "ბარსელონას" ჩვენთან მოახლოვების საშუალებას მივცემთ და ყველაფერი წყალში ჩაიყრება.

- კარგით რა, თქვენს ღვანლს თავადვე რატომ აკნინებთ? "კამპ ნოუზე" უალამაზესი გოლი გაიტანეთ. გოლი, რომელმაც სამეფო კლუბს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა...

- "რეალმა" უდიდესი მატჩი ჩაატარა. ამის შესახებ უშუალოდ სუპერკლასიკოს დასრულების შემდეგაც განვაცხადე. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ ვალდებულის კარი დავლაშქრე. ვფიქრობ, მას ჩემი კარიერის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გავუტანე. სხვათა შორის, "კამპ ნოუზე" ადრეც მქონდა გატანილი. როგორც ხედავთ, "ბარსელონის" სტადიონი კარგად მაქვს დაცდილი (იცინის).

- აღარ მახსოვს. შემახსენეთ ეს როდის მოხდა?

- 2004 წლის მაისში. კატალონიისა და ბრაზილიის ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრაში (იცინის). 5:2 მოვიგეთ. მე დუბლი შევასრულე. ერთ-ერთი გოლი განსაკუთრებით ლამაზი გამოდგა. ეგრეთ წოდებული მაკრატელით შევაგდე. იმდენად ლამაზი სანახაობა გამოდგა, რომ ტაში თვით კატალონიელებმა დამიკრეს. მართალია, დიდი დრო გავიდა, მაგრამ ის წამი არ მავიწყდება. მართლაც ლამაზი გოლი გავიტანე. ბრაზილიის ნაკრების უკლებლივ ყველა ფეხბურთელმა მომილოცა. სხვათა შორის, იმ საღამოს რონალდომაც დუბლი შეასრულა, თუმცა მისი გოლები ჩემს მაკრატელასთან ახლოსაც ვერ მივიდოდა (ხარხარებს).

- წელს რაიმე განსაკუთრებული ამოცანა ხომ არ დაგისახავთ?

- ერთადერთი მიზანი "რეალის" მიერ ტიტულების მოპოვებაა. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, რომ ამ საქმეში სერიოზული წვლილი შევიტანო.

- თქვენ შუსტერის ერთ-ერთი ფავორიტი გახდით. როგორ აღიქვამთ ამ გარემოებას?

- მოდით ასე ვთქვათ, შემადგენლობის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ყოველთვის მთავარი მნვრთნელი იღებს. ბუნებრივია, უკიდეგანოდ მიხარია, რომ შუსტერი მენდობა და ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში მათამაშებს. ეს ნდობა დროებითი და ხანმოკლე რომ არ აღმოჩნდეს, მომავალში კიდევ უფრო მეტი უნდა ვიმუშაო. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური შრომა ძალიან დამღლელია, მაინც არ დავიღლები და ბოლომდე ვიბრძოლებ. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად მიდის. ჩემთვის მთავარია, რომ შუსტერი შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს მაძლევს.

- ჩემმა კოლეგამ, ოსკარ რიბოტმა სუპერკლასიკოს წინ ცირკში წაგიყვანათ და ინტერვიუ ორი ვეფხვის გარემოცვაში ჩაგაწერინათ. მე მგონი, ამის შემდეგ ძალიან გაგიმართლათ.

- თქვენ ასე ფიქრობთ? არ ვიცი... ერთი რამ კი ნათელია, ოსკარმა ფრიად უჩვეულო იდეა შემომთავაზა. ძალიან დამაინტერესა და უყოყმანოდ დავთანხმდი. არც მინანია, საკმაოდ სასიამოვნო დღე მქონდა.

ჩელსი. ტრანსფერები

ვილია ლონდონში, კანისარესიც?

მირორის ვარაუდით, ვალენსიასთან მინიმუმ ერთი გარიგება შედგება...



დავიდ ვილია ისევ არისტოკრატების სამიზნეშია

სანტიაგო კანისარესი, შეიძლება, "ჩელსიში" ჩაირიცხოსო. ეს ინფორმაცია გუშინდელ "მირორში" ამოვიკითხეთ. "ვალენსიას" 38 წლის ვეტერანი აღარ სჭირდება. "ღამურები" მასთან კონტრაქტის გაწყვეტას აპირებენ. იანვარში კანისარესი თავისუფალი აგენტი გახდება. მაგრამ საკითხავია, რატომ უნდა სჭირდებოდეს ლონდონურ გრანდს ესპანელი კიპერი. "მირორის" ლოგიკით, იმიტომ, რომ **პეტრ ჩეხი** და **კარლო კუდიჩინი** დაშავებულები არიან. კუდიჩინის ნამდვილად ტრავმა აქვს. ჩეხის ტრავმის გამო ატეხილი აჟიოტაჟი გადაჭარბებული აღმოჩნდა. პეტრი "ბლეკბერნთან" შაბათის მატჩში დაშავდა და ნაადრევად გაიყვანეს მინდვრიდან, მაგრამ ის ისე სწრაფად გამოჯანმრთელდა, რომ გუშინ "ასტონ ვილასთან" ძირითადში ვიხილეთ. ჩეხისა და კუდიჩინის არყოფნაში "არისტოკატები" ერთი გამოცდილი მეკარის, ენრიკე ილარიოს ამარა დარჩებოდნენ. **ავრამ გრანტს** სარეზერვო გუნდის კარის დარაჯის, **რის ტეილორის** გამოძახება მოუწევდა. ტეილორი 17 წლისაა და საუცხოო მონაცემები აქვს, მაგრამ პრემიერლიგაში სათამაშოდ ჯერ მზად არ არის. ამ ფონზე კანისარესის ტრანსფერი დიახაც საფუძვლიანი იქნებოდა. მაგრამ ჩეხის დაბრუნებამ გარიგების ალბათობა მინიმუმამდე დაიყვანა.

სანტიაგოსაგან განსხვავებით, ლონდონში გადასვლის კარგი შანსი აქვს დავიდ ვილიას. იმავე "მირორის" ცნობით, "არისტოკრატები" "ვალენსიას" 20 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. ესპანურ კლუბში დაძაბული ატმოსფეროა. ფეხბურთელები მთავარ მწვრთნელ რონალდ კუმანს აუჯანყდნენ. ჰოლანდიელმა რამდენიმე ლიდერს (მათ შორის, კანისარესს) კარისკენ მიუთითა. მწვრთნელს ვილიას მიმართ პრეტენზიები არ გამოუთქვამს. ფეხბურთელმა თვითონ გადაწყვიტა ახალი სამსახურის მონახვა. ვილიას ინგლისში ტრანსფერზე დიდი ხანია, საუბრობენ. 2007 წლის იანვარში "ჩელსის" იმჟამინდელი თავკაცი **ჟოზე მოურინიო** დაჟინებით ითხოვდა ესპანელი გოლეადორის შეძენას. **რომან აბრამოვიჩმა** თანხის გამოყოფა ზედმეტად მიიჩნია. გარიგების ჩაშლამ მწვრთნელისა და პრეზიდენტის ურთიერთობა უკიდურესად გაართულა.

დასასრულს, კიდევ ერთი ინფორმაცია "არისტოკრატების" ბანაკიდან. მაისის მიწურულს "ჩელსი" ისრაელს ეწვევა და იქაურ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს. თამაში ისრაელის დამოუკიდებლობის 60 წლისთავს მიეძღვნება. მატჩის გამართვის ზუსტი თარიღი მოგვიანებით დადგინდება. მოგეხსენებათ, ლონდონელთა თავკაცი ავრამ გრანტი ისრაელის ნაკრების ყოფილი მწვრთნელია. ამჟამად ებრაელთა გუნდს გრანტის სტაჟიანი ოპონენტი **დრორ კაშტანი** ხელმძღვანელობს. იმასაც გეტყვით, რომ "ჩელსიმდე" "რეალის" მიწვევა სურდათ, მაგრამ სამეფო კლუბმა ისრაელში გასამგზავრებლად დრო ვერ გამონახა.

რონალდო: მოლაპარაკებები ფლამენგოსთან

ბრაზილიური "ფლამენგო" რონალდოს გადაბირებას ცდილობს. ამ ინფორმაციას "გაზეტა დელო სპორტი" ავრცელებს. იტალიურმა გამოცემამ "ფლას" პრეზიდენტ **კლებერ ლეიტეს** კომენტარი გამოაქვეყნა. ირკვევა, რომ "მილანი" გარიგებაზე თანახმაა. "ფლამენგომ" ფეხბურთელთან შეხვედრის უფლება მიიღო. ლეიტეს თქმით, მოლაპარაკებების პირველმა რაუნდმა წარმატებით ჩაიარა. მხარეებს ფინანსურ დეტალებზე არ უსაუბრიათ. "ფლას" ხელმძღვანელობას სურდა, დარწმუნებულიყო, რომ ფენომენი მოტივაციით აღსავსე. ლეიტე: *"რონალდოს გარემოს შეცვლა სურს. ჩვენი აზრები ბევრს საკითხში ემთხვევა ერთმანეთს. ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებაზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა. ჩვენმა ექიმმა, დოქტორმა რუნკომ მოგვახსენა, რომ რონი აბსოლუტურად ჯანმრთელია."* ერთი შეხვედრა არ ნიშნავს იმას, რომ რონალდოს საკითხი გადაწყვეტილია. სპეკულაციების თანახმად, თავდამსხმელს ამერიკულ ლიგაშიც ეპატიჟებიან. მისი აყვანა "ლოს ანჯელეს გალაქსის" სურს. "გალაქსიში" რონის ძველი მეგობარი **დეივიდ ბექჰემი** თამაშობს.

ლევანტე: შანსი სამი პროცენტი

პრიმერა დივიზიონის მაჩანჩალა "ლევანტე" გადარჩენას ცდილობს, მაგრამ იმედი ტურიდან ტურამდე კვდება. გუნდის იტალიელი თავკაცი **ჯანი დე ბიაზი** ამბობს, გასავარდნი ზონიდან ამოსვლის შანსი მხოლოდ სამი პროცენტაო. იანვრის ტრანსფერებისას დე ბიაზის შემადგენლობის გაძლიერება სურს. მან ჯერ არ იცის, რა თანხას გამოყოფს დირექტორატი. ესპანური სააგენტოების ცნობით, "ლევანტე" " "ვინდჰოვენის" ფინელ ნახევარმცველ **მიკა ვაირინენს** ეპატიჟება. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. შეგახსენებთ, "ლევანტეში" საქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **შოთა არველაძე** თამაშობს.

კუმანმა ლუჩო გონსალესი მოიკითხა

"ვალენსია" "პორტუს" ნახევარმცველ **ლუჩო გონსალესს** ეპატიჟება. "ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, პორტუგალიურ კლუბთან მოლაპარაკებები უახლოეს დღეებში დაინყება. "ვალენსიაში" კრიზისი მძვინვარებს. "ღამურებს" ლიდერთა მთელი ჯგუფი ემშვიდოდება - ზოგი მწვრთნელის, **რონალდ კუმანის** ინიციატივით და ზოგი საკუთარი სურვილით. ამ ფონზე შემადგენლობის გაძლიერებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სავალალო შედეგების მიუხედავად, დირექტორატი კუმანს სრულ მხარდაჭერას უცხადებს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ იანვრის ტრანსფერებისას და ფაქტობრივად, ახალი გუნდის გასაკეთებლად სოლიდური თანხა დაიხარჯება. გონსალესი პირველი სამიზნეა. შესაძლო გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

ფრედის სამი არჩევანი

"პარისენ ჟერმენი" "ლიონის" თავდამსხმელ ფრედს ეპატიჟება. დედაქალაქური კლუბი შეტევის გაძლიერებას აპირებს. მთავარი მწვრთნელი **პოლ ლე გენი** ბრაზილიელ გოლეადორს იდეალურ კანდიდატად მიიჩნევს. ფრედი 24 წლისაა. მისი ფასი უცნობია. ამ ფეხბურთელს კიდევ ერთი საინტერესო შეთავაზება აქვს - ლისაბონის "ბენფიკიდან". თუ ფასი ხელმისაწვდომი იქნება და ანაზღაურებაზეც მოურიგდება, ფრედს "ფლუმინენსეც" შესთავაზებს კონტრაქტს. ეს ბიჭი "ლიონის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება. ამიტომ მისთვის ავტორიტეტული კლუბებიდან წამოსული ნებისმიერი შეთავაზება საინტერესო უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ვიტორ ბაიასთან

...სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო

ბარსელონიდან ვან გაალთან კონფლიქტის გამო წავედი

ვიტორ ბაია

ვიტორ ბაია მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნარმატებული ფიგურაა. "პორტუში", "ბარსელონასა" და პორტუგალიის ნაკრებში გატარებული 20-წლიანი პერიოდის მანძილზე, სახელგანთქმულმა მეკარემ 30 ტიტულს მოუყარა თავი. ფეხბურთიდან წავიდა 2006/07 წლების სეზონის ბოლოს, როცა "პორტუსთან" ერთად ქვეყნის ჩემპიონატი მეათედ მოიგო. გოლკიპერის ხელთათმანები მან მშობლიური კლუბის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის დირექტორის პოსტზე გაცვალა. ვიტორ ბაიას ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტი შეხვდა...

- ექვსი თვეა, რაც პროფესიული კარიერა დაასრულეთ. დაგაკლდათ ფეხბურთი?

- სიმართლე გითხრათ, გაცილებით მეტად, ვიდრე მეგონა. საფეხბურთო კარიერის დასრულება ჩემთვის იმის ნიშანი იყო, რომ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო... მაგრამ იმ დღეს, როცა ჩემმა თანაგუნდელებმა დაიწყეს მზადება ახალი სეზონისთვის და მათ სანახავად ბაზაზე მივედი, ცოტათი გული დამწყდა. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო.

- ფეხბურთიდან ნახვედით, მაგრამ დარჩით "პორტუში", სადაც საერთაშორისო ურთიერთობებს კურირებთ. ძირითადად რა გევალებათ?

- დღის ჩვეულებრივი გრაფიკი ასეთი მაქვს: დილით მივდივარ კოლეჯში, სადაც სპორტული მენეჯმენტის საფუძვლებს ვითვისებ, საღამოთი კი საკლუბო საქმეებით ვარ დაკავებული. რაც შეეხება ჩემს მოვალეობებს, ამაში შედის ურთიერთობა უეფასთან, G 14-თან, წარმოვადგენ კლუბს უეფას ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო შეხვედრებზე, ასევე, ევროტურნირების წილისყრაზე და ასე შემდეგ. მოკლედ, საქმე არ მაკლია...

- ბევრი ფეხბურთელი, კარიერის დასრულებისთანავე, მწვრთნელობას იწყებს. თქვენ ამაზე არ გიფიქრიათ?

- არა, ყველა ფეხბურთელი არ ხდება მწვრთნელი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, თითოეული ყოფილი მოთამაშე რომ მწვრთნელი გახდეს, სად იქნება ამდენი სამუშაო ადგილი? ვფიქრობ, მაქვს მონაცემები იმისთვის, რომ კარგი მწვრთნელი ვიყო, მაგრამ ჩემი აზრით, ეს მომენტი ჯერ არ დამდგარა, ან შეიძლება, არც დადგეს. მიმაჩნია, რომ "პორტუს", და მთლიანად პორტუგალიურ ფეხბურთს, ამჟამინდელ როლში უფრო გამოვადგები.

- თუ უფრო ახლოდან შევხედავთ თქვენს კარიერას, აშკარად გაგიმართლათ. ძალიან ბევრი შანსი გქონდათ წარმატებებისთვის და გამოიყენეთ კიდეც...

- არ მინდა ტრაბახი, მაგრამ ფაქტია, რომ ბრწყინვალე კარიერა მქონდა. თითქმის ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა. იმედია, გულშემატკივრებს დიდხანს ვემახსოვრები. დამეთანხმებით, ჩემპიონთა ლიგას, უეფას თასს, თასების მფლობელთა თასსა და საკონტინენტთაშორისო თასს, პლუს ამას ნაციონალურ ტიტულებს, ყოველდღე ვერ მოიგებ და არც ისე ბევრია ფეხბურთელი, რომელსაც ამდენი ჯილდო მოუხვეჭავს.

- რომელი ტიტული იყო თქვენთვის ყველაზე დიდი ბედნიერების მომტანი?

- ემოციურად, და იმის გათვალისწინებით, რომ ვთამაშობდი ჩემს საყვარელ გუნდში, ყველაზე დასამახსოვრებელი იყო 2003 წელს უეფას თასის მოგება. ეს იყო ჩემი პირველი საერთაშორისო ტიტული "პორტუსთან" ერთად. მახსენდება "სელტიკთან" მატჩი, რომელიც დამატებით დროში 3:2 მოვიგეთ. სიხარულისგან ლამის გავგიჟდი. მომდევნო წელს ჩემპიონთა ლიგაც მოვიგეთ, მოვიგეთ ტიტული, რომელზეც ყველა ფეხბურთელი ოცნებობს...

- რას ნიშნავს თქვენთვის, რომ იყოთ "პორტუსა" და მთლიანად პორტუგალიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა? ძნელია ამ ტვირთის ზიდვა?

- ფეხბურთელი ლეგენდა ხდება მაშინ, როცა ტიტულებს იხვეჭს. ამის გარეშე, ფეხბურთელი არაფერია. ერთ დღეს, რომელიმე რიგით მოთამაშე შეიძლება გამოვიდეს და თქვას, რომ საუკეთესოა მსოფლიოში, მაგრამ მეორე დღეს ის აღარავის ახსოვდეს. სწორედაც ტიტულებზეა დამოკიდებული ფეხბურთელის კარიერა. უამრავი ჯილდო მოვიგე და ამას ვერავინ წამართმევს, ცარიელი სიტყვები კი არაფერს ნიშნავს.

- დღეს ძალზე იშვიათია შემთხვევა, როცა ესა თუ ის ფეხბურთელი თავის კარიერას მხოლოდ ორ კლუბს უძღვნის. თქვენ "პორტუსა" და "ბარსელონაში" გაქვთ ნათამაშები...

- იცით, ჩემი აზრით, "პორტუ" და "ბარსა" ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. კატალონიაში ორნახევარი წელი გავატარე. ეს არ არის დიდი დრო, მაგრამ სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ თასების თასი, ორჯერ ესპანეთის თასი და ერთხელაც ქვეყნის სუპერთასი მომეგო. ნამდვილად არ ვიყავი ბედნიერი, როცა "ბარსას" ვტოვებდი. ლუის ვან გაალთან პრობლემები მქონდა, თუმც არასოდეს დამავიწყდება ის ლამაზი დღეები, რომელიც "კამპ ნოუზე" გავატარე.

- არის ისეთი რამ, რისი მიღწევაც გსურდათ, მაგრამ ვერ მოახერხეთ?

- დიახ, არის... ძალიან მინდოდა, პორტუგალიის ნაკრებთან ერთად რაიმე ჯილდო მომეგო, მაგრამ... უცნაური ისაა, რომ ყოველთვის ძლიერი გუნდი გვყავდა, თუმცა ბოლოს რაღაც არ გვყოფნიდა, რაღაც გვაკლდებოდა. ჩემი აზრით, ისეთი დიდი ფეხბურთელების თაობას, როგორებიც იყვნენ რუი კოშტა, ლუიშ ფიგუ, პაულო სოუზა, რა თქმა უნდა სხვებთან ერთად, აუცილებლად უნდა მიეღწია წარმატებისთვის.

- რა იყო თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი მოედნებს მიღმა?

- "ბარსელონასთან" კონტრაქტის გაფორმება იყო სწორედ ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან ამან, როგორც ფეხბურთელს, საერთაშორისო სტატუსი შემძინა. ასევე დიდხანს მემახსოვრება დღე, როცა "პორტუში" დავბრუნდი... საოცარი სანახავი იყო ხალხით სავსე ქუჩები... ისინი მე მხვდებოდნენ, მერე რამდენიმე გულშემატკივარმა მხრებზეც შემისვა... "პორტუში" მეორე დებიუტი რომ მქონდა, იმ თამაშზე ყველა ბილეთი გაყიდული იყო. ფეხბურთელისთვის ასეთი დღეები ძალზე მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია, როცა ხალხისგან დაფასებას ხედავ... ჩვენც ხომ ხალხისთვის ვთამაშობთ, ერთმანეთს ვავსებთ...

- მაგრამ პრობლემები? ამის გარეშეც ხომ არ არსებობს. როგორც ცხოვრება, ფეხბურთიც სავსეა სირთულეებით. ამაზე რას იტყოდით?

- ბუნებრივია, პრობლემები ყველას თან გვდევს. მოკლე პერიოდში მუხლებზე ოთხი ოპერაცია გავიკეთე და ამან მთელი ორი წელი ფეხბურთის გარეშე დამტოვა. ისე დავიტანჯე, კარიერის დასრულებაზეც ვფიქრობდი, მაგრამ გამოვნახე ძალა საკუთარ თავში, ვძლიე ყველა პრობლემას და... და დავბრუნდი. სხვათა შორის, იმ პერიოდში მოვლენებს ცოტა სხვა თვალით შევხედე, ბევრი რამ თავიდან გავიაზრე, რაც მოგვიანებით გამომდგა კიდეც. ასე რომ, ტრავმის პერიოდი მთლად უნაყოფოც არ ყოფილა... იყო სხვა მხარეც, რაზეც ნეღან უკვე ვთქვი. ძალიან გული მწყდება, რომ პორტუგალიის ნაკრებიდან უტიტულოდ წავედი. არადა, ეროვნული გუნდის მაისურით 80 მატჩი ჩავატარე. მაგრამ 2002 წლის მუნდიალის შემდეგ მისტერ სკოლარის ნაკრები ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დამატოვებინეს. მე მგონი, ამას არ ვიმსახურებდი და აი, რატომ: 2003/04 წლების სეზონში ევროპის საუკეთესო მეკარედ დამასახელეს, ხოლო ვიდრე ევრო 2004-ისთვის ნაკრების შემადგენლობა დასახელდებოდა, რამდენიმე დღით ადრე პორტუგალიის ჩემპიონობა და ზედაც ჩემპიონთა ლიგა მოვიგე... მაინც არ დამიძახეს...

- ცნობილია, რომ "პორტუსთან" კონტრაქტის გაფორმების მომენტში 14 წლის იყავით. ამაზე საინტერესო ისტორიაც გვსმენია...

- დიახ. "აკადემიკას" გუნდში რომელიღაც ტურნირზე ვთამაშობდი. ვიცოდით, რომ ტრიბუნებზე "პორტუს" სელექციონერები იჯდნენ და გაფაციცებით გვადევნებდნენ თვალყურს. ჩვენი გუნდი მეტად ძლიერი იყო და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. ფაქტობრივად, მათ კარშიც არ დაურტყამთ და შესაბამისად, უსაქმოდ ვიდექი. თამაშის შემდეგ სელექციონერებმა თქვეს, რომ აიყვანდნენ დომინგუშს (მომავალში "პორტუსა" და პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელი - რედ), რომელმაც რამდენიმე გოლი გაიტანა, და სხვა რომელიმე მეკარეს. მაგრამ ჩემმა მწვრთნელმა მათ დაჟინებით ურჩია, არჩევანი სწორედ ჩემზე გაეკეთებინათ. ასეც მოხდა რამდენიმე დღის შემდეგ... ხომ უცნაურია, როგორ შეიცვალა ჩემი ცხოვრება ასე მოულოდნელად? ალბათ, ესაა სწორედ ბედისწერა.

- "პორტუს" მთავარ გუნდში დებიუტი 19 წლისას გქონდათ. ორი წლის შემდეგ კი პორტუგალიის ნაკრებშიც მიგიწვიეს. "პორტუში" დაბრუნებამდე მუდამ პირველნომრიანი მაისურით თამაშობდით. რატომ აირჩიეთ მერე ნომერი 99?

- ესეც საინტერესო ისტორიაა. როცა "პორტუში" დავბრუნდი, ეს იყო 1999 წლის იანვარში, პირველნომრიანი მაისურა უკვე დაკავებული იყო. მაშინ ვკითხე სწორედ "პორტუს" მარკეტინგის დირექტორს, შემეძლო თუ რა ნომერი 99-ის აღება. მათ მოეწონათ ეს იდეა. სხვათა შორის, 99-ნომრიანი მაისურები ძალზე წარმატებით იყიდებოდა. შემდეგ, მე შევქმენი ფონდი, რომელსაც ასე ვუწოდე - "ვიტორ ბაია 99".

- რა არის ამ ფონდის ძირითადი მიზნები?

- ვთვლი, რომ პროფესიონალ ფეხბურთელებს, რომლებიც საკმაოდ ბევრს გამოიმუშავებენ, სოციალური პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეთ. პირადად მე, დიდი სიამოვნებით ვეხმარებოდი და დღესაც ვეხმარები გაჭირვებულ ხალხს. შემდეგ, ჩემმა ფონდმა აიღო ვალდებულება, ეპატრონა იმ ბავშვებისა და მოზარდებისთვის, რომელთაც ცხოვრებამ პრობლემები მოუტანა. ჩვენ შეგვიძლია მათთვის ამ პრობლემების მოხსნა და ბედნიერი ვარ, რომ ეს სოციალური პროექტები წარმატებით ხორციელდება.

შალკე

ვინ მიჰქარა საშობაოდ?

გელზენკირხენში ჩივიან: ოჰ, ეს იტალიელები!

გერმანელები, ისევე, როგორც მთელი ევროპა, შობისთვის მზადებას პირველი დეკემბრიდან იწყებენ ხოლმე. დეკემბრის დასაწყისიდან 25-მდე, ანუ, დღემდე, როცა იესო ქრისტე იშვა, ყოველდღე თითო-თითო სანთელს ანთებენ და ასე გრძელდება 25 დეკემბრამდე. ამ ტრადიციას საფეხბურთო კლუბებიც იყენებენ და დეკემბრისთვის ყოველთვის უკვეთავენ სპეციალურ საშობაო კალენდარს. შეიძენ და პირველი დეკემბრიდან დაიწყებ თითო-თითო სანთლის ანთებას. ასე მოიქცა „შალკეს" თავგადაკლული გულშემატკივარი, 50 წლის **პეტერ მაიერიც**, რომელმაც თავის შვილ **ტობიასთან** (28) ერთად „შალკეს" საშობაო კალენდარი შეიძინა. ტობიასმა პირველ დეკემბერს პირველი განყოფილება გახსნა და რას ხედავს? არც **მანუელ ნოიერი**, არც **კევინ კურანი**, **ლევან კობიაშვილი** ან თუნდაც **ჯერარდ ასამოა** ან ვინმე სხვა შალკელი - სურათზე „ვერდერის" ბრაზილიელი ფლეიმეიქერი **დიეგო** იყო გამოჭიმული! როგორ, „შალკეს" ფანმა „ვერდერის" ვარსკვლავს უნდა დაუნთოს სანთელი?

„შოკში ჩავვარდი!" – სიცილით ამბობს ტობიასი, - *„რა თქმა უნდა, ვეღარ მოვითმინე და მაშინვე მეორე განყოფილებაც გავხსენი, რომელიც წესით 2 დეკემბერს უნდა გამეხსნა და რას ვხედავ? კალენდრიდან უგო ალმეიდა მომჩერებია! „შალკეს" სპეციალურ კალენდარში სულ „ვერდერის" ფეხბურთელები არიან! ეს სკანდალია! საშობაო კალენდრის ფასი მხოლოდ და მხოლოდ ევრონახევარი ღირდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, „ვერდერის" ფეხბურთელების ფოტოებით გაჯერებული კალენდარი რაში მჭირდება?"*

ვინ მიჰქარა საშობაოდ? ძნელი წარმოსადგენია, რომ გერმანელებს ასეთი შეცდომა დაეშვათ და მალე გაირკვა, რომ დამნაშავეები... გაგეცინებათ და რა თქმა უნდა, იტალიელები არიან! კალენდარი გერმანულმა ფირმამ „პროდუქტველტმა" შეუკვეთა, მაგრამ შეუკვეთა იტალიელებს! ხსენებული ფირმის მფლობელი **კრისტიან თობენი** ამბობს: *„ვერდერის" და „შალკეს" კალენდრები ერთად შევუკვეთეთ და ეს პროდუქცია იტალიელებმა, მილანში დაამზადეს. მათ დაბეჭდვის დროს შეცდომა დაუშვეს და „შალკეს" 40 000 კალენდარში „ვერდერის" ფეხბურთელების ფოტოები ჩასვეს. როგორც ხედავთ, ეს საკმაოდ სერიოზული შეცდომაა!"*

40 000 უვარგისი კალენდარი „შალკეს" 40 000 განბილებულ გულშემატკივარს ნიშნავს! თობენი ხუმრობით: *„იტალიელებმა ჩვენზე შური იძიეს! იურგენ კლინსმანმა იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ხომ სიკვდილის ჯგუფში მოახვედრა და სამაგიერო ალბათ ამით გადაგვიხადეს. ახლა კი სერიოზულად: ვინც მცდარი კალენდარი შეიძინა, შევთავაზეთ, რომ ფირმაში მოსულიყო და კალენდარი გადაეცვალა."*

მაგრამ მაიერების ოჯახში ამ კალენდრის გადაგდება აღარ მოუნდათ. უფროსი მაიერი: *„თავიდან გაბრაზდით, მაგრამ მერე ბევრი ვიცინეთ და საბოლოოდ, ეს კალენდარი საპატიო ადგილზე შევინახეთ."* ამ ამბავმა „შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერიც** ხუმრობის ხასიათზე დააყენა: *„ნუ გეშინიათ, შობა-ახალი წლის დღეებში „ვერდერის" ფეხბურთელებიც ისევე ზეიმობენ, როგორც შალკელები. ასე რომ, სანერვიულო არაფერია!"* – ასე მიმართა მან „შალკეს" ფანებს.

გაკვირვებული ტობიას და პეტერ მაიერები – თავიანთი საყვარელი კლუბის საშობაო კალენდარში მათ ვერდერის ფეხბურთელები აღმოაჩინეს...

რიო, ინგლისის ახალი კაპიტანი

ფაბიო კაელო ინგლისის ნაკრებში სადებიუტო მატჩისათვის ემზადება. შეხვედრა 6 თებერვალს გაიმართება. დონ ფაბიოს შეგირდები "უემბლიზე" შვეიცარიას უმასპინძლებენ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახალი მნვრთნელის გარდა, ნაკრებს ახალი კაპიტანიც ეყოლება. კაპელო სამკლაურს მანჩესტერელ **რიო ფერდინანდს** გადაულოცავს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ინგლისის კაპიტანი ჩელსელი **ჯონ ტერი** იყო. უფრო ადრე, მრავალი წლის განმავლობაში, ამ საპასუხისმგებლო მოვალეობას დევიდ ბეკჰემი ასრულებდა.

იზმაილოვი ზაფხულს დაელოდება

მოსკოვის "სპარტაკმა" თანაქალაქელი "ლოკომოტივის" ნახევარმცველი **მარატ იზმაილოვი** ამოიღო მიზანში. 25 წლის ფეხბურთელი ერთწლიანი იჯარით ლისაბონის "სპორტინგში" იმყოფება. პორტუგალიელები მასთან ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმებას აპირებენ. საიჯარო ხელშეკრულება გაისად ზაფხულში ამოიწურება. ამის შემდეგ იზმაილოვმა უნდა გადაწყვიტოს: სამშობლოში დაბრუნდეს და ევროპის შუაგულში გააგრძელოს კარიერა. იზმაილოვს სხვა საინტერესო შეთავაზებებიც აქვს ესპანური, იტალიური და ინგლისური კლუბებიდან. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ალექსანდერ ფრაისთან

საბერძნეთზე ნაკლები რითი ვართ?

შვეიცარიის ნაკრების კაპიტანი ევრო 2008-ის მოგებაზე ფიქრობს...



ალექს ფრაი: შვეიცარიის ნაკრები „დორტმუნდივითაა" – თუ ყველა ფეხბურთელს კარგი დღე გაუთენდა, ნებისმიერ მეტოქეს დაამარცხებს!

ბერნის გარეუბანი მაგლინგენი, ზღვის დონიდან ათასი მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ეს ის ადგილია, სადაც დორტმუნდის „ბორუსიის" ლიდერი და შვეიცარიის ნაკრების კაპიტანი ალექსანდერ ფრაი ფეხბურთში დასაბრუნებლად ემზადება. შვიდ თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ 28 წლის თავდამსხმელი მალე სრული დატვირთვით ვარჯიშს განახლებს. „კიკერის" საშობაო ნომერში მისი ინტერვიუ გამოქვეყნდა. ხსენებული გამოცემის კორესპონდენტმა თომას ჰენეკემ ფრაი შვეიცარიაში მოინახულა.

- ჰერ ფრაი, შვიდი თვე და ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ფეხბურთი აღარ გითამაშიათ. ეს თქვენს კარიერაში ყველაზე ხანგრძლივი იძულებითი პაუზა გამოდგა. როგორ გაატარეთ ეს პერიოდი?

- ცხადია, იყო მომენტები, როცა როცა სერიოზულად ვფიქრობდი, ფეხბურთზე ხელი ხომ არ ჩავიქნიო-მეთქი. შვიდი თვე ძალიან დიდი დროა და როცა ამდენ ხანს საყვარელ საქმეს ვერ აკეთებ, ძალაუნებურად გიჩნდება შიში, რომ ვერც ვერასდროს გააკეთებ ისე, როგორც მანამდე აკეთებდი. საბოლოო ჯამში დეპრესიული მომენტები გადავიტანე და ყველაფერი ისე მივიღე, როგორც იყო. 28 წლის ვარ და ეს ისეთი ასაკია, როცა ფეხბურთელს ასეთი მძიმე ტრავმა ერთხელ მაინც უნდა ჰქოდეს გადატანილი.

- ალბათ ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ძალიან მონდომებული ხართ...

- ხომ გახსოვთ, როგორი მოტივირებული ვიყავი, როცა დორტმუნდის „ბორუსიაში" გადმოვედი? შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ახლა გაცილებით უფრო მონდომებული ვარ.

- ამ პაუზამ შეგცვალათ?

- უფრო მშვიდი და მომთმენი გავხდი. ამასთან, ისეთი რაღაცეები ვისწავლე, რაც ადრე ჩემთვის აბსოლუტურად სულერთი იყო.

- მაგალითად?

- ცოტა ხნის წინათ „დორტმუნდი" ინდონეზიაში გაემგზავრა. თუკი ადრე ასე შორს წასვლა ძალიან დამეზარებოდა, ახლა ვიტყვი, რომ ჩემს რო მელიმე თანაგუნდელს ადგილს დიდი სიამოვნებით გავუცვლიდი.

- ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ დიდი შანსი იყო, კარიერა ნაადრევად დაგესრულებინათ...

- როცა ტრავმა მივიღე, ექიმებმა მითხრეს, შეგიძლია, ფეხბურთის თამაში ისე გააგრძელო, რომ ოპერაცია არ გაიკეთო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ორი წლის შემდეგ კარიერის დასრულება მოგიწევსო. მე მაშინვე ვუთხარი, რომ ოპერაციის გაკეთება მერჩივნა, რადგან კარიერის დასრულებას 2 წლის შემდეგ ნამდვილად არ ვაპირებ.

- 4 იანვარს სრული დატვირთვით ვარჯიშს განაახლებთ?

- დიახ, დღევანდელი გადასახედიდან ეს რეალურია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირველივე ვარჯიშზე სატვირთო მანქანას კბილებით გადავაადგილებ ან კენგურუს დავეჭიდები. იმისათვის, რომ ფიზიკური კონდიციები 100 პროცენტით აღვიდგინო, მინიმუმ 2-3 კვირა დამჭირდება.

- ზაფხულში „ბორუსიის" ქომაგები ეიფორიაში იყვნენ. კლუბის ხელმძღვანელები მათ წარმატებულ სეზონს პირდებოდნენ და BVB-ში ყველა ამბობდა, ჩვენი მიზანი მინიმუმ ხუთეულში მოხვედრა იქნებაო. პირველ წრეში გუნდმა იმედების 30 პროცენტიც ვერ გაამართლა...

- მთელი ამ ხნის განმავლობაში მე არ მითამაშია, ხოლო ტრიბუნიდან მართებული ანალიზის გაკეთება ფაქტობრივად შეუძლებელია და ესეც არ იყოს, ეს არაკორექტული იქნებოდა. შესაბამისად, დეტალურ ანალიზს ვერ გავაკეთებ.

- მაშინ ის მაინც გვითხარით, „დორტმუნდს" მენტალური პრობლემა უფრო აქვს თუ ფეხბურთელების ხარისხი არ ვარგა?

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ საკუთარი თავიდან გამომდინარე შემიძლია. სანამ „ბორუსიაში" გადმოვიდოდი, 5 თვის განმავლობაში აქაურობა დეტალურად შევისწავლე. გავეცანი კლუბის ისტორიას, რეგულარულად ჩამოვდიოდი, ვესწრებოდი მატჩებს, წინასწარ გავეცანი ფეხბურთელები და ა.შ. ამიტომაც იყო, გუნდში ადაპტაციის პერიოდი საერთოდ რომ არ დამჭირდა. პირველივე ვარჯიშზე მე უკვე ყველას ვიცნობდი და რამდენიმე მათგანთან უკვე ვმეგობრობდი კიდეც. ვფიქრობ, რომ ასე უნდა იქცეოდეს ყველა ის ფეხბურთელი, რომელიც „ბორუსიაში" გადმოსვლას აპირებს. მართალია, „დორტმუნდი" ბოლო დროს დიდი წარმატებებით ველარ დაიკვეხნის, მაგრამ ეს მაინც დიდი გუნდია, იდეალური ფანობით და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სტადიონით. ფეხბურთელებს ჰგონიათ, რომ რაკი „ბორუსია" ბოლო წლებში გერმანიის ჩემპიონობისთვის აღარ იბრძოდა, აქ რომ გადმოვლენ, ზეწოლა არც ისე დიდი იქნება. ეს კი დიდი შეცდომაა.

- ზაფხულში გუნდმა 6 ახალი ფეხბურთელი შეიძინა. ამათგან იმედები 100 პროცენტით მხოლოდ მლადენ პეტრიჩმა გაამართლა. რატომ?

- როცა „რენში" ვთამაშობდი, იქ ერთი თანაგუნდელი მყავდა, რომელსაც ლუიშ ფაბიანო ჰქვია. გადატანითი მნიშვნელობით რომ ვთქვათ, მაშინ მას უბრალოდ პირდაპირ სირბილიც კი არ შეეძლო. ახლა ის „სევილიის" ვარკსვლავია, ზედიზედ ორჯერ უეფას თასი მოიგო და ბრაზილიის ნაკრებშიც რეგულარულად იძახებენ. არსებობენ ფეხბურთელები, რომლებიც ძალიან გვიან იხსნებიან, რომლებსაც დრო სჭირდებათ.

- მაგრამ ფაქტია ისიც, რომ გუნდმა იმედები ისევ ვერ გაამართლა და ცხრილში არასათანადო პოზიცია უკავია. ცოტა ხანში მწვრთნელ თომას დოლთან და სპორტულ დირექტორ მიხაელ ცორკთან ახალ კონტრაქტებზე მოლაპარაკებები დაიწყება. რას ელით პირადად თქვენ?

- ცორკის მუშაობას მე ვერ შევაფასებ, ტრანსფერები ჩემი საქმე არაა.

- და დოლი?

- თომასმა გუნდში უდიდესი მუხტი შემოიტანა და ამას ვერავინ უარყოფს. მე მიმაჩნია, რომ ის „დორტმუნდისთვის" იდეალური მწვრთნელია. მას შემდეგ, რაც დოლი BVB-ს დამრიგებელი გახდა, მხოლოდ 10 თვე გავიდა. დათესილს კი, 2-3 წლის შემდეგ იმკიან ხოლმე. „ბორუსიას" ძალიან სჭირდება ისეთი მწვრთნელი, როგორიც თომასია – ახალგაზრდა, დინამიური, უაღრესად მოტივირებული და საქმის მცოდნე.

- გჯერათ, რომ „დორტმუნდი" მეორე წრეში გამოსწორდება და საბოლოოდ მაღალ ადგილს დაიკავებს?

- აუცილებლად. ჩვენს გუნდს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ მე-10 ადგილზე გაცილებით უკეთესი პოზიცია დაიკავოს.

- ფრანკ რიბერი, დიეგო, რაფაელ ვან დერ ვაარტი – რომელმა მათგანმა მოგხიბლათ პირველ წრეში ყველაზე მეტად?

- სამივე ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელია და სამივეს იდეალური სეზონი აქვს, მაგრამ ჩემთვის ამ სამ მოთამაშეს შორის საუკეთესო მაინც ვან დერ ვაარტია.

- რატომ?

- ის ყველასგან გამორჩეული, განსაკუთრებული ფეხბურთელია. როცა ფეხბურთელი სეზონის დაწყებამდე იტყვის, რომ სხვა გუნდში გადასვლა უნდა, „ვალენსიის" მაისურით ფოტოგრაფს ფოტოს გადაალებინებს და მერე მაინც „ჰამბურგში" დარჩება და სეზონის პირველ ნახევარს ასეთ დონეზე ჩაატარებს, ის განსაკუთრებული ფეხბურთელია. ასეთი რამ მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. ვან დერ ვაარტი ფენომენია, ნამდვილი ჩემპიონი.

- შვეიცარიის ნაკრებს მიზნად ევროპის ჩემპიონატის მოგება აქვს დასახული. გუნდის მწვრთნელმა კობი კუნმა თქვა, რომ შვეიცარიას აქვს ევრო 2008-ის მოგების პოტენციალი. ამ მოსაზრებას თქვენც იზიარებთ?

- მე შვეიცარიის ნაკრების კაპიტანი ვარ და ასეც რომ არ ვფიქრობდე, ვალდებული ვარ, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქრო. მაგრამ კუნის მოსაზრებას მეც ვიაზიარებ.

- 2004 წელს ევროპის ჩემპიონატი ყველასათვის მოულოდნელად საბერძნეთმა მოიგო. ოტო რეჰაგელის გუნდი თქვენთვის მაგალითის მომცემია?

- ფაქტი ის გახლავთ, რომ შვეიცარიას ნამდვილად არ ჰყავს საბერძნეთზე სუსტი გუნდი. ასე რომ, რატომაც არა?

- შვეიცარია ფიფას რეიტინგში 44-ეა. ჯგუფში კი ჩეხეთი (6), პორტუგალია (8) და თურქეთი (16) გყავთ. რატომ გავა ამ ჯგუფიდან მაინცდამაინც შვეიცარია?

- დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლები ვართ. შესაბამისად, ეიფორია უდიდესი იქნება. საკუთარ მოედანზე თამაშის უპირატესობა ასეთ დიდ ტურნირზე ძალიან ბევრს ნიშნავს, რის დასტურადაც თუნდაც 2002 წლის მუნდიალი, ან მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი გამოდგება. თანაც, შვეიცარიის ნაკრებს მე დიდი სიამოვნებით ვადარებ „დორტმუნდს" – ისევე, როგორც „ბორუსიაში", თუ შვეიცარიის ნაკრებშიც ყველას კარგი დღე აქვს, ყველაფერი შესაძლებელია, მათ შორის ევროპის ჩემპიონობაც.

- შვეიცარიის ნაკრების დაცვის ბურჯი პატრიკ მიულერია, მაგრამ მან ძალიან სერიოზული ტრავმა მიიღო და კობი კუნი ევრო 2008-სთვის მის შემცვლელად „კარლსრუეს" მცველ მარიო ეგიმანს ამზადებს. შეუძლია კი ამ უკანასკნელს მიულერის შეცვლა?

- ჩემთვის სულაც არ აღმოჩნდა მოულოდნელი ის ფაქტი, რომ ეგიმანმა ბუნდესლიგაში თავისი ადგილი იპოვა და რომ ის პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იყო. ეგიმანი „კარლსრუეში" მაშინ გადავიდა, როცა ამ გუნდს ძალიან უჭირდა. სიმართლე გითხრათ, შვეიცარიაში ექსპერტები სიცილით მოკვდნენ, როცა მან KSC-სთან კონტრაქტი გააფორმა. დღეს კი თვითონ ეგიმანი იცინის – ის „კარლსრუეს" კაპიტანი და გერმანიის პირველობის ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელია. მარიო ისეთი ტიპია, როგორებიც იშვიათად იბადებიან.

- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კუნი თანამდებობას დატოვებს. ამბობენ, მას ოტმარ ჰიტცფელდი შეცვლისო...

- და მე ამ კანდიდატურას მხოლოდ მივესალმები. მისთვის შვეიცარიის, როგორც ქვეყნის კარი ყოველთვის ღიაა. ჰიტცფელდი ხომ თითქმის შვეიცარიელი გახლავთ. ასე რომ, ძალიან გამიხარდება, თუ ის ჩვენს ნაკრებს ჩაიბარებს.

- გერმანიაში ხარობენ – „ბუნდესგუნდს" ნილისყრაზე ძალიან გაუმართლა და იოლ ჯგუფში მოხვდა. ბევრი დარწმუნებულია იმაში, რომ გერმანია ფინალში გავა...

- იოახიმ ლიოვს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს და თანაც, გერმანია ყოველთვის ფავორიტია. მოუხედავად ამისა, მაინც ფრთხილად უნდა იყოს.

- და რას ან ვის უნდა უფრთხოდეს გერმანია?

- პოლონეთის დამარცხება იოლი ნამდვილად არ არის. ხორვატიამ თუნდაც ინგლისთან მოგებით დაამტკიცა, რომ ნებისმიერის გამწარება შეუძლია. ავსტრია კი მასპინძელია და ახლა შეიძლება გაგეკვირვოთ, მაგრამ მე სერიოზულად ვფიქრობ, რომ ავსტრიელები ევროპ 2008-ზე არ შერცხვებიან.

- ასეთ მოსაზრებას ძალიან იშვიათად მოისმენს კაცი...

- დამიჯერეთ, ავსტრიას სენსაციის მოხდენა შეუძლია. მე არ გამოვრიცხავ, რომ ავსტრიელებმა მეოთხედფინალში ითამაშონ.

გოტფრიდ ლენცი



ბაიერნის 18 წლის ახალწვეული ბრენო

პოლიტიკოსის მოსაზრება

რა ამბავია 14 მილიონი 18 წლის ბავშვში?

გუნდესტაგის პრეზიდენტმა ბაიერნი გააკრიტიკა...

გერმანიის პარლამენტის, ბუნდესტაგის პრეზიდენტი **ნორბერტ ლამერტი** მიუნხენის „ბაიერნს" აკრიტიკებს. პარტია CDU-ს პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ ბოლო დროს ფეხბურთი ფინანსურ სტანდარტებს გასცდა და ამ მხრივ ნელ-ნელა უმართავი ხდება. *„ძალიან ვბრაზობ იმის გამო, რომ ბუნდესლიგაში სახელფასო ექსცესები შეინიშნება. ეს არა მარტო ფეხბურთს, არამედ მთლიანად სპორტს ეხება. შეუძლებელია, ჩემი უკმაყოფილება და გაკვირვება არ გამოვხატო იმის გამო, რასაც მაგალითად მიუნხენის „ბაიერნი" აკეთებს. გერმანული კლუბი 18 წლის ბრაზილიელ ბიჭუნაში 14 მილიონ ევროს იხდის და მზადაა, წელიწადში 4 მილიონი უხადოს! ეს ისეთი შემოსავალია, როგორზეც გერმანიაში ბევრი ლვანლმოსილი პიროვნება მხოლოდ თუ იოცნებებს. ოჯახის უფროსები წლების მანძილზე შრომობენ იმისათვის, რომ ამ თანხის თუნდაც მეოთხედი გამოიმუშავონ, „ბაიერნი" კი 18 წლის ბავშვს ამხელა ფულს ერთბაშად უხდის! ვფიქრობ, ეს ყველაფერი ჩარჩოებს გასცდა, რაც ძალიან ცუდია,"* – აცხადებს ლამერტი „ბილდ ამ ზონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

18 წლის ბრაზილიელ ფეხბურთელში ის რა თქმა უნდა, რეკორდმაისტერის ახალწვეულ **ბრენოს** გულისხმობს, რომელიც „ბაიერნმა" ცოტა ხნის წინათ შეიძინა. ლამერტის თქმით, თვით პოლიტიკოსებსაც კი გაცილებით ნაკლები ხელფასი აქვთ. ამას წინათ გერმანიის პარლამენტმა უახლესი კანონი მიიღო, რომლის თანახმადაც, ბუნდესტაგის წევრის ყოველთვიური ჯამაგირი 7 668 ევროს შეადგენს. მანამდე თითოეული პარლამენტარის ხელფასი 7009 ევრო იყო. 2008 წლის 1 იანვრიდან გერმანელ პარლამენტარებს ჯამაგირი 330 ევროთი გაეზრდებათ, 2009 წლიდან კი დამატებით 329 ევროთი მაღალი ჯამაგირი ექნებათ. როგორც ხედავთ, ფეხბურთთან შედარებით მართლაც სასაცილო თანხებზეა საუბარი...

რაბბი

გიორგი ხოსიტაშვილი და ირაკლი ნატრიაშვილი (მარცხნიდან მეორე და მესამე) ფარულის რიგებში

ლეგიონერები

ქართული ხუთეული შავი ზღვის მეორე ნაპირზე

ქართველი მორაგბეები ევროპის ათი ქვეყნის სხვადასხვა კლუბებში არიან მიმოფანტულნი და მათი რაოდენობა სამნიშნა რიცხვს აღწევს. ათიდან ერთ-ერთი ქვეყანა ევროპის ერთა თასზე საქართველოს ნაკრების უმთავრესი ოპონენტი რუმინეთია. ამ კარპატული ქვეყნის საპორტო ქალაქ კონსტანცას „ფარულში" ერთბაშად ხუთი ქართველი მორაგბე თამაშობს. ამჟამად რუმინეთის ჩემპიონატში შესვენებაა და მათ საშობაო არდადეგებზე სამშობლოს მოაშურეს. ორ მათგანს, ბიძინა სამხარაძეს და ირაკლი ნატრიაშვილს რაგბის კავშირში შევხვდით და რუმინული ამბები წვრილად გამოვკითხეთ.

ბიძინა სამხარაძე: - რუმინეთის ჩემპიონატში უმაღლესი ლიგა ორ ჯგუფადაა დაყოფილი და გათამაშება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. პირველი ეტაპი უკვე დასრულდა. ჩვენმა გუნდმა „ფარულმა" ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავა და ფლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა.

ირაკლი ნატრიაშვილი: - ფლეი ოფში თითო ჯგუფიდან სამ-სამი გუნდი გადის. იქმნება პირველი ექვსეული, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მეორე ექვსეული კი ლიგაში ადგილის შენარჩუნებას შეეცდება. ჩემპიონობისთვის გათამაშება ორ წრედ ჩატარდება. პირველი ოთხი გუნდი, მერე ნახევარფინალსა და ფინალში დაუპირისპირდება ერთმანეთს.

- რა მიზანი აქვს რუმინეთის მიმდინარე ჩემპიონატში „ფარულს"?

ბიძინა სამხარაძე: - აუცილებლად ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ. მინიმუმ ფინალში უნდა გავიდეთ. თუნდაც მესამე ადგილის დაკავება წარუმატებლობად იქნება მიჩნეული.

- რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

ირაკლი ნატრიაშვილი: - წლეულს გუნდში ახალი მოთამაშეები მოვიდნენ. კლუბის ხელმძღვანელობამ საფრანგეთიდან დააბრუნა რამდენიმე გამოცდილი მორაგბე, რომლებიც ადრე რუმინეთის ნაკრების წევრები იყვნენ. აქამდე თუ ჩვენი გუნდი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული იყო, ახლა გამოცდილი მებრძოლებიც საკმარისად გვყავს. გუნდი შეიკრა, შეთამაშდა. მწვრთნელიც ახალი გვყავს, საკმაოდ გამოცდილი, რომელმაც შარშან „სტიაუა" გააჩემპიონა.

- თქვენს გარდა „ფარულში" კახა უჩავა, გიორგი ხოსიტაშვილი და ლაშა თავართქილაძე თამაშობენ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რუმინეთში ლეგიონერები მარტო თქვენ, ქართველები ხართ. რატომაა ასე?

ირაკლი ნატრიაშვილი: - დიახ, ასეა, ლეგიონერები მარტო ჩვენ ვართ. მონინააღმდეგე გუნდებმა იციან ჩვენი ხასიათი, ბრძოლისუნარიანობა. მოედანზე თავიდან ბოლომდე ვიხარჯებით. ეს მათ დაინახეს, იგრძნეს ქართული ჟინის ძალა.

ბიძინა სამხარაძე

ხუთი ქართველი ერთად რომ ვართ გუნდში, ეს არავითარ პრობლემას არ უქმნის მათ. პირიქით.

ბიძინა სამხარაძე: - „ფარულში" ადგილობრივ მოთამაშეებს სტიმულს ჩვენ ვაძლევთ. თამაში როგორ წარიმართება, ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ხედავენ, რომ თავდადებით ვიბრძვით, ყველაფერი გამოდის, ისინიც აგვყვებიან. ერთი სიტყვით, წამყვანი მოთამაშეები ვართ და სულაც არაა გასაკვირი, მხოლოდ ჩვენ რომ ვართ ლეგიონერები.

- რუმინეთის სარაგბო ჩემპიონატში მოთამაშე კლუბები ჩვენთან შედარებით საკმაოდ მყარად არიან ფინანსურად. რის ხარჯზე ხდება ეს?

ბიძინა სამხარაძე: - რუმინულ კლუბებს, ყველას უკლებლივ, ქალაქის მუნიციპალიტეტი პატრონობს, „ფარულს" კი მერიასთან ერთად პორტიც ძალიან ეხმარება. მინდა აღვნიშნო, რომ რუმინეთში ჩვენი გუნდი ყველაზე კარგადაა ფინანსური თვალსაზრისით. ახლახან სტადიონზე დააგეს უახლესი ტექნოლოგიით გამოყენილი მინდვრის საფარი, მიმდინარეობს სტადიონის, ბაზისა და საცხოვრებელი კომპლექსის რეკონსტრუქცია.

ირაკლი ნატრიაშვილი: - სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად ცხადია გუნდებს კერძო ფირმებიც ეხმარებიან. თუმცა, სახელმწიფოს დაფინანსების წილი გაცილებით უფრო დიდია. „ფარულის" წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 2 მილიონ ევრომდეა. დიდი ყურადღება ეთმობა ამ თამაშის პოპულარიზაციას. ჩემპიონატის ყველა თამაში ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემა. პირობები იმდენად კარგია, რომ ვისაც ნაკრებში თამაშის პრეტენზია აქვს, საფრანგეთში ელიტარულ დივიზიონებში დაბალ, ფედერალურ დივიზიონში სათამაშოდ არ მიდის.

- რადგან ნაკრები ახსენეთ, ალბათ რუმინეთ-რუსეთის ნაკრებების დაპირისპირებასაც ნახავდით. რატომ დამარცხდნენ რუმინელები და რამდენად გაძლიერდა რუსთა გუნდი?

ბიძინა სამხარაძე: - რუმინეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ადგილობრივი, რუმინელი. რუსებთან მატჩში მათ მხოლოდ ერთი ლეგიონერი ყავდათ. ასეთი შემადგენლობით პირველად ითამაშეს. მერე, პორტუგალიაში ჰქონდათ თამაში და იქ უკვე დალაგდნენ, აეწყვნენ. მოიგეს კიდეც. ასე რომ, რუსებთან მარცხი, რუმინული რაგბის კრიზისს სულაც არ ნიშნავს.

ირაკლი ნატრიაშვილი: - რაც შეეხება რუსებს, ვერ ვიტყვი, რომ მათი გუნდი გაძლიერდა. ჩვენმა ნაკრებმა წესით მათ დიდი ანგარიშით უნდა მოუგოს. რუსები მხოლოდ უკანა ხაზს ათამაშებენ, შერკინება ჩათვალეთ, რომ საერთოდ არ არსებობს.

- როგორი შეფასებები გაკეთდა მსოფლიო თასზე ჩვენი ნაკრების ნაჩვენები თამაშის შემდეგ?

ბიძინა სამხარაძე: - ძალიან პოზიტიური. უკვირდათ, არ ელოდნენ, თუ ამდენი შეგვეძლო.

ირაკლი ნატრიაშვილი: - თვითონ რუმინელები ამბობდნენ, ჩვენი ნაკრებები ახლა რომ შეხვდნენ ერთმანეთს, თქვენი გუნდი მინიმუმ 20 ქულას მოგვიგებსო. არგენტინასთან პირველი ტაიმი 3:6 რომ წავაგეთ, გვილოცავდნენ. ნამიბიასთან თამაშის წინ კი ერთ-ერთ თანაგუნდელს დავენიძლავე, სულ მცირე 30 ქულით მოვიგებთ-მეთქი. ასეც მოხდა.

- მალე ნაკრებს ახალი თავკაცი, ავსტრალიელი ტიმ ლეინი ეყოლება. რას ფიქრობთ ამის შესაებ?

ბიძინა სამხარაძე: - თუ მის ბიოგრაფიას თვალს გადავავლებთ, უდაოდ კარგი სპეციალისტი ჩანს. იმედი გვაქვს, რომ ის ნაკრებში ბევრ სიახლეს მოიტანს. ნაკრების თამაში უფრო აეწყობა და პროგრესის გზას დავადგებით.

ბესიკ ჯანგავაძე

ხელბურთი

ლეგიონერი

დათუკაშვილის მინიმუმი და ვეტცლარი

გერმანიის ბუნდესლიგაში მე-18 ტურის მატჩი გამართა ქართველ ხელბურთელ **სერგო დათუკაშვილის** „ლიუბეკმა". როგორც იცით, სერგოს გუნდი 18-გუნდიან ბუნდესლიგაში 16-17-ე ადგილებს იყოფს „მინდენთან" ერთად და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების რეალური კანდიდატია.

გუშინ ლიუბეკელები პირველადგილოსან „ფლენსბურგს" ესტუმრნენ და როგორც მოსალოდნელი იყო, „ფლენსბურგმა" დაგეგმილი ორი ქულა მოიპოვა - 34:26. აღნიშნულ შეხვედრაში, დათუკაშვილმა თავისი გერმანული კარიერის ანტირეკორდი დაამყარა და ერთადერთ გოლს დასჯერდა, რომელიც პირველ ტაიმში გაიტანა.

ამით კარგად ისარგებლეს სერგოს კონკურენტებმა ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავაში და ქართველი გამთამაშებელი მეექვსედან მეშვიდე ადგილამდე ჩამოაქვეითეს. ამჟამად, დათუკაშვილის ანგარიშზეა 18 მატჩში გატანილი 106 გოლი. პირველ ადგილზე კი 115 გოლის გამტანი კონრად ვილჩინსკია („ფუქსე"), მაგრამ აქამდე ერთპიროვნული ლიდერის - არნე ნეიმაიერის „მინდენი" დღეს თამაშობს და თუკი ნეიმაიერი მინიმუმ 4 გოლს გაიტანს, კვლავ პირველ ადგილზე მოკალათდება.

ამასობაში კი ბუნდესლიგაში ზამთრის არდადეგები ახლოვდება. 20 დეკემბერს, „ლიუბეკი" პირველი წრის ბოლო მატჩს გამართავს საკუთარ მოედანზე „ნორდჰორნთან" და ზამთრის არდადეგებზე გავა.

როგორც სერგომ გვითხრა, სეზონის ბოლომდე „ლიუბეკში" დარჩება, შემდეგ კი ვითარების მიხედვით იმოქმედებს. თუკი მისი გუნდი ბუნდესლიგიდან გავარდება, ყველა ვარიანტში სხვა ბუნდესლიგურ კლუბში გადავა. მას უკვე მიმართეს წინადადებით „ვეტცლარის" ხელმძღვანელებმა, რომელიც ამჟამად 12-ე ადგილზე იმყოფება.

კობა ხატისაშვილი

ჭადრაკი

თეიმურაზ ლომაია (მარჯვნივ) მოწაფეებთან

გოგო-ბიჭები ორ ფრონტზე...

თეიმურაზ ლომაიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში იმართება და რომელზეც გუშინაც გესაურეთ, გუშინ მესამე ტური გაიმართა. დღეს უკვე უპრიანია, შედეგებზეც მოგახსენოთ. შეგახსენებთ, ტურნირი ოთხ ასაკობრივ ჯგუფში - 8, 10, 12 და 14 წლამდე იმართება და გოგონები და ბიჭები ერთად ასპარეზობენ, თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება: სურვილის და მიხედვით, თუკი ასაკი გიწყობს ხელს, შეგიძლია ორ ტურნირში ითამაშო. მაგალითად: 8 ან 10-წლიან მოჭადრაკეს 12 ან 14-წლიანთა შორის თამაშის უფლება ეძლევა; მეტს ვერაფრით მოახერხებს, რადგან 8 და 10-წლიანები დილით ადრე ინყებენ ასპარეზობას, 12 და 14-წლიანები კი - შუადღით, როცა დილის სერია დასრულებულია.

აქვე შევნიშნავთ, რომ ტურნირის ორგანიზატორია საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და ბატონი **ზაზა ჭკუასელი**, რომელიც თავად გახლდათ **თეიმურაზ ლომაიას** მოსწავლე და ამ ტურნირის დაარსების იდეაც სწორედ მისგან მოდის. უკვე თორმეტი წელია ატარებს ზაზა ჭკუასელი ამ ტურნირს და ასეთი გარჯისთვის, ცხადია, მადლობა ეკუთვნის.

გუშინ ვწერდით, რომ წლეულდელი გათამაშება 7 ტურით შემოიფარგლება. ქართული ჭადრაკის მომავალი მნიშვნელოვანი რაოდენობით არის წარმოდგენილი ეს კიდევ ერთი კარგი საშუალებაა, პერსპექტიულ, ნიჭიერ გოგო-ბიჭებს დააკვირდე და საქმეში გამოცადო.

ოთხ ასაკობრივ ჯგუფში, საერთო ჯამში 202-მა მონაწილემ მოიყარა თავი. აქედან ყველაზე მეტი 8 წლამდელებში შეიკრიბა: 64, 10-წლიანებში 58 მონაწილეა; შედარებით ნაკლები - 50 მონაწილეა. 12-წლიანებში და ბევრად ნაკლებია 14-წლიანებში - 30.

მოგეხსენებათ, ამ ასაკის მოჭადრაკეებს უკომპრომისობა ახასიათებთ და გამარჯვებისთვის ჯიქურ მინევენ წინ, რაც ზოგ შემთხვევაში გაუმართლებელია. ამ მიზეზითაა სწორად, რომ სამი ტურის შემდეგ თითზე ჩამოსათვლელია საყაიმო შედეგები: 8 წლამდელებში საერთოდ სარეკორდო ვითარებაა - მხოლოდ სამი ყაიმი (?!); 10 წლიანებში ცოტა მეტი - 8; 10-იანებში - 12 და 14-იანებში - 14. აშკარაა, ასაკთან მეტად სიფრთხილეც მატულობს.

მოგახსენეთ, გოგო-ბიჭები რომ ერთად ასპარეზობენ და სათქმელია, რომ გოგონები ბიჭებს ტოლს არც ერთ ასაკში არ უდებენ: 8-წლიანები **ქეთი ცერცვაძე** და **მარიამ შუბითიძე** ქულათა მაქსიმუმით იწონებენ თავს. მის გარდა ასეთივე შედეგი აქვს კიდევ 6 ბიჭს: **გოგი ბეკურაშვლს, ლაშა დვალიძეს, ირაკლი ტულუშს, ალექსანდრე მუტაფიანს, სანდრო ურდულაშვილს და რატი პერტიას.** 10 წლიანებში **ქეთი ხომერიკი, ნონო ხომერიკი და ეკა ურდულაშვილი** უწევენ ბიჭებს კონკურენციას, თუმცა ლიდერთა სექსტეტს ერთი ქულით ჩამორჩებიან. 12 წლიანებში სულაც გოგონათა ჰეგემონიაა: მაქსიმალური ქულა სამ მოჭადრაკეს აქვს და აქედან ორი გოგოა: **ნინო ხომერიკი** და **ანა კუჭავა**, **ნანი უნაფქოშვილს** კი - 2.5 ქულა აქვს.

14 წლიანებში სამი ქულით პირველ-მეორე ადგილებზე არიან **კახი წერეთელი** და **გოგი ნიკოლაშვილი.** ესენი დღეს ერთმანეთს ხვდებიან და უეჭველად მოხდება რომელიმე ლიდერის შეფერხება, რითიც შესაძლოა ისარგებლოს **ნათია ჯალაბაძემ**, რომელსაც 2.5 ქულა აქვს და მეოთხე ტურში თეთრებით **ვახო კაშიას** ხვდება. 2.5 ქულით **ოთარ ქოსაშვილსაც** ეხედავთ; ამის შემდეგ 7 ორქულიანი მოდის, რომელთა შორის ოთხი გოგონაა: **ნანი უნაფქოშვილი, მარი სალამანიძე, ანა კუჭავა** და **ნატო იმნაძე.**

ზვიად შათირიშვილი

საქართველოს XVI ჩემპიონატი. IV ტური. გამოტოვებული შეხვედრები

ენერჯიმ წელი დახურა: 10 მატჩი, 10 მოგება

26 დეკემბერი. რუსთავი

ენერჯი-დინამო 87:74

20:16, 22:26, 25:14, 20:18

ენერჯი: გამყრელიძე (7ქ, 3ვ, 4ჩ), ბაბიაშვილი (10ქ), ბოისა (14ქ, 3ვ), დიდია (8ქ, 5მ), ლეჟავა (17ქ), ცეკავა (2ქ), გოგობერიშვილი (8ქ, 9მ), ჭოჭუა (3ქ, 3ვ), ტუჯანი (16ქ, 9მ), დვალიშვილი (2ქ), მაჭარაშვილი, დანელიანი

დინამო: გულისაბედაშვილი (22ქ, 5ჩ), ნანიტაშვილი, ჟღენტი (8ქ), ლაფანაშვილი (12ქ, 4ვ), სიგუა (3ქ, 7მ), წერეთელი, ნახუცრიშვილი, მაისურძე (6ქ, 6მ), ათანელიშვილი (2ქ), ახალკაცი (21ქ, 7მ), კუჭავა

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

	თ	მ	ნ	ქ
1. ენერჯი	10	10	0	20
2. თსუ	9	5	4	14
3. ვითა	9	4	5	13
4. დინამო	10	3	7	13
5. ავიამშენი	9	3	6	12
6. მაკაბი	9	3	6	12

გუშინ რუსთავში გადადებული მეოთხე ტურის ერთი შეხვედრა გაიმართა - ადგილობრივმა „ენერჯიმ“ ბოლო დროს კარგად ათამაშებული „დინამო“ 87:74 დაამარცხა.

რუსთაველებმა 13!ქულიანი სხვაობით კი გაიმარჯვეს, მაგრამ არავის ეგონოს, რომ „დინამოს“ დაჩოქება იოლი იყო. დაცვასა და შეტევაში გუნდური თამაშის წყალობით ახალგაზრდა დინამოელები სათანადოდ უმკლავდებოდნენ პირველადგილოსან მეტოქეს. სტუმართა შორის უკანახაზელი **ირაკლი გულისაბედაშვილი** გამოირჩეოდა, რომელიც მიმდინარე სეზონში სტაბილურობით ერთ-ერთი საიკეთესოა არა მხოლოდ მის გუნდში, არამედ მთლიანად ჩემპიონატში.

თანაბარ ბრძოლაში ჩავლილ პირველ ტაიმს ანგარიშიც შესაბამისი ჰქონდა - 42:42.

ახლა „ენერჯის“ პლუსებზე: რუსთაველებს **დავით უსტიაშვილის** ხელში ეპიზოდური აფეთქებები დასჩემდათ. მათ წინა მატჩში, „ავიამშენთან“ ბოლო პერიოდში იფეთქეს და მეტოქეს 17:0 სპურტი მოუწყვეს. „დინამოსთან“ „ენერჯის“ აღმავლობა, მესამე მეოთხედს დაემთხვა, დროის ამ მონაკვეთში მათ 25:14 იმარჯვეს და სირენამდე 10 წუთით ადრე გამარჯვებულის ბედი გადაწყვიტეს. ცხადი იყო, რომ ჩემპიონატის ათამაშებულ ფავორიტებთან „დინამო“ 11-ქულიან ჩამორჩენას ვერ აღმოფხვრიდა.

რუსთაველთა რიგებში უკანა ხაზში **ბესიკ ლეჟავა** გამოირჩა (17 ქულა), ხოლო წინა ხაზში კამერუნელი **ჟულივეტ ტუჯანი** (16 ქულა, 9 მოხსნა).

მკითხველს შევახსენებთ, რომ მეოთხე ტურის მატჩები ნოემბრის დასაწყისში უნდა გამართულიყო, მაგრამ ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის გამოცხადებამ საკალათბურთო ჩემპიონატზეც იქონია გავლენა და შეხვედრები დეკემბრის ბოლოსთვის იქნა გადმოტანილი. მეოთხე ტურის დარჩენილი ორი შეხვედრა დღეს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება, „ავიამშენი“ „ვითას“ დაიპირისპირდება, ხოლო „მაკაბი“ მეორეადგილოსან თსუ-ს.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

წინასამატჩო პრესკონფერენცია

ვითა-ავია, ორივე გამარჯვებისთვის ემზადება

გუშინ კლუბ „12 მაგიდაში“ ამ წლის ბოლო საკალათბურთო მოვლენას ბოლო პრესკონფერენცია მიეძღვნა: **კლუბში „ავიამშენისა“ და „ვითას“ წარმომადგენლები შეიკრიბნენ და დღევანდელ ურთიერთშეხვედრაზე ისაუბრეს.**

ვიდრე პრესკონფერენციის ამბებს გადმოგცემდეთ, შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს „ვითა“ და „ავია“ განსხვავებულად თამაშობენ. ვითელებს ბოლო სამი მატჩი წაგებული აქვთ, ბოლოს თსუ-სთან დათმეს, მანამდე - „დინამოსთან“, წარუმატებელი სერია კი „ავიასთან“ დაიწყეს. თავის მხრივ „ავიატორებმა“ სწორედ „ვითასთან“ გამარჯვების შემდეგ დააღწიეს თავი სატურნირო ცხრილის ფსკერს. მოკლედ, დღეს 15:15 საათზე საინტერესო მატჩი გველის. მოგების შემთხვევაში **ლევან მოსეშვილის** გუნდი მეხუთედან მესამე ადგილზე აინაცვლებს და „ვითას“ ჩაენაცვლება. თავის მხრივ წარმატების შემთხვევაში **ზურაბ ტომარაძის** შეგირდებს მეორე ნრის მეორე ადგილზე დასრულების შანსი ექნებათ.

ჟურნალისტებთან შეხვადრაზე „ვითას“ მხრიდან მეორე მწვრთნელი მიხეილ კობეშავიძე გამოცხადდა. მან თავიდანვე აღნიშნა, რომ გუნდი „ავიასთან“ მატჩისთვის და რევანშისთვის მზადაა. ჯანმრთელობის მხრივ კი საქმე არც თუ კარგადაა:

- ხვალინდელი შეხვედრისთვის ოპტიმალურ შემადგენლობას თავს ვერ ვუყრით. დაშავებულია ახალგაზრდა მეფარე ლუკა ნოზაძე. ფეხი გადაუბრუნდა გიორგი მარკოიშვილს. მან დღევანდელ ვარჯიშზე სირბილი ვერ შეძლო და მხოლოდ ტყორცნებით შემოიფარგლა. გამოჯანმრთელების შემდეგ პირველი ვარჯიში ჩაატარა გამთმაშებელმა გიორგი მარხვაშვილმა. სეზონი კარგად დავინყეთ და ვეცდებით საახალწლო შესვენებაზე ასევე კარგი განწყობით გავიდეთ.

დისკვალიფიკაციამოხდილმა „ავიამშენის“ მეორე მნვრთნელმა, ვაჟა მხეიძემ ხაზი გაუსვა, რომ ტრავმების გამო მის გუნდშიც დანაკლისია:

- ხვალ არ გვეყოლება ცენტრი დავით იმნაძე, რომელიც ავადაა. ტრავმირებულები არიან თორნიკე ნინიაშვილი და ბუბა კვიმსაძე მათი მოედანზე გამოჩენა კითხვის ნიშნის ქვეშაა. „ვითასთან“ პირველი მატჩი მოგებული გვაქვს მაგრამ ეს დღეს არაფერს ნიშნავს - მეტოქე ძლიერია და წარმატებისთვის ძალების მაქსიმალური მობილიზება დაგვჭირდება. წინა შეხვედრაში, „ენერჯის“ წინააღმდეგ ურიგოდ არ გვითამაშია. ბოლო პერიოდში ერთ-ორ კალათბურთელს თავი სათანადოდ რომ გამოეჩინა, მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ მთავარია, რომ „ავიამშენი“ თამაშს ნელ-ნელა აუმჯობესებს, რაც შედეგებზეც დადებითად ისახება. კარგი იქნება, ჩემი სიტყვების დასტური ხვალინდელი მატჩი თუ გახდება.

„ავიას“ გამთამაშებელმა გიორგი ნიკოლაძემ მეტოქე გუნდის კალათბურთელებზე ილაპარაკა:

- „ვითაში“ არაერთი გამოცდილი მოთამაშეა. გიორგი მარკოიშვილს, ვაკო ბეჟანიშვილსა და დავით ბერძენიშვილს ჩვენს ჩემპიონატში არაერთი მატჩი გადაუტანიათ საკუთარ თავზე. მთავარ საფრთხეს მაინც ბეჟანიშვილისგან ველი, როცა იგი ფორმაშია, მისი შეჩერება რთულია. ჩვენი მთავარი ამოცანა სწორედ ვაკოს განეიტრალებაა. რაც შეეხება პროგნოზს, ვფიქრობ; მოგების შანსი ორივე გუნდს თანაბრად აქვს.

პრესკონფერენცია „ავიატორმა“ ნოდარ ბერაიამ დაასრულა. მან იმედი გამოთქვა, რომ მოუმატებს და გუნდში სათამაშო დროც გაეზრდება:

- „ვითა“ და „ავიამშენი“ თითქმის თანაბარი ძალის გუნდებია. გამარჯვების სერიოზული პრეტენზია ორივე გუნდს აქვს. ეს ნეიტრალური თვალით, ჩემი აზრით კი ხვალ „ავიამშენი“ მოიგებს.

ვაჟა სიმონიშვილი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

მაიამი იდუჰეგა

"მაიამის" ალბათ, "ჩიკაგოს" წყალის უნდა გადაესახას, ანუ სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს მთავარი მწვრთნელი, რომელიც ამ თანამდებობის დაკარგვის მიუხედავად, ფლორიდულ გუნდში მაინც ერთ-ერთ ბოსად დარჩება, რადგან ლეგენდარული **პატ რაილი** მწვრთნელობას კლუბის პრეზიდენტობასაც უთავსებს, თუმცა არცთუ წარმატებულად.

ფლორიდელები საშინლად, უკბილოდ და უპერსპექტივოდ გამოიყურებიან და საქმეს ვერც **დუეინ უეიდი** შველის, რომელიც არც მაიკლ ჯორდანია და არც ალენ აივერსონი, მხრებზე მთელი გუნდი რომ შემოიგდოს და ათრიოს. უეიდი სამიდან 2 მატჩში მაგრად გამოიყურება, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით მის თანაგუნდელებზე, რომლებიც არაანარ დაცვას არ თამაშობენ და საკმაოდ დაბალი პროცენტითაც უტევენ.

"კლივლენდთან" შეხვედრაში "ჰიტისთვის" ერთადერთი პოზიტიური ალბათ, ის იყო, რომ მათმა დაბერებულმა გიგანტმა, **შაკილ ონილმა** ზელიგის ყველა დროის ანტრეკორდი არ დაამყარა და ზედიზედ მეექვსე შეხვედრაში არ დაუტოვებია მოედანი ექვსი პერსონალური შენიშვნით. ონილმა ზედიზედ ხუთჯერ გავარდნით, შორეულ 1952 წელს დამყარებული "რეკორდი" გაიმეორა, რომელიც ვინმე **დონ ბოვენს** ეკუთვნოდა.

"კლივლენდს" კი გაუმართლა, რომ მეტოქედ ესოდენ დაბეჩავებული გუნდი ჰყავდა, თორემ **ლებრონ ჯეიმსის** "კავალიერსსაც" რომ სერიოზული პრობლემები აქვს, ეს აღნიშნულ შეხვდრამდეც ვიცოდით.

ლებრონი ნელ-ნელა შედის ფორმაში, მაგრამ ამ მატჩში ლიგის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე სერიოზულ ტრავმას გადაურჩა. ფარქვეშეთში ბრძოლისას, ლებრონს შაკის იდაყვი სახეში მოხვდა და კიდევ კარგი, 160-კილოგრამანი მონსტრის დარტყმის მერე, "კავალიერსის" ლიდერი მხოლოდ რამდენიმე კბილის დაკარგვით გადარჩა.

"თვალებში დამიბნელდა და სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ ტვინის შერყევა მივიღე. სერიოზული არაფერია, თუმცა დანტისტის მონახულება მაინც მომიწევს", - ამბობდა ნამატჩევს ლებრონი, რომელმაც თამაშიდან 19-ში 9 სროლა შეასრულა ზუსტად და 38 წუთში მხოლოდ 2 შეცდომა დაუშვა.

აშკარად გააძლიერა გუნდი ბრაზილიელმა **ანდერსონ ვარეჟაომ**, რომელმაც "ლეიკერსთან" მოგებულ მატჩში ორმაგი დუბლითა და კალიფორნიელთა ცენტრის, **უილ ბინუმის** წინააღმდეგ კარგი დაცვით გამოიჩინა თავი, ამჯერად კი მისთვის უჩვეულოდ ბევრი, 15 ქულა გააკეთა და თანაც, თამაშიდან ყველა, ხუთივე სროლა გამოიყენა. "კავალიერსის" ბოსებს თავიდანვე რომ გაეფორმებინათ ანდერსონი, გუნდი რეგულარულს მასთან ერთად დაიწყებდა და ამდენი წაგებაც არ ექნებოდა, თუმცა "მაიამისგან" განსხვავებით, "კლივლენდს" უკეთესი პერსპექტივა აქვს და ფლეი ოფშიც ულაპარაკოდ გავა. აი, "ჰიტის" კი რა გითხრათ...

■ ■ ■

"პორტლენდს" რომ "სიეტლთან" დაპირისპირებაში წლევანდელი დრაფტის პირველი ნომერი, ცენტრი **გრეგ ოდენი** ჰყოლოდა, ამერიკა იდეალურ საშობაო საჩუქარს მიიღებდა, რადგან ერთმანეთის პირისპირ ოდენი და მეორე მედრაფტე, "სონიქსის" ფორვარდი **კევინ დიურანი** წარსდგებოდნენ.

უოდენოდაც მაგრად მომართულმა და **ბრენდონ როის** მორიგი დამაჯერებელი თამაშით ფრთაშესხმულმა "ბლეიზერსმა" იწვალა, ბევრი სროლაც გააფუჭა, მაგრამ მოიგო იმის გამო, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში ოდენ 6 შეცდომა დაუშვა და გადამწყვეტ მომენტში იმავე დიურანსა და ვეტერან **უოლი შჩერბიაკს** ხელი არ გაანძრევინა.

"პორტლენდი" გუნდია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სადაც ვარსკვლავები არ ჭარბობენ, მაგრამ ორეგონელები ამის კომპენსირებას თითქმის იდეალურად აწყობილი გუნდური მექანიზმით აკეთებენ. აგერ, აღნიშნულ მატჩშიც, მასპინძლებმა თამაშიდან ზუსტად 36 სროლა შეასრულეს და შეხვედრა 27 შედეგიანი გადაცემით დაასრულეს, ხოლო როიმ კი უკვე მერამდენედ ამ სეზონში დაასრულა მატჩი მინიმუმ 15 ქულით, 5 მოხსნითა და 5 შედეგიანი გადაცემით.

"პორტლენდისთვის" ეს ზედიზედ მე-11 მოგება იყო, რაც მთლიანად ლიგაში ამ სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია, ხოლო თუ გუნდი კიდევ ერთ შეხვედრა დაასრულებს თავის სასარგებლოდ, მაშინ 2001-02 წლების რეგულარულის მიღწევასაც გაიმეორებს, თუმცა როის თქმით, ეს არ არის მთავარი.

"გუნდი გუნდს დაემსგავსა და ამაში დიდი როლი ჩვენს სამწვრთნელო შტაბს მიუძღვნის. არაა დასამალი, რომ სხვებზე ნაკლები ვარსკვლავი გვყავს, რამდენიმე შეხვედრაში გვაკლდა ჩვენი ლიდერი ლამარკუს ოლდრიჯი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მწვრთნელები ახერხებენ ჩვენს სათანადოდ მომზადებას და ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე ვიბრძვით. სამწუხაროდ, სეზონის სტარტზე რამდენიმე მოსაგები მატჩი დავთმეთ, მაგრამ გუნდი თამაშებს იგებს და ახლა სწორედ ესაა მთავარი", - განაცხადა როიმ.

ზურაბ თალაკვაძე

ლეიკერსი-ფინიქსი 122:115

25:26, 37:36, 30:27, 30:26

ლეიკერსი: ბრაიანტი (38 ქ. 7 პ. 5 მ. 2 ჩ), ბინუმი (28 ქ. 12 მ. 4 პ. 2 დ), ფიშერი (19 ქ. 6 მ. 2 ჩ)ოდომი (15 ქ. 14 მ. 2 ჩ), არიზა (14 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ).

ფინიქსი: ნეში (24 ქ. 14 პ. 3 ჩ), ა. სტაუდმაიერი (19 ქ. 6 მ. 3 დ), რ. ბელი (15 ქ. 2 ჩ. 2 პ), მურიონი (15 ქ. 10 მ), გ. ჰილი (14 ქ. 4 პ), ბარბოსა (10 ქ. 6 მ. 5 პ), სკინერი (10 ქ. 4 მ. 3 დ).

კლივლენდი-მაიამი 96:82

25:17, 18:30, 24:15, 29:20

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (25 ქ. 12 პ. 6 მ), გუდენი (18 ქ. 9 მ), გიბსონი (16 ქ. 2 ჩ), ვარეჟაო (15 ქ. 7 მ), ილგაუსკასი (13 ქ. 7 მ).

მაიამი: უეიდი (22 ქ. 8 პ. 6 მ), რ. დევისი (15 ქ), შ. ონილი (13 ქ. 9 მ. 2 დ), ჰასლემი (6 ქ. 13 მ).

პორტლენდი-სიეტლი 89:79

24:24, 22:20, 24:18, 19:17

პორტლენდი: როი (17 ქ. 7 პ. 6 მ), ჯეკი (17 ქ. 4 პ), ს. ბლეიკი (12 ქ. 3 მ. 3 პ), ფრაი (12 ქ. 8 მ), პრუიბილა (6 ქ. 16 მ).

სიეტლი: დიურანი (23 ქ. 6 მ. 4 პ. 2 დ), შჩერბიაკი (19 ქ), კოლისონი (9 ქ. 14 მ), უოტსონი (8 ქ. 11 პ. 4 მ), კურტ ტომასი (2 ქ. 10 მ).

ჟუსტინ ანენი

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ჟუსტინის პრიორიტეტები

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ პირველი ჩოგანის, **ჟუსტინ ანენის** მწვრთნელმა **კარლოს როდრიგესმა** 2008 წლის სეზონში ჩოგბურთელის გეგმები გაანდო ჟურნალისტებს. მომავალი სეზონის მთავარი ამოცანებიდან, როდრიგესმა "დიდი სლემის" სერიის ოთხივე ტურნირი გამოჰყო და მას პეკინის ოლიმპიური თამაშები და WTA-ს წლის შემაჯამებელი ტურნირი დაუმატა, რომელიც წელს კატარის დედაქალაქ დოჰაში გაიმართება.

პეკინის ოლიმპიადა სეზონის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახდება. ანენს ბელგიის ჩოგბურთის ფედერაციის და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტის მხარდაჭერა აქვთ, რომლებმაც ბელგიელს ოლიმპიადაზე თამაშის გარანტია მისცეს. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჟუსტინი არ აპირებს 2008 წელს ფედერაციის თასზე თამაშს. 2006 წლის სეზონმა აჩვენა, რომ რეიტინგის პირველი ნომრისთვის ძნელია ნაკრების თამაშების ინდივიდუალურ კალენდართან შეხამება.

ჟუსტინი სეზონს 2008 წლის 7 იანვარს სიდნეიში დაიწყებს. შემდეგ მელბურნში ავსტრალიის ღია პირველობაზე მიიღებს მონაწილეობას. მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია გამოსვლა ანტვერპენში ან დოჰაში და დუბაიში, რასაც მოჰყვება მაიამიში პირველი კატეგორიის სუპერტურნირი. სათიხნაო სეზონში, ანენს როლან გაროსის წინ ვარშავის ტურნირზე გამოსვლა ჰქონდა განზრახული, მაგრამ პოლონეთში ტურნირი აღარ გაიმართება და ბელგიელს სხვა შეჯიბრის არჩევა მოუწევს.

გარდა ამისა, ჟუსტინს WTA-ს პრეზიდენტთან სხვა დილემის გადაწყვეტაც მოუწევს. ანენს სურს ანტვერპენში საკუთარი პუბლიკის წინაშე გამოვიდეს, მაგრამ უფრო ადრე დოჰას ტურნირის ორგანიზატორებს მისცა თანხმობა. ხოლო ზედიზედ სამი ტურნირის (ანტვერპენი, დოჰა, დუბაი) თამაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლებელია.

როგორც კარლოს როდრიგესი აღნიშნავს, 2008 წელს ნებისმიერი კვირა ძალიან მნიშვნელოვანია და ის და მისი შეგირდი ჯერ არ მისულა კალენდრის იდეალურ ვარიანტამდე.

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘ

მარია საცურაო კოსტიუმს ყიდის

30 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ სინგაპურში საჩვენებელი ტურნირი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა**. ამ ფაქტთან დაკავშირებით სინგაპურში დიდი აჟიოტაჟი ატეხილი და ტურნირის ორგანიზატორებმა მარიას ჩასვლით დამატებითი ფინანსური მოგების მიღება გადაწყვიტეს. თანაც, ეს საკმაოდ ეგზოტიკური ხერხით გაკეთდება.

"ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ინტერესი გაჩნდა იმ ნივთების მიმართ, რომელსაც მარია შარაპოვა იყენებს. ამიტომაც, გადავწყვიტეთ მათი აუქციონის მეშვეობით გაყიდვა", - მოჰყავს ტურნირის ორგანიზატორის **ჯერი გოს** სიტყვები სააგენტო "როიტერს".

აუქციონზე გამოტანილი იქნება ის ნივთები, რომლებსაც შარაპოვა სინგაპურის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერში ყოფნის დროს მოიხმარს - საცურაო კოსტიუმი, პირსახოცი, სახლის ფეხსაცმელები, ზეწრები და ა.შ. ჯერჯერობით უცნობია, გასაყიდად გამოტანის წინ ამ ნივთებს გარეცხავენ თუ არა. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ შარაპოვას ნომრიდან უნიტაზი რეალიზაციას არ ექვემდებარება.

შარაპოვა სინგაპურში ხვალ ჩავა და საკმარისი დრო ექნება იმისთვის, რომ აუქციონისთვის მოემზადოს. რუსი ჩოგბურთელი სასტუმრო Fullerton-ში გაჩერდება. მისთვის უკვე შეკვეთილია საპრეზიდენტო აპარტამენტები. ნომერი ერთი დღე-ღამე 4745 დოლარი ღირს.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ლეიკერსმა კარლის შვილი დაიმატა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსი" D-ლიგიდან აყვანილი კალათბურთელით ცდილობს შემადგენლობის გაძლიერებას. კალიფორნიელებმა თავიანთ რიგებში მიიწვიეს 24 წლის **კობი კარლი**, რომელიც "დენვერის" დამრიგებლის, **ჯორჯ კარლის** ვაჟი გახლავთ.

კობი კარლმა D-ლიგაში 10 მატჩის გამართვა მოასწრო და საშუალოდ შეხვედრაში 18.3 ქულას, 5.8 მოხსნას და 4.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

სპურსი მანუს გარეშე განაახლებს

საშობაო არდადეგების შემდეგ პირველ მატჩს "სან ანტონიო სპურსი" თავისი ერთ-ერთი ლიდერის, **მანუ ჯინობილის** გარეშე ჩაატარებს.

მწვრთნელებმა ვადაწყვიტეს "ჩიკაგო ბულზთან" მატჩის განაცხადში არ შეიყვანონ არგენტინელი, ვინაიდან ამ უკანასკნელს თითის ტრავმა აწუხებს. "სპურსის" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი** არ გამორიცხავს, რომ მანუს შესაძლოა რამდენიმე შეხვედრის გამოტოვება მოუწიოს.

ჯინობილიმ დაზიანება შაბათს, "ლოს ანჯელეს კლიპერსთან" მატჩის დროს მიიღო.

ოდენი წელს არ ითამაშებს

"პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" გენერალურმა მენეჯერმა **კევინ პრიტჩარდმა** დაადასტურა, რომ 2007 წლის დრაფტის პირველი ნომერი, ცენტრალური თავდამსხმელი **გრეგ ოდენი** ამ სეზონში მოედანზე ვერ გავა. მუხლზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, ოდენის რეაბილიტაციის პროცესი დაგეგმილზე სწრაფად მიმდინარეობს, მაგრამ ახალგაზრდა კალათბურთელს ამ სეზონში თამაში მაინც არ მოუნევს. *"მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, მართლდება სეზონისწინა პროგნოზი. ოდენი წელს "პორტლენდს" ვერ დაეხმარება"*, - განაცხადა პრიტჩარდმა.

პორტლენდში რუდი ფერნანდესს ელიან

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, "პორტლენდმა" ესპანეთის "ხუვენტუდში" მოთამაშე შემტევი მცველი **რუდი ფერნანდესი** გაიხსენა. სავარაუდოდ, ეს კალათბურთელი მომავალი სეზონიდან შეუერთდება "თრეილ ბლეიზერსს". *"რუდის დიდი ხანია ვაკვირდები და უნდა ვაღიარო, რომ მისი თამაშის დონე ფენომენალურია*, - ამბობს კევინ პრიტჩარდი. - *იმედი მაქვს, ნომდევნო სეზონში ის "პორტლენდის" ღირსებას დაიცავს"*.

შეგახსენებთ, რომ "ბლეიზერსმა" ესპანელი მცველი 2007 წლის დრაფტზე 24-ე ნომრად აირჩია. გარდა ამისა, "პორტლენდში" თამაშობს კიდევ ერთი ესპანელი ვუნდერკინდი **სერხიო როდრიგესი**. *"სერხიოსა და რუდის წყვილი მომავალი სეზონის აღმოჩენა უნდა გახდეს. მათ შესანიშნავად ესმით ერთმანეთის და ისინი ნებისმიერ მეტოქეს დიდ პრობლემებს შეუქმნიან"*, - გვპირდება პრიტჩარდი.

ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

გრაფი ლტოლვილ ბავშვებს ეხმარება

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ გერმანელი ჩოგბურთელი **შტეფი გრაფი** გერმანიაში კლინიკის აშენებას გეგემავს, რომელიც ლტოლვილი ბავშვებისთვის იქნება განსაზღვრული. სამედიცინო ცენტრი ქალაქ ჰამბურგში განთავსდება და ის ყოველწლიურად 300-მდე ბავშვს მოემსახურება. საავადმყოფო საქველმოქმედო ფონდ Children for Tomorrow-ს დახმარებით აშენდება. გრაფი სწორედ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე გახლავთ.

სავარაუდოდ, ორსართულიანი კლინიკა 2008 წლის ნოემბერში გაიხსნება. ეს ინფორმაცია მისმა დირექტორმა **იორგ დებატინმა** დაადასტურა. რამდენიმე დღის წინ, გრაფმა საავადმყოფოს საძირკვლის ჩაყრის ოფიციალურ ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. საქველმოქმედო ფონდი Children for Tomorrow უკვე ცხრა წელია ფუნქციონირებს.

შტეფი გრაფის 17-ნლიანი კარიერა 1999 წელს დასრულდა. ამ დროის განმავლობაში გერმანელმა ერთეულთა თანრიგში 107 ტურნირი მოიგო, მათ შორის "დიდი სლემის" ჩემპიონატების 22 ტიტულიც შედის. გრაფი უკანასკნელი ჩოგბურთელია, რომელმაც ერთ სეზონში "დიდი სლემის" ოთხივე ჩემპიონატი მოიგო - ეს მან 1988 წლის სეზონში მოახერხა.

შტეფი გრაფი

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ

ᲔᲕᲐᲜᲡᲘ ᲭᲣᲠ-ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲓᲣᲑᲚᲡ ᲣᲛᲘᲖᲜᲔᲑᲡ

ᲙᲔᲘᲓᲔᲚ ᲔᲕᲐᲜᲡᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚᲘ ველომრბოლი **კეიდელ ევანსი** იმითაა ცნობილი, რომ გასულ სეზონში, ტურ დე ფრანსზე მეორე ადგილი დაიკავა. ის მცირედით ჩამორჩა ტურის ახალ ჩემპიონს, ესპანელ **ალბერტო კონტადორს**, ახლა კი იქადნის, რომ მერმის ფრანგულ ველომარათონსაც მოიგებს და პეკინში, ოლიმპიურ ოქროსაც დაეუფლება.

ევანსი დროზე ინდივიდუალური რბოლების სპეციალისტია და ბოლო სეზონებში სამთო რბოლებშიც გამოიჩინა თავი. ეს გასაკვირი სულაც არაა – ტურის 2006 წლის ამერიკელ გამარჯვებულ **ფლოიდ ლენდისის** მსგავსად, ევანსმაც თავისი პროფესიული კარიერა მაუნტინ ბაიკით დაიწყო და ორ ოლიმპიადაზე (1996 წლის ატლანტას და 2000 წლის სიდნეის) სცადა კიდეც ბედი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში ფავორიტად მოიაზრებოდა, მაინც ხელმოცარული დარჩა. სიდნეიში, სადაც ბევრი მას გამარვჯებას უწინასწარმეტყველებდა, მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

ტურის ზოგიერთ ჩემპიონს, მაგალითად ესპანელ **მიგელ ინდურაინს**, ვისაც ტური ხუთჯერ აქვს მოგებული, ოლიმპიური ოქრო მოპოვებული აქვს, მაგრამ არა იმ სეზონში, როცა ის ფრანგულ ტურს იგებდა. ამერიკელი **ლენს არმსტრონგი** ტურის შვიდგზის ჩემპიონია, ოლიმპიური ოქრო არასოდეს მოუპოვებია. ევანსი კი დარწმუნებულია, რომ შეუძლია, გახდეს პირველი ველომრბოლი, ვინც ერთ სეზონში ოლიმპიური ჩემპიონიც გახდება და ფრანგული ველომარათონის ჩემპიონიც.

"ვფიქრობ, ორივე ტიტულის მოპოვება შემიძლია. ამგვარი რამ ადრე არავის გაუკეთებია. მაგრამ დამერწმუნეთ, თუ იმდენად მაგარი ხარ, რომ ტურის მოგება შეგიძლია, მაშინ რატომ ვერ უნდა გაიმარჯვო ოლიმპიურ რბოლაში? იქ ხომ ორი შანსია – ჯერ საგზაო რბოლაში და შემდეგ დროზე ინდივიდუალურ რბოლაში. შეგიძლია, ორივესთვის მოემზადო (თუ საგზაო რბოლის მარმრუტი შენს სტილს შეეფერება), შეიძლება რომელიმეზე გააკეთო აქცენტი. ნებისმიერ შემთხვევაში, გამორიცხული არაფერია", - ამბობს ევანსი, ვინც ტურის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ, ოლიმპიადის შესარჩევ (დროზე ინდივიდუალურ) რბოლაში მიიღო მონანილეობა და გაიმარჯვა.

ევანსი თვლის, რომ მან წინა ოლიმპიადებზე საკმაოზე მეტი გამოცდილება შეიძინა, რომელსაც პეკინში ტრიუმფისთვის გამოიყენებს. *"ეს სრულიად შესაძლებელია. ოლიმპიადაზე ჩემი პირველი გამოსვლა, ამ ტრიუმფისთვის მოსამზადებელი ეტაპი იყო. სიდნეიშიც ბევრი რამ ვისწავლე. ათენში კი არ გამიმართლა. პეკინისთვის უზარმაზარი გამოცდილება დამიგროვდა და მის გამოყენებას აუცილებლად ვეცდები"*, - ამბობს ევანსი.

ავსტრალიელს სულაც არ ანაღვლებს ის ფაქტი, რომ ტურის შემდეგ, ოლიმპიადის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება იმისათვის, რომ ძალები აღიდგინოს. *"ყველა ფავორიტი ჩემს ყოფაში იქნება. ტურზე ყველა ძლიერი ველომრბოლი გამოვა, რომლებიც შემდეგ პეკინშიც იასპარეზებენ. ასე რომ, ყველა თანაბარ პირობებში ვიქნებით. თანაც, შორეულ მგზავრობას და აკლიმატიზაციასაც სხვებზე მეტად ვარ შეჩვეული. მოკლედ, შეუძლებელი არაფერი იქნება"*, - დასძენს ევანსი, ვისაც ერთადერთი, რაც ადარდებს, პეკინის მძიმე ჰაერია.

ოლიმპიადის შესარჩევი რბოლის შემდეგ, ის ყელის ტკივილსა და ფილტვებში სიმძიმეს უჩიოდა, რაზეც ავსტრალიურ მედიასთან დაიჩივლა კიდეც. მაგრამ მას სჯერა, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორები ამ პრობლემას მეტნაკლებად მოაგვარებენ.

ევანსი კმაყოფილია იმითაც, რომ ბოლო დროს, ველოსპორტში თაღლითობას გასავალი აღარ აქვს და რომ დოპინგის მომხმარებლებს სულ უფრო ხშირად იჭერენ. *"შესაძლოა, ხშირი დოპინგსკანდალები ჩვენს სპორტს სახელს უტეხს, მაგრამ რეალურად, ჩვენ სპორტის სხვა სახეობებს მაგალითს ვაძლევთ იმისა, თუ როგორ უნდა ებრძოლო ამ საშინელებას"*, - დასძენს ევანსი, ვინც პირველი ავსტრალიელი ველომრბოლია, ტური კვარცხლბეკზე რომ დაასრულა.

27 დეკემბერი, ხუთშაბათი

I არხი

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ.
15:10 პოლანდიის ჩემპიონატი. გრონინგენი-ეინდჰოვენი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-არსენალი.
19:05 შოტლანდიის ჩემპიონატი. დანდი-სელტიკი.
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:15 უიტ ენდის მატჩების ანონსი.
21:25 ტოქ-შოუ - 2:1.
22:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:10 პოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ტვენტე (LIVE).
01:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:30 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ბლეკბერნი.

SPORT 1 (უკრაინა)

08:10 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
08:36 ფეხბურთი. Barca TV.
08:44 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩინეთი. მიმოხილვა.
09:43 სპორტული ისტორიები.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:06 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ასტონ ვილა.
11:52 სპორტის სამყარო
12:19 ფეხბურთი. Barca TV.
12:26 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნაიტედი.
14:12 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
14:37 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-არსენალი.
17:17 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:46 ფეხბურთი. Barca TV.
17:54 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. რეალი-ლაციო.
19:37 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
21:15 პოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. სენტ ლუისი-დეტროიტი.
23:05 პოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:35 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ბლეკბერნი (LIVE).
01:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:52 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნაიტედი.
03:41 სპორტის სამყარო
04:02 პოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 პოკეი. NHL. [illegible] პიტსბურგი-ვაშინგტონი (LIVE).
07:10 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
07:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-არსენალი.

EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:15 ფეხბურთი. ევრო 2008. 11 საუკეთესო.
13:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. კუუსამო. ფინეთი.
15:15 ევროსპორტის ჩემპიონები. ტიერი ანრი.
15:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
16:30 ფეხბურთი. გრეგორი კუპე.
17:00 მულტისპორტი.
19:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
20:00 ფეხბურთი. უეფას თასის კლასიკა. სელტიკი-პორტუ. 2002-2003.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკა. ლივერპული-მილანი. 2004-2005.
22:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
23:00 ფიგურული სრიალი. საჩვენებელი გამოსვლები. ტოკიო. იაპონია.
01:00 სპორტული სამეჯლისო ცეკვები. ინსბრუკი. ავსტრია.
02:00 ბრძოლა ნესების გარეშე.
03:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
04:00 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 სერფინგი. ევროპის ტური. ბრიტანეთი.
13:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ფინალი. საფრანგეთი.
14:30 სერფინგი. ევროპის ტური. ბრიტანეთი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-პანელინიოსი (საბერძნეთი).
18:00 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ლეგენდები. ეგვიპტე-2006.
19:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ალიკანტე. ესპანეთი.
20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მაასლიკი (ბელგია)-დინამო (რუსეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 მულტისპორტი.
23:00 ახალი ამბები.
23:30 ბოულინგი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი.
00:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
01:30 რესტლინგი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ნარდი. მსოფლიო სერია. ბრიტანეთი.
03:15 ექსტრემალური სპორტი.
03:45 ახალი ამბები.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ ᲣᲔᲘᲚᲘᲡ ᲓᲣᲑᲚᲘᲠᲡ ᲔᲫᲔᲑᲐ

მას შემდეგ, რაც ამ სეზონის წინ, "მაიამი ჰიტმა" გაუშვა **ჯეისონ კაპონო** და **ჯეიმს პოუსი**, "ჰიტის" ლიდერს **დუეინ უეიდს** შემტევი მცველის პოზიციაზე დუბლიორი აღარ დარჩა.

ამის გამო, კლუბის ხელმძღვანელობა "შემფის გრიზლისის" ორი მოთამაშის მიმართ გამოთქვამს დაინტერესებას. ესენი არიან **მაიკ მილერი** (საშუალოდ 16.1 ქულა და 7.0 მოხსნა) და **სტრომაილ სვიფტი** (7.7 ქულა, 4.4 მოხსნა). ამ ინფორმაციას New York Daily News ავრცელებს.

ᲛᲔᲯᲘᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲐ

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლეგენდარული მოთამაშე **მეჯიქ ჯონსონი** რჩევას აძლევს "ჰიუსტონ როკეტსის" ხელმძღვანელობას. კერძოდ, მას მიაჩნია, რომ "როკეტსი" მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს წარმატებას, თუ ის თავის ერთ-ერთი ლიდერს - ცენტრ **იაო მინს** ან შემტევ მცველ **ტრეისი მაკგრეიდის** სხვა გუნდში გაცვლის.

"ეს წყვილი სათანადო დონეზე ვერ მუშაობს. თუ ყველაფერი ძველებურად დარჩება, "ჰიუსტონი" ტრადიციულად პლეიოფის პირველივე წრიდან გამოვარდება. მაგალითისთვის აღიღოთ 19 დეკემბერს გამართული მატჩი "დენვერ ნაგეტსთან". "ჰიუსტონის" ხელში მთელი თამაში ბურთი სულ მოძრაობაში იყო, რადგან ტრავმის გამო მატჩს ტოვებდა ტრეისი და შესაბამისად, ის ზედმეტად არ ათრევდა ბურთს. ხოლო, როცა მაკგრეიდი მოედანზე იაო მინთან ერთად გამოდის, გუნდის უბრალოდ ერთ ადგილას დგება", - ამბობს მეჯიქ ჯონსონი.

ᲪᲘᲜᲝᲜᲐᲛ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ კრიზისში მყოფ ზაგრების "ციბონას" ახალი მთავარი მწვრთნელი დაუნიშნეს. თანამდებობიდან დათხოვნილი **იოსიპ ვრანკოვიჩის** ადგილი ბოსნიის "შიროკის" დამრიგებელმა **ივან სუნარამ** დაიკავა. კლუბის ხელმძღვანელობამ ახალ მწვრთნელს კონკრეტული მიზნები დაუსახა - რაიმე ტიტული შიდა არენაზე და ევროლიგაზე 16 საუკეთესო გუნდში გასვლა.

"ციბონამდე" სუნარი სლოვენიის "კრკაში", სლოვენიის ახალგაზრდულ ნაკრებში და აგრეთვე გერმანიის "სკაილანერში" მუშაობდა.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲠᲔᲜᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲞᲝᲜᲡᲝᲠᲘ

ფორმულა 1-ის ფრანგულმა საჯინიბომ "რენომ" კონტრაქტი გააფორმა ესპანურ კომპანია Mutua Madrilena-თან. ეს ფირმა ადრეც თანამშრომლობდა "რენოსთან", მაგრამ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, **ფერნანდო ალონსოს** "მაკლარენში" გადასვლის შემდეგ, ეს თანამშრომლობა შეწყდა.

2008 წელს, ესპანეთში ორი ეტაპი გაიმართება: ბარსელონაში ესპანეთის გრან-პრი და ვალენსიაში - ევროპის გრან-პრი. სნორედ ამის გამო, Mutua Madrilena-მა ხელშეკრულება დადო "რენოსთან" და უშუალოდ ალონსოსთან.

"რენო" Mutua Madrilena-სგან სეზონში 5 მილიონ დოლარს მიიღებს. კომპანიის ლოგოები მანქანის წინა ფრთებზე იქნება განლაგებული, აგრეთვე ფერნანდოს კომბინიზონსა და ჩაფხუტზე.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲣᲘᲚᲘᲐᲛ ᲰᲘᲚᲛᲐ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲔᲜᲘ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ

საბუმბეულო კანტორა "უილიამ ჰილმა" ავსტრალიის ღია პირველობის მოგებაზე ფსონები გამოაქვეყნა. როგორც მოსალოდნელი იყო, მამაკაცთა შორის ყველაზე დაბალი კოეფიციენტი აქვს შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** - ის 1.57-ს უტოლდება.

"უილიამ ჰილმა" მეორე ადგილზე არა ესპანელი **რაფაელ ნადალი**, არამედ რეიტინგში მასზე დაბლა მყოფი სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაადგა, რომლის გამარჯვებაზე დადებული თითო დოლარი ფსონის ავტორს 7 დოლარს მოუტანს.

ნადალი კი, ამ სიაში მესამე ადგილზეა (9.0). შემდეგ მოდიან ესპანელი **დავიდ ფერერი** (21.0) და კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** (41.0).

"უილიამ ჰილის" აზრით, ქალთა შორისაც ფავორიტი მსოფლიო რეიტინის პირველი ნომერი - ბელგიელი **ჟუსტინ ენინი** გახლავთ. მას ფედერერზე დაბალი კოეფიციენტი აქვს - 1.375.

ფავორიტებს შორის მეორე პოზიციაზე იმყოფება რუსი **მარია შარაპოვა** (5.5). შემდეგ ადგილებზე არიან დენი **უილიამსები** - **სერენა** (7.0) და **ვენუსი** (9.0). მათ მოჰყვებიან ჩოგბურთელები, რომელთა კოეფიციენტია 12.0. ასეთი სამი მოთამაშეა - **ელენა იანკოვიჩი, ამელი მორესმო** და **ანა ივანოვიჩი**.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ

ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲣᲝᲚᲒᲣᲝᲠᲗᲘ-ᲚᲘᲕᲠᲞᲣᲚᲘ	2:2
ᲑᲐᲠᲜᲚᲘ-ᲩᲔᲚᲡᲘ	3:3
ᲑᲐᲠᲜᲚᲘ-ᲣᲔᲡᲚᲘ	1:1
ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ-ᲡᲐᲣᲗᲐᲛᲞᲢᲝᲜი	1:1
ᲥᲘᲣᲘᲜᲗᲘᲠᲘ-ᲥᲠ. ᲞᲐᲚᲐᲡᲘ	0:2
ᲞᲐᲚᲘ-ᲕᲔᲡᲢᲰᲐᲛ	2:0
ᲚᲔᲡᲢᲔᲠᲘ-ᲠᲣᲜᲘᲢᲘ	2:0
ᲜᲝᲠᲕᲘᲩᲘ-ᲩᲐᲠᲚᲢᲝᲜᲘ	1:1
ᲞᲚᲘᲛᲣᲗᲘ-ᲥᲘᲣᲜᲗ ᲞᲐᲠᲚᲘ	2:1
ᲞᲠᲔᲡᲢᲝᲜᲘ-ᲡᲐᲣᲗᲘᲛᲠᲝᲣᲜᲓᲘ	0:1
ᲣᲝᲚᲤᲐᲛᲞᲢᲝᲜᲘ-ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ ᲘᲣᲜᲘᲢᲘ	1:1
ᲕᲘᲚᲘᲐᲛᲡᲘ-ᲑᲠᲘᲡᲢᲝᲚᲘ	4:1

I ᲚᲘᲒᲐ

ᲞᲐᲠᲗᲚᲣᲚᲘ-ᲚᲘᲕᲠᲞᲣᲚᲘ	1:1
ᲭᲘᲚᲘᲜᲒᲗᲔᲜᲘ-ᲡᲐᲣᲗᲔᲜᲓᲘ	1:1
ᲛᲘᲚᲣᲝᲚᲘ-ᲑᲠᲘᲜᲗᲝᲜᲘ	3:0
ᲡᲝᲜᲘᲜᲘ-ᲩᲔᲚᲡᲘᲡᲘ	4:1
ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ-ᲡᲐᲛᲞᲓᲝᲠᲘᲐ	0:1
ᲑᲝᲠᲜᲛᲣᲗᲘ-ᲚᲘᲜᲪᲝᲚᲜᲘ	3:1
ᲠᲝᲛᲘᲡᲘ-ᲚᲐᲪᲘᲝ	1:1
ᲤᲘᲠᲔᲜᲪᲔᲚᲘ-ᲒᲔᲜᲣᲐᲖᲝ	2:0
ᲞᲐᲓᲝᲕᲐᲜᲘ-ᲥᲐᲢᲐᲜᲘᲐ	1:1
ᲛᲝᲚᲔᲠᲘᲐᲜᲘ-ᲜᲝᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ	0:0
ᲞᲐᲠᲛᲐ ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ-ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ	1:1
ᲑᲠᲐᲜᲗᲤᲝᲠᲓᲘ-ᲥᲐᲠᲚᲘᲡᲚᲔ	2:0

II ᲚᲘᲒᲐ

ᲑᲐᲠᲜᲡᲚᲘ-ᲓᲐᲒᲔᲜᲰᲐᲛᲘ	3:1
ᲑᲠᲘᲯᲗᲝᲜᲘ-ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘ	1:3
ᲑᲠᲔᲓᲤᲝᲠᲓᲘ-ᲚᲘᲜᲪᲝᲚᲜᲘ	2:1
ᲑᲠᲘᲡᲢᲝᲚᲘ-ᲩᲔᲚᲡᲘ	0:1
ᲓᲐᲠᲑᲘ-ᲩᲘᲯᲝᲠᲗᲘ	1:1
ᲑᲠᲘᲜᲡᲚᲘ-ᲠᲝᲗᲠᲘᲠᲗᲘ	1:2
ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ-ᲣᲔᲡᲢᲑᲠᲝᲛᲘᲩᲘ	0:1
ᲛᲘᲓᲚᲡᲑᲠᲝᲣ-ᲞᲘᲢᲔᲠᲑᲠᲝ	2:0
ᲛᲝᲠᲬᲘᲛᲑᲘ-ᲩᲔᲚᲡᲘ	5:3
ᲜᲝᲠᲩᲘ-ᲕᲘᲚᲣᲠᲑᲐᲜᲘ	1:2
ᲨᲠᲘᲣᲡᲑᲠᲘ-ᲡᲢᲝᲙᲣᲠᲗᲘ	3:1
ᲠᲔᲓᲘᲡᲘᲡᲘ-ᲠᲝᲩᲓᲐᲚᲘ	0:2

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘ

ᲔᲓᲘᲡᲑᲠᲘ-ᲑᲝᲠᲘᲡ	4:3
ᲣᲝᲚᲤᲠᲔᲜᲓᲘ-ᲚᲔᲡᲢᲔᲠᲘᲡᲗᲘᲡ	0:1
ᲐᲚᲑᲠᲘᲜᲓᲘᲡᲘ-ᲜᲝᲠᲗᲘᲩᲘ	1:2
ᲙᲘᲓᲑᲠᲘᲯᲘ-ᲠᲘᲩᲛᲝᲜᲓᲘ	1:0
ᲨᲐᲠᲚᲡᲚᲘ-ᲚᲘᲚᲘᲣᲐᲜᲘ	3:0
ᲨᲝᲠᲗᲡᲑ ᲑᲠᲘᲜᲘ-ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲘᲜᲡᲑᲠᲘ	2:2
ᲑᲠᲘᲡᲢᲝᲚᲘ-ᲑᲠᲐᲣᲜᲡᲚᲘ	1:1
ᲠᲝᲗᲨᲢᲠᲝᲚᲘ-ᲥᲐᲠᲓᲘᲤᲘ	1:0
ᲠᲐᲓᲘᲩᲘ-ᲡᲒᲣᲘᲜᲓᲝᲜი	0:0
ᲚᲔᲡᲢᲔᲠᲘ-ᲨᲔᲤᲘᲚᲓᲘ	1:1
ᲡᲒᲣᲗᲠᲝᲚᲘ-ᲑᲐᲠᲑᲠᲘᲯᲘ	0:3
ᲠᲝᲠᲘᲯᲘ-ᲓᲠᲐᲠᲘᲚᲓᲘᲜᲘ	2:1

ᲞᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲣᲔᲘᲜᲗᲝᲠᲗᲠᲘ-ᲡᲐᲠᲐᲒᲐ	2:0
ᲜᲘᲜᲘᲛᲔᲒᲘᲜ-ᲕᲘᲜᲚᲐ	2:2
ᲑᲠᲘᲜᲘᲜᲒᲔᲜ-ᲕᲘᲜᲓᲝᲠᲘᲜᲔᲜ	2:1
ᲑᲠᲐᲜᲣᲡᲐᲜᲘ-ᲐᲚᲘᲒᲐᲠᲘ	ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

ᲨᲝᲒᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲧᲐᲚᲘᲠᲘᲐ-ᲘᲜᲕᲔᲠᲜᲔᲡᲘ	1:0
ᲑᲠᲔᲜᲜᲐ-ᲐᲒᲐᲠᲚᲘᲜᲘ	1:1
ᲞᲐᲠᲗᲘᲡᲘ-ᲡᲒ. ᲛᲘᲠᲜᲘ	0:1
ᲙᲘᲚᲛᲐᲠᲜᲝᲩᲘ-ᲠᲘᲒᲐᲠᲜᲘᲐᲜᲘ	2:1
ᲠᲘᲜᲒᲜᲔᲠᲘᲡᲘ-ᲨᲝᲖᲔᲠᲘᲜᲔᲚᲘ	3:1
ᲓᲐᲜᲓᲘ ᲘᲣᲜ-ᲡᲚᲔᲒᲘᲡᲘ	0:2

I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲛᲝᲠᲒᲐᲜᲘ-ᲓᲐᲜᲣᲗᲠᲐᲛᲘᲜᲘ	0:1
ᲨᲐᲛᲞᲢᲝᲜᲘ-ᲚᲘᲜᲪᲝᲚᲜᲘ	0:0
ᲥᲘᲜᲘ-ᲓᲐᲜᲓᲘ	2:1
ᲡᲢᲘᲠᲚᲘᲜᲒᲘ-ᲡᲒ. ᲯᲝᲜᲡᲢᲝᲜᲘ	0:0

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘ-ᲐᲚᲐᲑᲐ	2:0
ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲘ-ᲠᲘᲗᲘᲗᲘ	2:1
ᲠᲘᲩᲛᲝᲜᲓᲘ-ᲑᲠᲔᲜᲢᲤᲝᲠᲓᲘ	1:2
ᲥᲘᲜᲖ ᲞᲐᲠᲚᲘ-ᲕᲘᲠᲯᲘᲜᲘ	1:1
ᲠᲝᲩᲡᲢᲔᲠᲘ-ᲚᲘᲜᲪᲝᲚᲜᲘ	ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

III ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲘᲡᲑ ᲨᲐᲠᲣᲗᲘ-ᲐᲠᲑᲠᲐᲣ	0:2
ᲡᲑᲠᲐᲜᲓᲠᲐᲠᲘ-ᲐᲚᲑᲘᲜᲘ	3:1

ᲞᲝᲠᲢᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘ-ᲡᲘᲑᲘᲠᲘ	ᲞᲚ. 3:2
ᲐᲙ ᲑᲐᲠᲡᲘ-ᲐᲛᲣᲠᲘ	6:2
ᲛᲘᲜᲡᲙᲘ-ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘ	4:4 ᲞᲔᲜ. 0:1
ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕᲘ-ᲛᲔᲒᲐᲚᲘᲠᲒᲘ (Ლ)	4:1
ᲜᲝᲕᲒᲝᲠᲝᲓᲘᲪᲘ-ᲛᲘᲜᲡᲙᲘ	2:2 ᲞᲔᲜ. 1:0
ᲡᲙᲐ-ᲛᲔᲒᲐᲚᲘᲠᲒᲘ (Მ)	1:3
ᲡᲘᲛᲤᲘᲠᲝ�პᲝᲚᲘ-ᲑᲐᲙᲘᲗᲘᲠᲘ	2:2
ᲛᲔᲓ-ᲐᲕᲘᲜᲒᲐᲠᲘ	5:2
ᲪᲡᲙᲐ-ᲚᲐᲓᲐ	3:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ-ᲐᲘᲜᲑᲐᲠᲒᲘ	2:2
ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲒᲘ-ᲐᲜᲒᲘᲠᲘ	4:7
ᲕᲝᲚᲤᲡᲑᲣᲠ�გᲘ-ᲐᲣᲒᲡᲑᲣᲠᲒᲘ	5:3
ᲠᲝᲖᲢᲝᲙᲘ-ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ	4:4
ᲙᲐᲡᲔᲚᲘ-ᲙᲘᲚᲝᲜᲐ	5:4
ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲠᲒᲘ-ᲘᲜᲒᲝᲚᲨᲢᲐᲓᲢᲘ	5:2

ᲩᲔᲩᲔᲗᲘ

ᲕᲘᲪᲘᲠᲘᲪᲘ-ᲑᲣᲓᲘᲝᲕᲘᲪᲘ	3:2
ᲔᲚᲘᲜ-ᲙᲐᲠᲚᲘᲜᲘ ᲕᲐᲠᲘ	4:6
ᲑᲠᲘᲜᲘᲜᲒᲘᲡ-ᲚᲘᲑᲔᲠᲔᲪᲘ	2:1
ᲙᲚᲐᲓᲜᲝ-ᲡᲐᲠᲐᲢᲐ	4:0
ᲯᲚᲖᲔᲜᲘ-ᲚᲘᲑᲔᲠᲔᲪᲘ	3:6
ᲡᲚᲝᲕᲐᲜᲘ-ᲖᲚᲝᲕᲘᲐᲜᲘ	3:2

საუკუნის პროცესი

(დასაწყისი წინა ნომერში)

რამდენიმე თვის წინ, ამერიკასა და მთელს მსოფლიოს კვლავ შეახსენა თავი სკანდალურად ცნობილმა ო ჯეი სიმპსონმა. ერთ დროს, ამერიკული ფეხბურთისა და ჰოლივუდის ვარსკვლავმა ლას ვეგასის ერთ-ერთ კაზინოზე შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო და ახლა სასამართლოს ელის. როგორც ჩანს, ამჯერად ო ჯეი პატიმრობას ვერ გადაურჩება. არადა, ყველას ეგონა, რომ 1995 წელს, საკუთარი მეუღლისა და მისი საყვარლის მკვლელობაში ეჭვმიტანილ სიმპსონს სამუდამო პატიმრობა არ ასცდებოდა.

ამ ისტორიის პირველი ნაწილი გუშინდელ ნომერში გაგაცანით, ახლა კი, მეორე ნაწილს შემოგთავაზებთ.

სასამართლო პროცესი

ო ჯეის სიმპსონის საგის მეორე ნაწილი 1995 წლის იანვარში, სასამართლო პროცესთან ერთად დაიწყო. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ნაფიცი მსაჯულები ცალკე, დაცულ სასტუმროში დააბინავეს და მათ ეკრძალებოდათ სიმპსონის საქმის გარშემო რაიმე ინფორმაციის მიღება. იქამდე, სანამ ისინი სასამართლო დარბაზში არ აღმოჩნდებოდნენ, ამ საქმესთან დაკავშირებულ გაუთავებელ მსჯელობებს მათზე გავლენა არ უნდა მოეხდინა. ყველამ იცოდა, რომ ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი სასამართლო პროცესი იქნებოდა, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის ასე დიდხანს, დაახლოებით 9 თვე გაგრძელდებოდა. პრესის მასობრივმა საშუალებებმა იმდენი მოახერხეს, რომ სასამართლო დარბაზში ტელეკამერების დაყენების უფლება მიიღეს და დაიწყო ახალი ტელესერიალი.

მოსამართლე და მსაჯულები

მოსამართლე **ლენს იტოსა** და ნაფიცი მსაჯულების მიმართ გადამეტებული ყურადღება გამოიჩინეს. თანაც, ეს ყურადღება აშკარად გამოხატულ ნეგატიურ ხასიათს ატარებდა. მოსამართლე პრეზიდენტ **ბილ კლინტონსაც** კი შეადარეს, რადგან ამ უკანასკნელის მსგავსად, არადამაჯერებელი იყო იმ დროს, როცა მისგან რაიმე გადაწყვეტილების მიღებას ელოდნენ. მოსამართლის ყოყმანი ხშირად გამაღიზიანებელი იყო. ის უაზრო და ყალბი მუქარით გამოდიოდა, როცა ადვოკატები თავიანთ უფლებამოსილებას აჭარბებდნენ, უაზროდ და მოსაწყენად წელავდა გაუთავებელ გამოძიებას და საერთოდაც, უუნარო აღმოჩნდა წაეყვანა ეს პროცესი.

ამერიკული მართლმსაჯულების წესებით, ბრალდებულის ადვოკატებს უფლება აქვთ ნაფიც მსაჯულთა ნებისმიერი წევრის გაშვება მოითხოვონ, თუ ჩათვლიან, რომ ამ კანდიდატმა შეიძლება მიკერძოება გამოიჩინოს. ამ წესი გამოყენებით, სიმპსონის დაცვის მხარემ ყველა თეთრი კანდიდატურა დაითხოვა - ხომ შეიძლებოდა, რომ ისინი რასისტები ყოფილიყვნენ. საბოლოოდ, ჟიურის მთელი შემადგენლობა თითქმის მთლიანად შავკანიანებითა და ესპანურენოვანი ამერიკელებით დაკომპლექტდა.

მიუხედავად ამისა, ამ საქმეში რასიზმის როლი დღითიდღე იზრდებოდა.

ბრალდება

თეთრკანიანების უმეტესობას მიაჩნდა, რომ მკვლელობა ო ჯეიმ ჩაიდინა. თანდათანობით, უფრო მეტი აფრო-ამერიკელიც რწმუნდებოდა ამაში, რადგან ფაქტები საკმარისად დამაჯერებლად მეტყველებდნენ ყველაფერზე: ეს იყო დნმ-ის ტესტი, რომელიც სიმპსონს დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილ სისხლთან და თმებთან აკავშირებდა. ფეხბურთელის მანქანის საჭეზე აღმოჩენილი სისხლის კვალი ო ჯეის ცოლის სისხლის ჯგუფისა იყო. რა თქმა უნდა, არსებობდა პრობლემებიც. ასედაც ვერ იპოვნეს მკვლელობის იარაღი. აგრეთვე გასისხლიანებული ტანსაცმელი. სიკვდილის დრო ძაღლის ყეფით განისაზღვრა - შეიძლება ეს გარემოება საკმარისი ყოფილიყო, რომ არა აღნიშნული საკითხის უკიდურესი მნიშვნელობა. იმ საღამოს, როცა ეს ტრაგედია მოხდა, სიმპსონი თვითმფრინავით ჩიკაგოში გაემგზავრა: დილით, 11 საათზე ის იქ საკუთარ სახლში გააღვიძეს. თუ დანაშაული 10:15-ზე მოხდა, როგორც ამას ბრალდების მხარე ირწმუნებოდა, სიმპსონს შეეძლო ეს დანაშაული ჩაედინა. თუ ეს მოგვიანებით მოხდა, სიმპსონი უდანაშაულო გამოდიოდა.

თავიდან, საგამომძიებლო ორგანოების ცუდი მუშაობა ერთი ნათელი ვარსკვლავით კომპენსირდებოდა. ეს იყო ლოს ანჯელესის პოლიციის დეტექტივი **მარკ ფურმანი,** რომელმაც დილით, ო ჯეი სიმპსონის სახლთან ახლოს სისხლიანი ხელთათმანი აღმოაჩინა. ის ძალიან გავდა დანაშაულის ადგილას აღმოჩენილ ხელთათმანს. როგორც იქნა, ბრალდების მხარის მიერ მამხილებელი ფაქტების წარმოდგენის პროცესი დასრულდა - ამან 24 კვირა და 58 მოწმის დაკითხვა მოიცვა. და მაშინ გაირკვა, რომ ამ ზღვა ჩვენებებსა თუ მტკიცებულებებში, ღირებულ არგუმენტებად მხოლოდ სისხლი და თმა თუ ჩაითვლებოდა, რომლიც დანაშაულის ადგილას და სიმპსონის სახლში იქნა ნაპოვნი.

ბრალდების მხარე მეტად ემოციური და ენაწყლიანი იყო, რაც, ხშირ შემთხვევაში მათ ცუდ სამსახურს უწევდა. ერთადერთი ეპიზოდი, როცა ისინი მოსაწყენები და მონოტონურები იყვნენ, დნმ-ს ტესტის განხილვა იყო. და ეს იმ დროს, როცა ყველაზე მეტად იყო საჭირო დამსწრე საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. საგამომძიებლო ბრიგადა მართლაც ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და პროკურორს ბრალდების ფაქტების მოპოვება პოლიციელებთან უწევდა. თუმცა თავად პროკურორიც ხშირად სცოდავდა, ხშირად მცირე შეცდომებს უშვებდა, დაუკვირვებელი იყო და რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ბრალდების მხარის პრესტიჟს დაბლა სცემდა.

დაცვა

დაცვის მხარემ თავიდანვე წამოაყენა ვერსია, რომელსაც მთელი პროცესის მსვლელობისას მისდევდა: სიმპსონის წინააღმდეგ საიდუმლო შეთქმულებას ჰქონდა ადგილი, რომელიც რასობრივი მოსაზრებების გამო ლოს ანჯელესის პოლიციის მიერ იყო პროვოცირებული. ამ ქალაქის პოლიციას ეროვნული უმცირესობების მიმართ გრძელი და საგანგაშო ისტორია აქვს. 1992 წელს, შავკანიანი **როდნი კინგის** ცემის ფაქტმა და შემდეგ, ამ ცხოველურ ანგარიშსწორებაში მონაწილე პოლიციელის გამართლებამ საყოველთაო პროტესტი გამოიწვია. შესაძლოა, ამერიკის სხვა რაიონში ო ჯეის ადვოკატების ამ ვერსიისთვის არავის დაეჯერებინა, ოღონდ არა ლოს ანჯელესში.

ადვოკატებს არცერთხელ არ უთქვამთ, რომ პოლიციელებმა მოკლეს **ნიკოლ სიმპსონი** და **რონალდ გოლდმანი**. ისინი მხოლოდ იმას ამტკიცებდნენ, რომ პოლიცია ცდილობდა ამ მკვლელობისთვის ო ჯეი დაეკავშირებინათ. დაცვა არც იმის დადგენას ცდილობდა, თუ ვინ ჩაიდინა დანაშაული. მისი ამოცანა იყო მხოლოდ ის, რომ საზოგადოებას ეჭვი შეპარვოდა სიმპსონის ბრალეულობაში.

ყოფილი დეტექტივის, ფურმანის მხილებამდე, დაცვამ კარგად იმუშავა ბრალდების მიერ წარმოდგენილი მოწმეების ჩვენებების გაქარწყლებაზე. ასე მაგალითად, ბრალდების მხარე იმ ვერსიას ებღაუჭებოდა, რომ მკვლელობა ერთი ადამიანის მიერ იყო ჩადენილი, დაცვამ კი, არაერთი დამამტკიცებელი საბუთი წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც ჩანდა, რომ დანაშაულის ადგილას ორი მკვლელის კვალი იყო აღმოჩენილი. ამასთან, დაცვის მიერ წარმოდგენილი მოწმეების ჩვენებები გაცილებით დამაჯერებლად ისმოდა. დაცვამ აგრეთვე წარმოადგინა რამდენიმე მოწმე, რომლებიც ადასტურებდა ადკოვატების ვერსიას იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ეს დანაშაული. ამ მხრივ, დაცვა ბრალდებაზე გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურებოდა.

ძალიან დიდი ხანი განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ, როდის გაიჭრა ხელი სიმპსონმა. პოლიციამ ჭრილობა მკვლელობიდან მეორე დღეს, პირველი დაკითხვის დროს აღმოაჩინა. დაცვა ამტკიცებდა, რომ ო ჯეიმ ხელი უკვე ჩიკაგოში ჩასვლის შემდეგ გაიჭრა, ბრალდება კი, იმაში იყო დარწმუნებული, რომ ჭრილობა მკვლელობის დროს გაჩნდა. დაცვამ ბევრი მოწმე მოიყვანა, რომლებმაც სიმპსონი აეროპორტში და თვითფრინავში საღსალამათი ხელით ნახეს, ხოლო უკანა გზაზე, ჩიკაგოდან ლოს ანჯელესში - უკვე შეხვეული ხელით.



ეს არგუმენტები უკვე ბევრს ნიშნავდა, მაგრამ ის ვერ გადაძალავდა დნმ-ის ტესტის შედეგებს. მაგრამ ბოლოს, დაცვა გამოვიცა განცხადებით, რომ ის წარმოადგენდა მასალებს, რომელიც დნმ-ზე ბრალდების ინფორმაციას ძალიან საკამათოს გახდიდა.

მარკ ფურმანი და ხელთათმანები

თავიდან, დეტექტივი მარკ ფურმანი გმირის სტატუსით გაზეთების ფურცლებიდან არ ჩამოდიოდა: ფოტოგენიური პოლიციელი, რომელმაც მთავარი მტკიცებულება, მეორე ხელთათმანი სიმპსონის სახლის ეზოში იპოვნა. მაგრამ მდგომარეობა სწრაფად შეიცვალა. ცნობილი გახდა, რომ ფურმანი - თავგადაკლული რასისტი და პოლიციაში მუდმივი პრობლემების წყარო ყოფილა. იმ ძველი ყაიდის პოლიციელთაგან ერთ-ერთი, რომელიც ლოს ანჯელესის პოლიციამ, თითქოს თავიდან მოიცილა. ბრალდების მხარე შეეცადა დეტექტივის იმიჯზე ეზრუნა: ფურმანს სასამართლოზე ჰკითხეს, როდის იხმარა მან უკანასკნელად სიტყვა - "ზანგი". დეტექტივმა დაიფიცა, რომ უკვე ათი წელია ეს სიტყვა არ გამოუყენებია. მართალია, ფურმანის რეპუტაცია ოდნავ შელახული იყო, მაგრამ სიტუაცია ჯერ კონტროლს ექვემდებარებოდა.

ბრალდებას უნდოდა, რომ ყველაფერი ასევე დარჩენილიყო, რადგან ხელთათმანების ისტორია მისთვის დიდ პრობლემად იქცა. იმ ეჭვის გასაქარწყლებლად, რომ ხელთათმანი პოლიციის მიერ არ იყო დგდებული, ბრალდებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა. მათ სასამართლო დარბაზში სიმპსონს ხელთათმანის ჩაცმა თხოვეს და ამით დიდი შეცდომა დაუშვეს, რადგან ო ჯეის ხელთათმანი არ მოერგო. ამ ყველაფრის გამო, ბრალდების მხარე არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ამ შეუსაბამობის საიდუმლო მალე გაირკვა: სიმპსონმა ხელთათმანის ჩაცმამდე, სხვა, ლატექსის ხელთათმანი მოირგო, რის გამოც მისი ხელის ზომა შეიცვალა, მაგრამ ბრალდებამ დამაჯერებლობა დაკარგა.

შემდეგ კიდევ უარესი მოხდა. საზოგადოებას წარუდგინეს ბოლო ცხრა წლის განმავლობაში დეტექტივ ფურმანის მეგობართან საუბრების ჩანაწერები, რომელიც სავსე იყო აფრიკელი ამერიკელების მისამართით ნასროლი ბინძური ფრაზებით და აგრეთვე მინიმუმ 40-ჯერ მაინც იყო ნახსენები სიტყვა - "ზანგი". ეს ყველაფერი სრულიად ეწინააღმდეგებოდა ფურმანის ჩვენებებს, რომელიც მან ფიცით განამტკიცა. ეს ყველაფერი ნაფიც მსაჯულებმა მოისმინეს და ისინი დარწმუნდნენ სასამართლოზე ფურმანი იტყუებოდა. დაცვის მხარე ამტკიცებდა, რომ თუ დეტექტივმა თავის რასისტულ შეხედულებებზე იცრუა, მაშინ მას თავისუფლად შეეძლო ხელთათმანი დაეგდო ო ჯეის სახლის ეზოში. სიმპსონი ხომ მისთვის საძულველი აფრო-ამერიკელი იყო, რომელიც თეთრ ქალბატონზე იყო დაქორწინებული.

■ ■ ■

როცა ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა თავიანთი არგუმენტები ამონურეს, საზოგადოებრივი აზრი სიმპსონის მხარეს გადავიდა და გამოძიების დროს პოლიციის მიერ დაშვებული გაუგებრობების გამო, ო ჯეის გამართლებას ელოდა. საერთოდ, საკითხი - დამნაშავე იყო თუ არა ფეხბურთელი, მეორე პლანზე გადავიდა: ამერიკელებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ლოს ანჯელესის პოლიციის კორუმპირებულობის დონე. ქვეყანა ასევე შეშფოთებული იყო საზოგადოებაში გამეფებული რასიზმით. ივლისში, როცა ბრალდების მხარის პოზიცია ჯერ კიდევ ძლიერი იყო, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ თეთრების 60 პროცენტი დარწმუნებული იყო სიმპსონის დანაშაულში, იმ დროს როცა, აფრო-ამერიკელებისგან ასეთები მხოლოდ 12 პროცენტი იყო. ბოლოს კი, სულ უფრო და უფრო მეტი ამერიკელი სვამდა კითხვას: თუ ერთი-ერთი ყველაზე ცნობილი შავკანიანი არ არის დაცული რასიზმისგან, მაშინ ვინ არის საერთოდ ამერიკაში დაცული?

ეს ისტორია იმაზე სწრაფად დასრულდა, ვიდრე ელოდნენ: ხუთსაათიანი განხილვის შემდეგ, ნაფიც მსაჯულებმა ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღეს: არ არის დამნაშავე. არ შეიძლება იმის თქვა, რომ ეს საზოგადოებისთვის დიდი მოულოდნელობა იყო. საზოგადოებრივი აზრი უკვე დიდი ხანი იხრებოდა სიმპსონის სასარგებლოდ. უპირველეს ყოვლისა იმ არეულობის გამო, რომელიც პოლიციის გამოძიებამ გამოიწვია.

ბოლოს, რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, რა ბედი ეწია სიმპსონს. მისმა შვილებმა - 8 წლის **ანამ** და 10 წლის **ჯასტინმა** მამის ნახვა არ მოისურვეს, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მკვლელი ო ჯეი იყო. სიმპსონს მამობის უფლება ჩამოართვეს, ბავშვები კი, ინტერნატში ნაიყვანეს.

ფეხბურთელი საზოგადოებისგან მოკვეთილი დარჩა. თაყვანისმცემლები, მაღალანაზღაურებადი სამსახური, პოპულარობა წარსულს ჩაბარდა. ის გაკოტრების პირას მივიდა, რადგან მილიონები გადაუხადა ადვოკატებს. მართალია, ყოველი სასამართლო სხდომის წინ ის ამერიკული ღიმილით ამბობდა, ყველაფერი კარგად არისო, მაგრამ ამასთან, ძალიან საცოდავად გამოიყურებოდა.

სპორტული ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თევალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეფაპიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: ჟას გაზეთი ლელო, ჟას სპორტმედია



პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ª,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995, 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. გარდა კვირისა